პალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

4 თებერვალი **პარასკევი** 2011

№027 (13324) ფასი 60 თეთრი



## გიორგი შერმადინის თხუთმეტმა ქულამ ოლიმპიას ვერ უშველა

11

# კენჭისყრა კი არა, ზვავი იყო

## ამას არ ჰქვია შეგვხვდა, ამას ჰქვია მოგვხვდა

## მეგობარი შუშაკი მეტოქედ მოდის



ოთარ გაბელია



ივო შუშაკი

2



## კაცი, რომელმაც მოგვიგო

11

ექსკლუზიური ინტერვიუ ბელგიის ნაკრების ლიდერ დიმიტრი ლაურსთან

## რურის ტური

### დორტმუნდი VS შალკე




7

● U 21. ევრო 2013. წილისყრა



ოთარ გაბელია



ივო შუშაკი

# კენჭისყრა კი არა, ზვავი იყო

## ამას არ ჰქვია შეგვხვდა, ამას ჰქვია მოგვხვდა

ახალგაზრდულ ნაკრებთა ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის კენჭისყრამ საქართველოს უმძიმესი მეტოქეები არგუნა. შეიძლება ითქვას, რომ ყველა კალათიდან საუკეთესო ან საუკეთესოობის პრედენდენტი შეგვხვდა.

თავად განსაჯეთ: მეხუთე შესარჩევ ციკლში **ოთარ გაბელიას** გუნდს მეტოქეებად ესპანეთი, შვეიცარია, ხორვატია და ესტონეთი ერგო. მესამე კალათიდან ხორვატია რომ გერგება, მეხუთიდან კი ესტონეთი, ბედის საჩუქარს ვერ დაარქმევ - ესპანეთსა და შვეიცარიაზე აღარაფერს ვიტყვით.

იშვიათი შემთხვევაც დაფიქსირდა: წინა ციკლის ჩვენი სამი მეტოქე კვლავ ერთმანეთთან გაარკვევს ურთიერთობას: შვეიცარია და ესტონეთი ჩვენი მეტოქეები ჯგუფურ ეტაპზე იყვნენ. ერთი ხანობა ესტონეთი მეორე ადგილზე იყო. იმ გუნდიდან ბევრი ახალ ციკლშიც ითამაშებს, რადგან უმთავრესად 1990 წელს დაბადებული ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული.

ისედაც ძლიერი ხორვატიის ნაკრების პლუსად მათი ახალი მთავარი მწვრთნელიც ჩაითვლება: 1 თებერვალს გუნდი თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების ყოფილ დამრიგებელ **ივო შუშაკს** ჩააბარეს. შუშაკმა პრესკონფერენციაზე თქვა, რომ ერთადერთი მიზანი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლაა. სხვათა შორის, შუშაკი ხორვატ ახალგაზრდებს 1997-2000 წლებშიც ავარჯიშებდა. 9 თებერვალს ხორვატები სლოვენიის ახალგაზრდულ გუნდს ამხანაგურად შეხვდებიან.

ესპანეთზე ლაპარაკიც ზედმეტია - მსოფლიოს ჩემპიონთა ახალგაზრდული გუნდიც ძლიერია და, ცხადია, მეხუთე შესარჩევი ციკლის ფავორიტია.

ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც 2013 წლის ივნისში ისრაელში გაიმართება, 8 გუნდი ითამაშებს: მასპინძელ ისრაელს 7 გუნდი დაემატება. „შესანიშნავი შვიდეული“ (სადაც მოხვედრის იმედი კენჭისყრამ ძალიან შეგვიმცირა) ჯგუფების ათი გამარჯვებულისა და ოთხი საუკეთესო მეორეადგილოსნის საპლეიოფო მატჩებში გაირკვევა.

1. გერმანია, ბელარუსი, საბერძნეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, კვიპროსი, სანმარინო.

2. შვედეთი, უკრაინა, ფინეთი, სლოვენია, ლიტვა, მალტა.

3. ჩეხეთი, უელსი, სომხეთი, ჩერნოგორია, ანდორა.

4. სერბეთი, დანია, ჩრდილოეთ ირლანდია, მაკედონია, ფარერის კუნძულები.

**5. ესპანეთი, შვეიცარია, ხორვატია, საქართველო, ესტონეთი.**

6. რუსეთი, პორტუგალია, მოლდოვა, პოლონეთი, ალბანეთი.

7. იტალია, თურქეთი, უნგრეთი, ირლანდია, ლიხტენშტაინი.

8. ინგლისი, ბელგია, ისლანდია, ნორვეგია, აზერბაიჯანი.

9. რუმინეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, ლატვია, ყაზახეთი.

10. ჰოლანდია, ავსტრია, შოტლანდია, ბულგარეთი, ლუქსემბურგი.

●●●

კენჭისყრის შემდეგ საკვალიფიკაციო ეტაპის მეტოქეებმა კალენდარზე ისაუბრეს, მსჯელობაში **ოთარ გაბელიაც** მონაწილეობდა. მას გუშინ საღამოს დავუკავშირდით:

- რა კომენტარი გავაკეთო? უმძიმეს ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ რა ვქნათ, უნდა ვიბრძოლოთ. სხვათა შორის, მანამდე ივო შუშაკი ვნახე და, ეტყობა, ენამ მიყივლა, ვკითხე, რას იტყვი, ერთმანეთს რომ შევხვდეთ-მეთქი. ხელები გაასავსავა, არ მინდა, ეროვნულები ისედაც ერთმანეთს შეხვდნენ და ჩვენ მაინც ავერიდოთო.

**- კალენდარზე თუ შეთანხმდით?**

- ძლიერებმა და გავლენიანებმა, ესპანეთმა და შვეიცარიამ თავისიანთი პირობები წამოგვიყენეს. იყო „ჭიდაობა“, ჩვენი ვარიანტი მათ არ მოეწონათ, ხორვატებთანაც ვერ შევთანხმდით. საბოლოოდ კალენდარი მაინც დადგინდა.

**- საკონტროლო მატჩებისთვის მეტოქეები თუ შეიგულეთ?**

- დანიას შევუთანხმდით, მაგრამ თარილი უნდა დავაზუსტოთ. თამაში ბელარუსსა და ყაზახეთსაც სურთ, მარტში კი ავსტრიაში საერთაშორისო ტურნირზე გვიწვევენ.

**2011 წელი**

3 ივნისი. **ხორვატია - საქართველო**
1 სექტემბერი. **საქართველო - ესპანეთი**
5 სექტემბერი. **ესპანეთი - საქართველო**
7 ოქტომბერი. **შვეიცარია - საქართველო**
10 ნოემბერი. **საქართველო - შვეიცარია**

**2012 წელი**

5 ივნისი. **ესტონეთი - საქართველო**
15 აგვისტო. **საქართველო - ხორვატია**
6 სექტემბერი. **საქართველო - ესტონეთი.**

**მერაბ მამულაშვილი**

● სახელმწიფო და ფეხბურთი

# გაიხარეთ, მსაჯებო, მთავრობამ დაგაფასათ

საქართველოს მთავრობა ბოლო დროს სისტემატურად ინტერესდება უმაღლესი ლიგის კლუბების ბედით. ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები გვაფიქრებინებს, რომ ისინი კლუბების პრობლემების მოგვარების გზებს ეძებენ და ხელისუფალნი და საფეხბურთო ოჯახის წევრები ამ თემას ალბათ კიდევ მიუბრუნდებიან.

თავიდან ვიფიქრეთ, რომ სახელმწიფო კანცელარიაში გუშინ გამართული შეხვედრა სწორედ ამ საკითხს ეძღვნებოდა, მაგრამ როგორც გაირკვა, ამჯერად მთავარი თემა მსაჯთა კორპუსი ყოფილა. შეხვედრას პრემიერ-მინისტრ ნიკა **გილაურის** მთავარი მრჩეველი **ვახტანგ ლეჟავა** უძღვებოდა, „სამთავრობო აუდიენციას“ კი საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის რვა კლუბის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. ზოგ კლუბს



ვახტანგ ლეჟავა

პრეზიდენტი წარმოადგენდა, ზოგსაც – მმართველი რგოლის სხვა წევრები. თავდაპირველად ცნობილი იყო, რომ კანცელარიაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავაც** უნდა მისულიყო, მაგრამ შეხვედრამ მის გარეშე ჩაიარა. იქ არც ფედერაციის სხვა წარმომადგენელი მისულა და არც სამსაჯო კომიტეტის ხელმძღვანელობა. რაც შეეხება პრემიერ გილაურს, იგი ოფიციალური ვიზიტით აშშ-ში იმყოფება და შეხვედრას ამიტომ აკლდა.

ამ წერილის წაკითხვა მსაჯებს გაახარებთ. ლეჟავამ თქვა, რომ მსაჯთა ანაზღაურების ახალი სისტემა ძალაში ეროვნული ჩემპიონატის განახლებისთანავე შევა. შეგახსენებთ, მათ მატერიალურ წახალისებაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ შარშან დაიწყო და გასახარი იქნება, თუ მსაჯებს მცირე ხელფასი სოლიდურად გაეზრდებათ. რიცხვების სიზუსტეზე თავს ვერ დავდებთ, მაგრამ უმაღლესი ლიგის ერთი მატჩის მომსახურებისთვის არბიტრმა დაახლოებით 1000 ლარი უნდა მიიღოს, თანამსაჯებმა კი - 600.

კლუბების წარმომადგენლებს კანცელარიაში, უპირველესად, სწორედ ამ სიახლის სათქმელად უხმეს, თუმცა მათ სხვა საკითხებზეც ესაუბრნენ. ლეჟავამ იმედი გამოთქვა, რომ ანაზღაურების გაზრდა მსაჯობის დონეს აამაღლებს და მათი დაცულობისადმი მეტი ყურადღების მიქცევის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება. უმაღლესი ლიგის ბინადრებს მსაჯების საჯარო კრიტიკისგან თავის შეკავება და სტადიონზე უსაფრთხოების ზომების გაძლიერება სთხოვეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● მეტოქე. სომხეთი

# ჩემი შენ გითხარი: მეზობელო კარისაო, პრობლემა გაქვს კარისაო

## სომხებს რუსის იმედი აღარ აქვთ



რუბენ აირაპეტიანი

საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან 9 თებერვალს ლიმასოლში გასამართ ამხანაგურ მატჩს სომხები ძირითადი მეკარის, **რომან ბერეზოვსკის** გარეშე ჩაატარებენ. რუსული "ხიმკის" კარის დარაჯს ზურგიც აწუხებს და პლუს ყელზე ოპერაციაც გაუკეთეს.

სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **რუბენ აირაპეტიანი** შეწუხებულია იმით, რომ მის ქვეყანას ბერეზოვსკის სრულფასოვანი შემცვლელი არ ჰყავს. აირაპეტიანი საგანგებო პროგრამის შემუშავებას აპირებს საიმისოდ, რათა მის ქვეყანაში ძლიერი მეკარეები აღიზარდონ.

აირაპეტიანმა ისიც თქვა, რომ ამსტერდამის "აიაქსის" ახალგაზრდა ნახევარმცველის, თურქეთში დაბადებული სომხის, **არაზ ოზბილისის** სომხეთის ნაკრების წევრად ქცევისთვის ბოლომდე იბრძოლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სამზადისი. დინამო

# ჩვენი სერბი, იმათი ქართველი

ანთალიურ შეკრებაზე მყოფმა თბილისის „დინამომ“ გუშინ ბოლო საკონტროლო მატჩი ჩაატარა და უკრაინის ჩემპიონატში XII ადგილზე მყოფ „ზარიასთან“ 1:2 დამარცხდა. ფეხბურთის გულშემატკივარს შევახსენებთ, თურქულ შეკრებაზე „დინამოს“ სხვა უკრაინული მეტოქეებისგან („ვოლინი“, „სევასტოპოლი“) განსხვავებით, ლუგანსკის (ყოფილი ვოროშილოვგრადის) „ზარია“ ბევრად უფრო სახელოვანი გუნდია; სხვა თუ არაფერი, 1972 წელს ეს გუნდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, ხოლო 1974 და 1975 წლებში საბჭოთა კავშირის თასის ფინალშიც ისპარეზა. თუმცა პერიფერიული გუნდის ეს წარმატებული პერიოდი მალე დასრულდა და გუნდიც ჯერ საკავშირო უმაღლესსა და პირველ ლიგას შორის „მოგზაურობდა“, მერე იგივე „მარშრუტი“ ჰქონდა უკრაინის დამოუკიდებელ ჩემპიონატშიც. ეგ კი არა, ხუთი სეზონის განმავლობაში „ზარია“ მეორე ლიგაშიც გამოდიოდა და მხოლოდ 2006 წლიდან დაუბრუნდა უკრაინის უმაღლეს ლიგას. სხვათა შორის, „ზარიაში“ სხვადასხვა დროს რამდენიმე ქართველ ფეხბურთელსაც უასპარეზია, ერთ-ერთი კი სულაც რამდენიმე ხნის წინ დაიმატეს: „ვიტ ჯორჯიას“ ყოფილი შემტევი **ჯაბა ლიპარტია** ამიერიდან ლუგანსკელთა გუნდის ღირსებას დაიცავს. სწორედ ლიპარტია გახლდათ კიდეც ერთ-ერთი ყველაზე აქტიური გუშინდელ შეხვედრაში და იმის მშვენიერი შანსიც ჰქონდა, რომ „დინამოს“ კარში გოლი გაეტანა: 24-ე წუთზე „ზარიამ“ პენალტის უფლება მოიპოვა, მაგრამ ლუგანსკელთა გუნდის ქართველი ლეგიონერის დარტყმა **გიორგი ლორიამ** მოიგერია! პირველი ტაიმის მე-40 წუთზე კი ანგარიში გაიხსნა: **ედნილსონის** პასის შემდეგ **დიმიტრი ტატანაშვილი** „ზარიას“ მეკარე **იური მარტიშჩუკთან** პირისპირ დარჩა და ზუსტად დაარტყა.

შესვენების შემდეგ თბილისის „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა **კახა კაჭარავამ** თავისი გუნდის შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განახორციელა: ახალგაზრდა ქართველებთან ერთად მოედანზე პოტენციური უცხოელი ახალწვეულებიც შემოიყვანა. ერთ-ერთი მათგანი, ბენინის ნაკრებში ნათამაშები ცენტრალური მცველი **ჯონ გლელე** წინა სპარინგმატჩშიც (ხორვატულ „ოსიეკთან“) გამოჩნდა, სამაგიეროდ დინამოელთა შემადგენლობაში პირველი შეხვედრა ჩაატარა 27 წლის სერბმა ფორვარდმა **მილან იოვანოვიჩმა,** სამშობლოში ბელგრადის „რადის“ ღირსებას რომ იცავდა, ბოლოს კი ყაზახურ „თარაზში“ ასპარეზობდა. სამწუხაროდ, „დინამომ“ ვერ შეძლო ანგარიშის შენარჩუნება და 71-ე წუთზე კუთხურის შემდეგ **საკიჩმა** ერთი საპასუხო გოლი გაიტანა; 85-ე წუთზე კი „დინამოს“ მცველებმა საკუთარ საჯარიმოში... ჯაბა ლიპარტიას წინააღმდეგ თამაშის წესები დაარღვიეს და ჩვენი გუნდის კარში ამ შეხვედრაში უკვე მეორე პენალტი დაინიშნა. თერთმეტმეტრიანის დარტყმა ამჯერად **ალექსეი პოლიანსკიმ** ითავა და ზუსტიც გახლდათ — 2:1 „ზარიას“ სასარგებლოდ.

თურქულ შეკრებაზე ბოლო საკონტროლო მატჩს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაიაც** დაესწრო; „დინამომ“ კი თავისი უკანასკნელი სპარინგშეხვედრა ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: **ლორია — კაკუბავა (61. ციმაკურიძე), თომაშვილი (55. გლელე), ჰომოლა, მაროვიჩი — ედნილსონი, კვეკვესკირი (79. ჯილაური) — შ. კაშია (84. ქანთარია), კოშკაძე (69. ფირცხალავა), რობერტინიო (55. თექთურმანიძე) — ტატანაშვილი (59. იოვანოვიჩი).**

**გია ტუხაშვილი**



გიორგი ლორია

**აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია გამოხატავს მწუხარებას და თანაუგრძნობს ადიკ დურსუნიშს დის, ქალბატონ ნაზი ჩაქირიშის გარდაცვალების გამო.**

*პანაშვიდი: 4 თებერვალს 16 საათზე; დაკრძალვა: 5 თებერვალს 14 საათზე. მისამართი: ვარკეთილი, ჯავახეთის №66.*

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), **ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384.** ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამზადისი. ტორპედო

# დაბნეული ინფორმაცია
## შურტანი რამდენია?

ქუთაისის „ტორპედომ" თურქული შეკრება მოუგებლად დაასრულა. **გია გიგატაძის** გუნდმა ბოლო, მეხუთე საკონტროლო მატჩში უზბეკეთის ჩემპიონატის მეოთხეადგილოსან გუზარის „შურტანთან" 1:2 წააგო.

უზბეკებმა პირველ ტაიმში ორჯერ ისარგებლეს მოწინააღმდეგის შეცდომით და 2:0 დაწინაურდნენ.

"ტორპედოს" ვებგვერდის ინფორმაციით, მეორე ნახევარში ქუთაისელებმა ბევრი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ მხოლოდ ერთხელ იხეირეს: 72-ე წუთზე **თენგიზ ჩიკვილაძემ** ზუსტად შეასრულა საჯარიმო.

თუმცა, ვერ გეტყვით, ჩიკვილაძემ გოლი ნათესავს, **მიხეილ ალავიძეს** გაუტანა თუ უზბეკთა კარში სხვა იდგა. შეგახსენებთ, რომ ალავიძე "შურტანის" კარს უკვე მეორე წელია იცავს.

ინფორმაციის გადასამოწმებლად უზბეკური კლუბის ვებგვერდზე შევედით და იქ წაკითხულმა დაგვაბნია - "შურტანის" პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს გუნდი 2 თებერვალს რუსეთის პრემიერლიგელ მახაჩყალის "ანჟის" შეხვდა და 0:2 წააგო. სხვათა შორის, მიხეილ ალავიძემ პენალტი მოიგერია. უნდა ვივარაუდოთ, რომ უზბეკები ორი შემადგენლობით ორ მეტოქეს ეთამაშნენ, მაგრამ რატომ არაფერი დაწერეს საკუთარ ვებგვერდზე, გაუგებარია.

ჩიკვილაძის გოლის შემდეგ საგოლე მომენტები **ნიკა საბანაძეს, გია მეგრელაძეს** და **ირაკლი დოლიძესაც** ჰქონდათ, თუმცა ვერც ერთმა გაიტანა. საბოლოოდ, „ტორპედო" 1:2 დამარცხდა.

ტორპედო: **ქვილითაია, ფოფხაძე (46. დოლიძე), ფარულავა, თოდუა, ჩიკვილაძე, სეთურიძე, დილმელაშვილი, ქებაძე(46. დათუნაიშვილი), ჩხეტიანი (46. მაისურაძე), მეგრელაძე, გრცირიძე (65. საბანაძე).**

გუნდი ქუთაისში ხვალ დაბრუნდება.

**მერაბ მამულაშვილი**

სამზადისი. ოლიმპი

# პოსტრევოლუციური სიტუაცია: დაემშვიდობეთ ანტრაქტებს, შეეგუეთ კონტრაქტებს
## ერთი რეხვიაშვილია, გარეთ რომ იყურება

დეკემბერში რუსთავის "ოლიმპში" საკადრო რევოლუცია მოხდა, გაათავისუფლეს ვიცე-პრეზიდენტი, დირექტორი, პრესატაშე, უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი და სხვანი.

დირექტორად დანიშნულმა **თორნიკე მაისურაძემ**, რომელიც რეალურად მთავარი მწვრთნელია, მაშინვე თქვა, რომ სამი და ექვსთვიანი კონტრაქტების დრო დასრულდა, ფეხბურთელებს ხანგრძლივი ხელშეკრულებებს შევთავაზებთო.

მიზანი გასაგებია: ყოველ ნახევარ წელიწადში შემადგენლობის ცვლა კლუბზე უარყოფითად აისახებოდა, ფეხბურთელები არათუ შეთამაშებას, ერთმანეთის გაცნობასაც ვერ ასწრებდნენ, რომ ისევ ახალი გუნდი ყალიბდებოდა, რუსთაველი გულშემატკივარი კი ფეხბურთელთა გვარებს ვერც იმახსოვრებდა. ხანგრძლივი კონტრაქტები კი გუნდის სტაბილურობისა და შეთამაშების ერთ-ერთი წინაპირობაა.

თურქეთიდან დაბრუნებულმა "ოლიმპის" დირექტორმა ჩანაფიქრის განხორციელება დაიწყო – მან ყველა მოთამაშეს მინიმუმ ორწლიანი კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა. ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე დაელაპარაკნენ მათაც, ვინც კლუბში დატოვეს.

შევიტყვეთ, რომ წინადადებას ყველა დათანხმდა, გამონაკლისი მხოლოდ **გიორგი რეხვიაშვილია**, რომელიც ჯერ თავს იკავებს. 22 წლის ცენტრალურ მცველს კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება და უცხოეთში წასვლა სურს. დეკემბერში გავრცელდა კიდეც ინფორმაცია, რომ გიორგის ისრაელში ჰაიფას "მაქაბი" იწვევდა, მაგრამ რუსთავის "ოლიმპმა" ერთ-ერთი საკვანძო მოთამაშე არ გაუშვა.

გიორგის უცხოეთში წასვლაზე ხელი დღემდე არ აუღია. სპეციალისტების აზრით, რეხვიაშვილი საქართველოს კვალობაზე ერთ-ერთი საინტერესო მოთამაშეა და საქართველოს კვალობაზე საკმაოდ მდიდარ კლუბს მასთან შელევა არ სურს – მეორე ეტაპზე "ოლიმპი" ჩემპიონობისთვის ბრძოლას აპირებს.

**მერაბ მამულაშვილი**

სამზადისი. ბაია

# ბაია-გაგრას სპარინგდუბლი

გუშინ "ბაიას" მეტად ნაყოფიერი დღე ჰქონდა. ზუგდიდელებმა, რომლებიც ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის საკუთარ ბაზაზე ემზადებიან, ერთბაშად ორი სპარინგმატჩი გამართეს. ისინი ორივეჯერ პირველი ლიგის ბინადარ "გაგრას" შეხვდნენ. "გაგრა" შეკრებაზე ურეკშია და "ბაიას" ზუგდიდში ეწვია.

"ბაიას" მთავარმა მწვრთნელმა **ელგუჯა ქომეთიანმა ანატოლი პისკოვეცის** გუნდს ორი შემადგენლობა დაუპირისპირა. ბუნებრივია, ორი შემადგენლობით ითამაშა "გაგრამაც". პირველი მატჩი 0:0 დასრულდა, მეორე კი "ბაიამ" 2:0 მოიგო. **რიგვავამ** ანგარიში 35-ე წუთზე გახსნა, მეორე ბურთი კი 57-ეზე **ეხვაიამ** გაიტანა. მატჩმა წვიმის თანხლებით ჩაიარა, რამაც თამაშის ხარისხს დაღი დაასვა.

პირველი მატჩი "ბაიამ" ამ შემადგენლობით ჩაატარა: **მაქაცარია – გ. ქირია, მამულია, აფაქიძე, ბერიშვილი – ნ. შონია, მალიჩავა, გუჯეჯიანი (კუხალაშვილი), შ. ლომია, სამუშია – ჩანგელია.**

მეორე მატჩი: **სომხიშვილი – სვირავა (კუკავა), აქუბარდია, რ. ონიანი, თ. აკობია – რიგვავა, ვართაგავა, წურწუმია, სიხარულია – ეხვაია, ქობალია.**

როგორც ქომეთიანმა გვითხრა, კლუბის ფინანსურ საკითხებში ახალი არაფერია, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორებას კვლავაც ელიან.

ზუგდიდელებს განსაკუთრებული საკადრო სიახლეები არ აქვთ. დუბლშემადგენლობიდან სამწვრთნელო შტაბმა **ბერიშვილი** და **აკობია** დაიმატა, **გურამ სამუშია** კი "ბაიას" საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების შეკრებიდან დაუბრუნდა. ნაკრების ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი სწრაფად პროგრესირებს და, წესით, ჩემპიონატის მატჩებში "ბაიას" შემადგენლობაში ხშირად უნდა ვიხილოთ.

რაც შეეხება სინჯებზე მყოფ ორ თბილისელ ახალგაზრდას, მარცხენა მცველის, **ილია გამრეკლიძის** "ბაიაში" დარჩენა უკვე გადაწყვეტილი ამბავია, მარჯვენა ნახევარმცველ **გიორგი კუხალაშვილს** კი მწვრთნელები კიდევ დააკვირდებიან.

სეზონის განახლებამდე "ბაია" კიდევ ერთ ტესტმატჩს ჩაატარებს – 6 თებერვალს გორის "დილას" უმასპინძლებს. უმაღლესი ლიგის მეორე ეტაპს ზუგდიდელები 13 თებერვალს, ბოლნისის "სიონთან" საშინაო მატჩით დაიწყებენ. "ბაია" დღეისთვის მეხუთე ადგილზეა.

რაც შეეხება "გაგრას", იგი მორიგ საკონტროლო მატჩს ასევე 6 თებერვალს გამართავს. მეტოქე ჯერ არ გარკვეულა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ "გაგრაში" სინჯებზე მყოფი სამი ნიგერიელიდან ორს გუნდში დარჩენის კარგი შანსი აქვს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ვიტ ჯორჯია

# კინაღამ ხომ არ ითვლება

"ვიტ ჯორჯიამ" თურქულ შეკრებაზე გუშინ მორიგი მატჩი ჩაატარა. საქართველოს თასის მფლობელთა მეტოქე გერმანული ობერლიგის ბინადარი "აუერბახი" იყო. შეხვედრამ ულიმღამოდ ჩაიარა და ლოგიკური 0:0-ით დასრულდა.

ქართველებს გამარჯვება მაინც შეეძლოთ, მაგრამ **ბექა ზაქრაძემ** პირველ ტაიმში ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა, ვიტელებს გატანის შანსი მეორე ნახევარშიც მიეცათ.

„ვიტ ჯორჯიამ" ამ შემადგენლობით ითამაშა: **ძაძამია (46. მიქაბერიძე) – ბეჭვაია (46. ხურცილავა), ადამაძე (46. კასრაძე), გოგიაშვილი, ღანიაშვილი (46. ჭანკვეტაძე) – დვალაშვილი (46. მაისაშვილი), გურამ გურეშიძე (46. ვასაძე) – გაბრიჭიძე (46. კორიფაძე), გიორგი გურეშიძე (46. ჯანელიძე), ზაქრაძე – როსტიაშვილი (46. ჩიმაკაძე).**

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ვიტას აკადემია
## მტერს ემცხეთოს ჩვენი ნიჭი

ორი დღის წინ მცხეთის სტადიონის სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა და "ვიტ ჯორჯიას" გეგმების შესახებ გიამბეთ. ახლა კიდევ ერთ საინტერესო ინფორმაციას გაგაცნობთ, რომელიც ამ თემის გაგრძელებადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ.

"ვიტ ჯორჯია" მუდმივად თანამშომლობდა და ახლაც თანამშრომლობს სხვადასხვა საფეხბურთო სკოლასთან, საკუთარი აკადემია კი არასდროს ჰქონია. კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ამ საქმეს ხელი მოჰკიდოს.

მცხეთის სტადიონის სარემონტო სამუშაოების პარალელურად, "ვიტ ჯორჯიამ" იქ საკუთარი ტერიტორია გაიფართოვა და დამატებით 2 ჰექტარი მიწა შეიძინა, სადაც ახალი მოედნების მოწყობას გეგმავს. სწორედ იქ დაბინავდება "ვიტ ჯორჯიას" საფეხბურთო სკოლა, რომლის ჩამოყალიბებაც ზაფხულისთვისაა ნავარაუდევი.



აკადემია საწყის ეტაპზე მცირე მასშტაბისა იქნება და მხოლოდ ერთი ასაკობრივი გუნდი ეყოლება, მერე და მერე კი, ალბათ, გაფართოვდება კიდეც.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბავშვები სრულიად უსასყიდლოდ იმეცადინებენ და არც სხვადასხვა საფეხბურთო ამუნიციისთვის საჭირო თანხას გადაიხდიან. მათთვის თბილისიდან მცხეთაში და უკან მგზავრობაც უფასო იქნება. სამაგიეროდ, აკადემიაში არა ყველა მსურველს, არამედ მხოლოდ ნიჭიერებსა და პერსპექტიულებს მიიღებენ. საფეხბურთო ნიჭი, ცხადია, მცხეთელ მოზარდებსაც არავისზე ნაკლები აქვთ, ასე რომ, მათ ქალაქში ასეთი მიმზიდველი სკოლის გახსნა აუცილებლად მისცემს ბიძგს ადგილობრივი საფეხბურთო ცხოვრების გამოცოცხლებასაც.

ბუნებრივია, ამგვარი პოლიტიკით "ვიტ ჯორჯიას" მესვეურები მომავალზე აკეთებენ გათვლას. კლუბი ყოველთვის ნიჭიერი ახალგაზრდების აღზრდასა და მათ შემდგომ ტრანსფერებზე იყო ორიენტირებული, საკუთარმა საფეხბურთო სკოლამ კი "ვიტ ჯორჯიას" ეს კარგად აპრობირებული სისტემა, წესით, კიდევ უფრო პროდუქტიული და მომგებიანი უნდა გახადოს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები



ირაკლი სირბილაძე

# სანტა კლაუსი თოვლის ბაბუას ფეხბურთელებსაც ართმევს
## გიორგი ხიდეშელი ფინეთშია, სირბილაძეს კი იქაური სიურპრიზი აეჭვებს: ჩვენ შენ ბილეთზე დაგხატავთ

ბოლო წლებია, ფინეთს ქართველები მიეძალნენ. გამონაკლისი არც წლევანდელი ზამთარია: უმაღლესი და პირველი ლიგების კლუბებში ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი მოთამაშეები ჩაირიცხნენ.

ფინეთის პირველი დივიზიონის კპვ-ში ახალგაზრდულ ნაკრებში ნათამაშები **ნიკა კილაძე** ჩაირიცხა. ამას კლუბის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება.

*"ქართველი ფეხბურთელი ნიკა კილაძე კპვ-ს წევრი გახდა. კონტრაქტი ოთხშაბათიდან ამოქმედდა, როდესაც კლუბმა ხელშეკრულება გაუფორმა".*

კპვ-ს მენეჯერი პეკა კუუსელა კილაძის დამატებით კმაყოფილია:"კილაძე ჩვენთან გასული წლის შემოდგომაზე ისინჯებოდა, რამდენიმე კვირა ვაკვირდებოდით, მოგვეწონა და მიწვევა გადავწყვიტეთ, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, რადგან "კაიანი ჰაკასთან" კონტრაქტი აკავშირებდა".

კილაძე ფინეთში ორწელიწადნახევარია თამაშობს – 22 წლის ცენტრალური მცველი წელიწადნახევარი პირველი ლიგის "კაიანი ჰაკაში" გამოდიოდა.

იგი კლუბში **ირაკლი სირბილაძესთან** ერთად წარადგინეს. ამ უკანასკნელს კპვ-სთან კონტრაქტი 2011 წლის ბოლოს უმთავრდება. სანტა კლაუსის სამშობლოში წლის უმეტეს დროს ცივა და აქედან გამომდინარე, კილაძე და სირბილაძე თბილისში ემზადებოდნენ.

*სირბილაძე გასული სეზონის აღმოჩენა იყო. 27 წლის თავდამსხმელი პირველი დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი, თავდამსხმელი და ფეხბურთელი გახდა. კლუბში იციან, რომ ირაკლის საინტერესო მიწვევები აქვს, მაგრამ კპვ კონტრაქტით სარგებლობს და არ უშვებს, ეს "ლელოს" სირბილაძემ უთხრა, როცა შესაძლო ტრანსფერზე ველაპარაკეთ – დეკემბერში სირბილაძე კლუბის შეცვლას აპირებდა და, ცხადია, სიახლით დავინტერესდით.*

*"კილაძის წარდგენისას მის გვერდით ვიდექი, მაგრამ ახალი კონტრაქტი არ გამიფორმებია. უბრალოდ, მთხოვეს, კილაძე შენი ქვეყნიდან არის და ერთად გადაგიღებთო. ახლა ისევ კპვ-ში ვვარჯიშობ და დაინტერესებული გუნდების პასუხს ველი, რომლებთან მოლაპარაკებას კლუბის პრეზიდენტი აწარმოებს.*

*ფინეთში ჩამოსულს მითხრეს, რომ აქაური უმაღლესი ლიგის თითქმის ყველა კლუბი მიწვევს. დაინტერესებული არიან შვედეთის, ნორვეგიის და დანიის უმაღლესი დივიზიონების გუნდები. მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ: "იარო", ვპს და "მარიაჰამნი".*

*ფინეთში ტრანსფერები მარტში იხურება და მანამდე საქმის მოგვარება შეიძლება, მაგრამ ახალ კლუბთან შესათამაშებლად დრო მჭირდება. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, კპვ-ს ხელმძღვანელებს და გულშემატკივრებს სიყვარულისა და ნდობისთვის მადლობას გადავუხდიდი და წავიდოდი. მინდა გარემოს შეცვლა, მაღალ დონეზე თამაში, მაგრამ კპვ-ს პრეზიდენტი დღემდე ზუსტ პასუხს არ მეუბნება. გასული წლის ტიტულების შემდეგ, საუკეთესო დროა კარიერის ასაწყობად და ამიტომ კლუბს გაშვება ვთხოვე.*

*ვიმედოვნებ, კპვ ხელს არ შემიშლის. თუმცა აქაური სიურპრიზი მაეჭვებს: ფინეთში დაბრუნებულს მითხრეს, რომ წლეულს კპვ-ს სტადიონის ვიპ-ადგილების ბილეთებზე ჩემი სურათი იქნება. რა თქმა უნდა, ეს სასიამოვნოა, მაგრამ დამაფიქრა, ამის შემდეგ გამიშვებენ? არადა, უმაღლეს ლიგაში თამაშიც მიზიდავს", -* გვითხრა სირბილაძემ.

ფინეთის უმაღლეს ლიგაში ბოლოს ქართველი ფეხბურთელი 2007 წელს თამაშობდა - მეკარე გიორგი ნიკურაძემ ტპ-47 დატოვა, კარიერა დაასრულა და მენეჯერობა დაიწყო. მისი შუამავლობით ფინეთის რანგით მეორე და მესამე დივიზიონებში ბევრი ჩვენებური ჩაირიცხა, მაგრამ უამლლესში - არავინ.

ოთხწლიანი შესვენების შემდეგ ფინეთის უმაღლეს ლიგაში ქართველი ისევ გამოჩნდა - **გიორგი ხიდეშელი.** არ შეგეშალოთ, იგი ზესტაფონელი **გიორგი ხიდეშელიის** სეხნია და მოგვარე ზუგდიდის "ბაიას" ყოფილი ფეხბურთელია.

გიორგი 25 წლის შემტევი ნახევარმცველია, მაგრამ თავდასხმაშიც ათამაშებდნენ. "იარომ" სწორედ თავდამსხმელად მიიწვია. ბოლო წლებში თამაშობდა ცხინვალის "სპარტაკში", რუსთავის "ოლიმპში", "ბაიაში" კი 2010 წლის ზაფხულს გადავიდა, მაგრამ კლუბში წარმოქმნილი ფინანსური პრობლემების გამო, ზუგდიდი ორ თვეში დატოვა.

ხიდეშელი "იაროში" გადავიდა, რომელმაც შარშან ფინეთის ჩემპიონატში მე-5 ადგილი დაიკავა. სკანდინავიაში ისიც ნიკურაძის დახმარებით მოხვდა.

ხიდეშელის ამბავი ნიკურაძემ გვაცნობა:*"გიორგიმ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. "იარო" საკმაოდ ძლიერი და შეძლებული კლუბია, გასული სეზონი მეხუთე ადგილზე დაასრულა. გიორგიმ გასინჯვისას მწვრთნელი და პრეზიდენტი დაარწმუნა, რომ საჭირო ფეხბურთელია. ფინეთის ლიგის თასზე ათამაშეს კიდეც და ერთი გაიტანა, ერთიც საგოლე პასი მიითვალა. იშვიათი შემთხვევაა, ფეხბურთელი გუნდს ასე იოლად შეეწყოს".*

ხიდეშელის ჩარიცხვაზე კლუბის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება.

*"იარო" ორი უცხოელი ფეხბურთელით გაძლიერდა – უკრაინელი სერგეი შპაკითა და ქართველი გიორგი ხიდეშელით.*

*ქართველმა თავდამსხმელმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მას ერთი კვირა აკვირდებოდნენ და თავის გამოჩენა მოახერხა. ლიგის თასზე "ას ოულოსთან" გოლი გაიტანა. ხიდეშელს შეუძლია როგორც თავდასხმაში, ასევე ნახევარდაცვაში თამაში.*

*"მსურს, გუნდს წარმატებების მიღწევაში ჩემი გოლებით დავეხმარო. უფრო გამთამაშებლობა მიზიდავს, მაგრამ ვითამაშებ იქ, სადაც მწვრთნელის აზრით უფრო სასარგებლო ვიქნები. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი თანამშრომლობა კარგად გაგრძელდება", -* განაცხადა ხიდეშელმა.

"იაროში" **გიორგი ვარდოსანიძეც** ისინჯებოდა, მაგრამ მას კონტრაქტი არ გაუფორმეს. ფინური კლუბის პრესსამსახური წერს:*"ქართველი ფეხბურთელი გიორგი ვარდოსანიძე "იაროში" ერთი კვირა ისინჯებოდა და გადაწყდა, რომ კლუბში არ დატოვებენ. მარცხენა ნახევარმცველი უკვე სამშობლოში გაემგზავრა".*

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი მწვრთნელები

ინტერვიუ გიორგი ჩიხრაძესთან

**საქართველოს** ჩემპიონატში ამ ბოლო დროს დაწინაურებულ ახალგაზრდა მწვრთნელებზე არაერთხელ ვისაუბრეთ და ბევრად უფრო მისასალმებელია უცხოეთში მოღვაწე ქართველ სპეციალისტთა არა ლოკალური, არამედ მართლაც სერიოზული წარმატებები. საერთოდაც, უკვე ორი-სამი წელია, უცხოეთში მომუშავე ახალი თაობის ქართველი მწვრთნელების წარმატებული საქმიანობა მხოლოდ და მხოლოდ დადებით ემოციებს რომ იწვევს; თანაც, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, იმავე თემურ ქეცბაიამ (კვიპროსზე), კახა ცხადაძემ (აზერბაიჯანში) და შოთა არველაძემ (თურქეთში) ის „სტერეოტიპი დაამსხვრიეს“, რის მიხედვითაც, წარსულში ცნობილ ფეხბურთელს თურმე სამწვრთნელო ასპარეზზე... სრული ფიასკო ელოდა! საბედნიეროდ, ჩვენი თანამემამულეების შემთხვევაში ასე არ მოხდა: დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის მართლაც გამორჩეული სამეული (თემურ ქეცბაია, კახა ცხადაძე, შოთა არველაძე) დღესდღეობით უკვე ჩამოყალიბებულ და წარმატებულ მწვრთნელებად უნდა მივიჩნიოთ; იმავეს თქმა შეიძლება გიორგი ჩიხრაძეზეც, — 2009 წლის ზაფხულიდან აზერბაიჯანის „ინტერში“ რომ მუშაობს და საქართველოს ნაკრებში ყოფილ თანაგუნდელსა და მეგობარს კახა ცხადაძეს ეხმარება.

... გიორგი ჩიხრაძეს ურიგო საფეხბურთო კარიერა ნამდვილად არ ჰქონია: ჭაბუკობისას თბილისის „დინამოს“ დუბლშემადგენლობაში თამაშობდა, შემდეგ საკავშირო II ლიგაში სოხუმის „დინამოში“ ასპარეზობდა. ეროვნული ჩემპიონატის დაწყებიდან სამწელიწადნახევარი (ანუ, ვიდრე აფხაზეთში საომარი მოქმედებები დაიწყებოდა) იმ დროისათვის ერთ-ერთ მართლაც გამორჩეული გუნდის, სოხუმის „ცხუმის“ დაცვის ბურჯი გახლდათ. ფიზიკურად ძლიერ და უშიშარ მარცხენა მცველს მეტოქეთა მიმართ „რიდი“ ნამდვილად არასდროს ჰქონია და ხშირად გვახსოვს ისეთი თამაშებიც, როცა ამა თუ იმ მწვრთნელს მოწინააღმდეგის ყველაზე სახიფათო ფეხბურთელის პერსონალური მეურვეობა სწორედ ჩიხრაძისთვის დაუვალებია.

... ორი სეზონი უკრაინულ „ტემპში“ ჩაატარა, მერე ბევრად უფრო ძლიერ და ამბიციურ უკრაინულ გუნდში გადავიდა და ორი სეზონის განმავლობაში დონეცკის „შახტარის“ ძირითადი შემადგენლობის წევრი გახლდათ; მერე, დროებით თბილისის „დინამოში“ დაბრუნდა, რასაც... ჩინეთში გამგზავრება მოჰყვა, საიდანაც თბილისის „ლოკომოტივში“ გადმოვიდა; ალბათ, არც უნანია — როგორც „ლოკომოტივის“ ფეხბურთელმა შეძლო გიორგი ჩიხრაძემ საქართველოს თასის მოპოვება, არადა, „ცხუმის“ შემადგენლობაში ორი ფინალი ჰქონდა წაგებული...

... გავა წლები და ჩიხრაძეს კიდევ არაერთხელ ვნახავთ საქართველოს თასის ფინალში, ოღონდ, ამჯერად უკვე მთავარი მწვრთნელის რანგში! რაღა თქმა უნდა, მართლაც კოლორიტულ და თვითმყოფად გუნდს, თბილისი „ამერს“ ვიხსენებთ; გუნდს, სადაც ისრაელის ჩემპიონატში გატარებული 2 სეზონის მერე გიორგი ჩიხრაძემ თავისი საფეხბურთო კარიერა დაასრულა და მერე, როგორც მწვრთნელმა, მართლაც ჩინებულ შედეგს მიაღწია: „ამერი“ სამჯერ გაიყვანა თასის ფინალში და ორჯერ მოაპოვებინა ეს საპატიო პრიზი, ასევე ორჯერ კი, საქართველოს სუპერთასზე გაიმარჯვა! სხვათა შორის, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ჩიხრაძე ერთადერთია, ვისაც საქართველოს თასი ფეხბურთელობის დროსაც აქვს მოგებული და როგორც — მწვრთნელსაც; ასევე ერთადერთია, ვისაც კოლეგებს შორის ყველაზე მეტჯერ გაუმარჯვია სუპერთასზე. ისე, ბაქოს „ინტერის“ მთავარ მწვრთნელს კახა ცხადაძესაც აქვს საამაყო მიღწევა: როგორც ფეხბურთელი და როგორც მწვრთნელი, საქართველოს ჩემპიონი სხვა არავინ გამხდარა! და აი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2009 წლის ზაფხულიდან ცხადაძე და ჩიხრაძე აზერბაიჯანის „ინტერს“ წვრთნიან და თავიანთ კოლექციას ახალ-ახალი ტიტულებით ამდიდრებენ: შარშან მაისში აზერბაიჯანის ჩემპიონობას სულ ახლახან დსთ-ს თასიც მიუმატეს! რას ვიზამთ, ასეთია რეალობა: 2006 და 2007 წლების საქართველოს საუკეთესო მწვრთნელები დღესდღეობით სხვა ქვეყნის გუნდში ავლენენ თავიანთ სამწვრთნელო შესაძლებლობებს...

ჩიხრაძის საფეხბურთო კარიერაზე ზემოთ რომ ვსაუბრობდით, საქართველოს ნაკრები „გაკვრით“ ვახსენეთ, არადა, ორ ათეულზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული და ეს ციფრი ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო, ოთხი წლის განმავლობაში მისთვის იგნორირება რომ არ გაეკეთებინათ; ყოველ შემთხვევაში, ის კი ნაღდია, რომ 1994 წლის 12 სექტემბრამდე (სოფიაში, ბულგარეთის ნაკრებთან შეხვედრამდე) ჩიხრაძეს ჩვენს უპირველეს გუნდში არ იძახებდნენ...

დსთ-ის თასზე ტრიუმფის შემდეგ ბაქოს „ინტერი“ თურქეთში გაემგზავრა და აზერბაიჯანის ჩემპიონატის გადამწყვეტი ეტაპისათვის იქ ემზადება. ქართველი ჟურნალისტებისგან ამ ბოლო დროს „მივიწყებულ“ გიორგი ჩიხრაძეს თურქეთში დავუკავშირდით და უპირველეს ყოვლისა, დსთ-ს თასზე გამარჯვება მივულოცეთ.

— კლუბის ხელმძღვანელობამ მიზნად ამ ტურნირის მოგება დაგვისახა; იმის მიუხედავად, რომ მოსამზადებლად ძალიან ცოტა დრო გვქონდა, ანთალიაში შეკრება ნაყოფიერად გამოვიყენეთ. თანაც, ვერც ვერავინ დავიმატეთ, მაგრამ სანკტ-პეტერბურგში ჩატარებული ტურნირის ყველა მატჩში ვამტკიცებდით, რომ ერთ-ერთი უპირველესი ფავორიტი სწორედ „ინტერი“ უნდა ყოფილიყო.

# ინტერნაციონალური სამსახურის ნაციონალური მომენტები

## ჩემპიონობა, დსთ, თასი: ქართულ ტანდემს ტრიტული უნდა

**— დსთ-ის თასზე თქვენი გუნდის ტრიუმფზე და იქაურ პერიპეტიებზე მერე დაგეკითხებით; მანამდე კი ის გვაინტერესებს, ბაქოს „ინტერში“ როგორ აღმოჩნდით.**

— როცა „ამერმა“ უმაღლეს ლიგაში ასპარეზობაზე უარი თქვა, არ ვითაკილე და ამ გუნდთან ერთად პირველ ლიგაში დავბრუნდი; იმავე სეზონში მოვიპოვეთ უმაღლესი ლიგის საგზური, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო გუნდი, ფაქტობრივად, დაიშალა. სწორედ ამ დროს დამიკავშირდა კახა ცხადაძე და ბაქოს „ინტერში“ მუშაობა შემომთავაზა.

**— საქართველოში იმ დროისათვის ერთ-ერთი წარმატებული მწვრთნელი იყავით, ტიტულს-ტიტულზე იგებდით და... მეორე მწვრთნელობას ასე ადვილად დათანხმდით?**

— ჯერ ერთი, მე და კახა მეგობრები ვართ, წლების განმავლობაში საქართველოს ნაკრებში ერთად ვთამაშობდით; თანაც, სულაც არ მითაკილია ასისტენტობა — მივიჩნიე, რომ ჩემს სამწვრთნელო კარიერაში ახალი ეტაპი უნდა დაწყებულიყო; მით უფრო, რომ მსურდა საკუთარი შესაძლებლობები სხვა ქვეყნის ჩემპიონატშიც მომესინჯა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტსაც, რომ მივდიოდი საკმაოდ ამბიციურ გუნდში და, რო-



გიორგი ჩიხრაძე (მარცხნივ) და კახა ცხადაძე

გორც უკვე გითხარით, ჩემს მეგობართან.

**— ნაკრებში ერთად თამაშობდით, თუმცა ასევე წლების განმავლობაში როგორც მწვრთნელები, კონკურენტებიც იყავით, — „სიონისა“ და „ამერის“ დაპირისპირებებს ვგულისხმობთ..**

— ფეხბურთში ასეა: მეგობრები, ხან ერთ გუნდში თამაშობენ, ხან — მეტოქეები არიან; იგივე სიტუაციაა სამწვრთნელო ასპარეზზეც და ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ.

**— აზერბაიჯანში სადებიუტო სეზონშივე ჩემპიონი გახდით. არადა, წინა სეზონის მინუსულს „ინტერის“ წარმატებისა უკვე ბევრს აღარ სჯეროდა.**

— არ მინდა, ამ გუნდის ქართველ მწვრთნელებს ვინმემ თავის ქებაში ჩაგვითვალოს, მაგრამ ბევრი სიძნელე გადავლახეთ და საბოლოოდ ჩვენი შრომა დაფასდა. რა თქმა უნდა, გუნდს გააჩნდა ის პოტენციალი, მაღალი მიზნებისთვის რომ ებრძოლა, მაგრამ წმინდა სპორტულის გარდა, უამრავი გარეშე ფაქტორთანაც გვიხდებოდა გამკლავება. ჩვენი წარმატება უფრო მეტად იმიტომ არის დასაფასებელი, რომ „ინტერის“ ბიუჯეტი უშუალო კონკურენტებისას საგრძნობლად ჩამორჩება.

**— მწვრთნელების გარდა, „ინტერში“ ქართველი ფეხბურთელებიც მრავლად არიან. ეს ფაქტი კი, როგორც ვიცით, ზოგს ალიზიანებს კიდეც...**

— არა მგონია, ალიზიანებდეთ, უბრალოდ, ნებისმიერ ქვეყანაში უცხოელს „სხვა“ თვალით უცქერენ; მერე, თუ შედეგი არ აჩვენე, მაშინ ხომ მართლაც ძნელია მუშაობა. რა თქმა უნდა, კეთილისმსურველების გარდა, აზერბაიჯანში ისეთი კატეგორიაც არის, ჩვენი წარმატებები რომ არ სიამოვნებს. თუმცა, მთლიანობაში, კლუბის ხელმძღვანელებსა თუ გუნდის ქომაგებს ქართველების მიმართ სასაყვედურო არაფერი აქვთ — აზერბაიჯანის ჩემპიონობას ახლა უკვე დსთ-ის თასიც „მოვაყოლეთ“.

**— „ინტერმა“ ახალი სეზონი ცოტა „მძიმედ“ დაიწყო...**

— წელანაც გითხარით, რომ კონკურენტები ფინანსური შესაძლებლობებით ბევრად გვჯობიან: „ნეფთჩიც“, „ხაზარიც“, „ბაქოც“ „გაბალაც“; აქედან გამომდინარე, სატრანსფერო ბაზარზე ბევრად ვერ ვიაქტიურეთ, კვალიფიციური ფეხბურთელებიც ვერ დავიმატეთ, მაშინ როცა კონკურენტები თავიანთთვის სასურველ ლეგიონერებში ასტრონომიულ თანხებს იხდიან.

**— აზერბაიჯანის ჩემპიონატში საერთოდ, ლეგიონერების თემა მეტად აქტუალურია.**

— აქტუალური ლეგიონერებზე დაწესებული ლიმიტია: ძირითად შემადგენლობაში აუცილებელია, რომ სამმა ადგილობრივმა ფეხბურთელმა ითამაშოს; არადა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში შესაბამისი კვალიფიკაციის ადგილობრივი ფეხბურთელების დეფიციტია. ვინც იყვნენ, სწორედ ჩემ მიერ დასახელებულ იმ შეძლე-ბულ გუნდებში თამაშობდნენ და „ინტერში“ ამ მხრივაც გარკვეული პრობლემას ვაწყდებოდით.

**— ჩემპიონთა ლიგაზე „ინტერისა“ და პოლონური „ლეხის“ დაპირისპირებაზეც გვიამბეთ.**

— საკმაოდ მაღალი დონის გუნდი იყო და ეს შემდეგშიც, ევროპის ლიგაზე წარმატებული ასპარეზობითაც დაამტკიცა. სამწუხაროდ, პირველ მატჩში დასანანი მარცხი განვიცადეთ — ერთმა უპატიებელმა შეცდომამ შეხვედრის ბედი გადაწყვიტა. არავის ეგონა, სტუმრად რაიმე შანსი თუ გვექნებოდა, მაგრამ სწორი ანალიზისა და შემადგენლობაში გარკვეული კორექტივების შეტანით განმეორებითი მატჩი მართლაც მაღალ დონეზე ჩავატარეთ. ძირითად დროში რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გვქონდა, მაგრამ მხოლოდ ერთი გამოვიყენეთ; დამატებით დროშიც შეგვეძლო მოგება, მაგრამ ყველაფერი პენალტების სერიაში გადაწყდა, როცა ამ ნერვების ომში მეთერთმეტე-მეთერთმეტე დარტყმები უკვე... მეკარეებს უნდა შეესრულებინათ.

**— ბედის ირონიით, გადამწყვეტი დარტყმა გიორგი ლომაიას გაუცუდდა, ვინც ამ დრამატული შეხვედრის გმირი უნდა გამხდარიყო...**

— გეთანხმებით, გიორგიმ მართლაც ჩინებულად ჩაატარა ის მატჩი, თერთმეტმეტრიანების სერიაშიც ორი პენალტი მოიგერია, მაგრამ... თავის კოლეგას ვერ აჯობა; ლომაიას პენალტების მოგერიება როგორ შეუძლია, ახლახან დასრულებულ დსთ-ის თასზეც დაამტკიცა — ფინალში კვლავაც 2 თერთმეტმეტრიანი მოიგერია!

**— გულახდილად გვითხარით: სანკტ-პეტერბურგში გამგზავრების წინ „ინტერის“ სამწვრთნელო შტაბს კლუბის ხელმძღვანელებისგან ულტიმატუმი მართლაც ჰქონდა?**

— საუბრის დასაწყისშივე აღვნიშნე, რომ ჩვენი მიზანი ამ ტურნირის მოგება იყო. რა თქმა უნდა სასიხარულოა, რომ ჩვენი წარმატება ყველამ კანონზომიერებად მიიჩნია და ორმაგად სასიამოვნოა, როცა ამ გამარჯვებაში არცთუ მოკრძალებული წვლილი „ინტერის“ ქართველებმაც შეიტანეს...

**— ამ ტურნირზე „ინტერმა“ მართლაც შთამბეჭდავად იასპარეზა: ხუთ მატჩში მეტოქეთა კარში 16 გოლი გაიტანა და საკუთარში (ძირითად დროში) არც ერთი გაუშვია. თუმცა, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, მეოთხედფინალში სომხურ „მიკასთან“ გამარჯვებამ უფრო დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია აზერბაიჯანში, ვიდრე, საერთოდ, ამ ტურნირის მოგებამ!**

— ჯერ იმას ვიტყვი, რომ მეოთხედფინალში მეტოქედ ლატვიურ „სკონტოსა“ ან ყაზახურ „ტობოლს“ ვვარაუდობდით, ამ დროს კი, ... სომხური „მიკა“ შეგვხვდა! რა თქმა უნდა, კლუბში ყველამ კარგად ვიცოდით, თუ რა პოლიტიკური დატვირთვა ექნებოდა ამ მატჩს; სამწვრთნელო შტაბმა მაქსიმალურად შევეცადეთ, რომ ჩვენს მოთამაშეებს მხოლოდ ფეხბურთზე ეფიქრათ და იმაზე, რომ ამ შეხვედრაში ნახევარფინალისტის ვინაობა ირკვეოდა, მაგრამ, გარკვეული დაძაბულობა მაინც იგრძნობოდა...

**— უშუალოდ მატჩის დროს რაიმე ექსცესი ხომ არ მომხდარა?**

— ერთადერთ სათამაშო ეპიზოდს თუ არ ჩავთვლით, თამაშის დროს ინციდენტი არაფერი მომხდარა; თუმცა, შინაგანი დაძაბულობა მატჩის მონაწილე ფეხბურთელებს მაინც ეტყობოდათ, განსაკუთრებით კი „ინტერში“ მოასპარეზე აზერბაიჯანელ ფეხბურთელებს. სხვათა შორის, მეტოქე გუნდის მთავარი მწვრთნელიც ისე იქცეოდა, როგორც პროფესიონალს შეეფერება.

**— „სხვანაირად“ რატომ უნდა მოქცეულიყო — თავისი გუნდი ხომ „ინტერთან“ უშანსოდ (0:4) დამარცხდა.**

— „მიკასთან“ ამ ტურნირზე ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩავატარეთ; ისიც ვიცოდით, თუ რა გამოხმაურება მოყვა აზერბაიჯანში ჩვენს გამარჯვებას — ქვეყნის პრეზიდენტმაც მოგვილოცა! თუმცა, არ დაგიმალავთ და ვიტყვი, რომ გუნდის მთავარი მიზანი ამ ტურნირის მოგება იყო და ნახევარფინალშიც დიდი ანგარიშით გავიმარჯვეთ, ხოლო ფინალში კი პენალტების სერიაში ვაჯობეთ ბელარუსის „შახტიორს“.

**— მალე აზერბაიჯანის ჩემპიონატი განახლდება და სატურნირო ცხრილს თუ გადავხედავთ, „ინტერს“ ტიტულის შენარჩუნებ, ალბათ, გაუჭირდება. სამაგიეროდ, გუნდს მშვენიერი შანსი აქვს აზერბაიჯანის თასი მოიპოვოს.**

— პირველ ადგილზე მყოფ „ნეფთჩის“ 7 ქულით ჩამოვრჩებით, მაგრამ წინ კიდევ ბევრი მატჩია და „ინტერის“ საჩემპიონო რბოლიდან ჩამოწერა ნაადრევია. პარალელურად თასზეც ვაგრძელებთ ბრძოლას და „ინტერის“ ქართველობას ახალი სტიმულიც გაგვიჩნდა: ჩემპიონები გავხდით, დსთ-ს თასზე გავიმარჯვეთ, ახლა კი აზერბაიჯანის თასის მოპოვებაზე ვიფიქრებთ.

**— დაბოლოს, იმ ტენდენციაზეც გკითხავთ, ამ ბოლო დროს ქართულ ფეხბურთში ახალგაზრდა მწვრთნელების წარმატებულ მუშაობას რომ უკავშირდება.**

— სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩემი აზრით, მართლაც დადებითი ტენდენციაა, თანაც, დავუკვირდით, ვისზეა საუბარი, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე გამორჩეული თაობის წარმომადგენლებზე — თემურ ქეცბაიაზე, კახა ცხადაძეზე, შოთა არველაძეზე; დიდი ფეხბურთიც ითამაშეს და ახლა უკვე თავიანთ ცოდნას ბევრად უფრო საპასუხისმგებლო ასპარეზზე იყენებენ. რაც მთავარია, არც ერთს სწავლა არ ეთაკილება. მუდამ წინსვლაზე ფიქრობენ და მათ თავდაუზოგავ მუშაობას რა შედეგიც მოაქვს, ყველა კარგად ხედავს...

**გია ტუხაშვილი**

● ლეგიონერები

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი შელია

# ბოსი, რა ბოსი და, რა სიტყვა

## კარში შელია ჩადგება! მოჭრა ოვჩინიკოვმა

უკვე დათვლაც შეუძლებელია: როგორც ნაწვიმარზე სოკო, ისე გამრავლდნენ უცხოეთში უცნობი ქართველი ფეხბურთელები, მათი უმრავლესობა კი საქართველოს მოქალაქე არ არის.

ერთ-ერთი მათგანია მეკარე **გიორგი შელია,** რომელიც 1988 წლის 11 დეკემბერს დაიბადა. ის საკმაოდ ტანმაღალია (190 სმ), ამჟამად რუსეთის პირველი დივიზიონის ბრიანსკის "დინამოში" თამაშობს, სადაც 2009 წელს ჩაირიცხა და სულ 47 შეხვედრა ჩაატარა.

გიორგი 2010 წლის დასაწყისი ასტრახანის "ვოლგარში" გაანათხოვრეს, მაგრამ გასულ წელს ბრიანსკში დაბრუნდა და, ინტერნეტგაზეთმა "ვანდივიზიონმა" სეზონის შედეგები რომ შეაჯამა, რუსეთის პირველი დივიზიონის მეკარეებში მეათე ადგილზე დაასახელა, თუმცა 21-ე ტურის შემდეგ მესამეზე იმყოფებოდა.

"დინამოს" რუსეთის ნაკრებისა და მოსკოვის "ლოკომოტივის" ყოფილი მეკარე **სერგეი ოვჩინიკოვი** ავარჯიშებს. ასეთი მეკარის შეფასება განსაკუთრებით დასაფასებელია, "ბოსი" (ოვჩინიკოვის მეტსახელია) კი ქართველს აქებს.

*"დღეისთვის კლუბის ლიდერები ფომიჩევი და შელია არიან... კარში შელიას დაყენება გადავწყვიტე და არა გამოცდილი სულოევისა. გიორგი კარგად თამაშობს და რატომ უნდა შევცვალო?",* - ეს იყო ოვჩინიკოვის პასუხი კითხვაზე, რატომ ათამაშებდა შელიას და არა მის კონკურენტებს.

სხვათა შორის, შელიამ ძირითადი შემადგენლობიდან არა მხოლოდ **ვიტალი სულოევი**, არამედ რუსეთის ნაკრების ყოფილი კანდიდატი **ვენიამინ მანდრიკინიც** "ამოაგდო", სეზონის ბოლოს კი ბრიანსკის კლუბში სამი მეკარიდან მხოლოდ ის დატოვეს, კონკურენტად კი გამოცდილი **რომან გერუსი** მიუყვანეს.

"ვანდივიზიონმა" პირველი ლიგის გუნდები პოზიციების მიხედვით შეაფასა, ბრიანსკის "დინამოს" მეკარეები საუკეთესოთა რეიტინგში 6,5 ქულით მეოთხე ადგილზე დაასახელა და ლიგაში ერთ-ერთი საიმედო უწოდა.

**მერაბ მამულაშვილი**

# შალამბერიძემ ოდრასგან თავი დაიხსნა

**კობა შალამბერიძე** პოლონური "ოდრასგან" თავისუფალია და ახალ კლუბს ეძებს. დიდი ხანია, 26 წლის ქართველ ნახევარმცველს "ოდრას" დატოვება სურდა და მიზანს მხოლოდ პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციაში შეტანილი საჩივრის საშუალებით მიაღწია. კობას ამ კლუბთან კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლომდე ჰქონდა გაფორმებული, მაგრამ რაკი "ოდრა" ფეხბურთელებს სახელფასო დავალიანებას ვერ უსტუმრებდა, შალამბერიძისა და კიდევ არაერთი მოთამაშის წასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავი იყო, ფეხბურთელები მხოლოდ ფედერაციის თანხმობას ელოდნენ.

შალამბერიძე "ოდრას" წინა სეზონში შეუერთდა. იმ დროისთვის გუნდი "ქსტრაკლასას"აუტსაიდერი იყო და ელიტიდან გავარდა კიდეც. მიმდინარე სეზონში კობა "ოდრას" ძირითად შემადგენლობაში საკმაოდ ხშირად თამაშობდა და პოლონურ მედიაშიც მის თამაშს ხშირად დადებითად აფასებდნენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● გამოხმაურება

# აი, ასეთი მწამს დებიუტი

სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეებში „ლივერპული" ვნებათაღელვის ცენტრში მოექცა, მაგრამ გასულ ორშაბათს ყველაფერი ჩაცხრა, ხოლო ოთხშაბათს „აიაქსიდან" 22,8 მილიონ ფუნტად ნაყიდმა ურუგვაელმა თავდამსხმელმა **ლუის სუარესმა** წითელი მაისურით თავის პირველსავე შეხვედრაში გოლი გაიტანა - მერსისაიდელებმა „სტოკ სიტი" დაამარცხეს - 2:0. სუარესის გოლს სახელიც კი შეერქვა: დაივიწყეთ **ფერნანდო ტორესი**. ყოფილი აიაქსელი მოედანზე 63-ე წუთზე შევიდა და თხუთმეტ წუთში „ლივერპულის" მეორე გოლი შეაგდო.

მართალი გითხრათ, რატომ ჩაუთვალეს ეს გოლი ურუგვაელს, გაუგებარია. ჩვეულებრივ, ეპიზოდებში, როდესაც ბურთს ბოლოს მეტოქის მცველი ეხება, ავტოგოლს აფიქსირებენ. ამ შემთხვევაში ავტოგოლი კიდევ უფრო აშკარა იყო: სუარესმა ბურთი მოედნის ცენტრთან მიიღო და იქიდანვე დაიწყო მეკარისკენ პირისპირ სვლა (წინ მცველი აღარ ჰყავდა). საჯარიმოსთან მან „სტოკის" მეკარე **ასმირ ბეგოვიჩი** მოატყუა, ოდნავ განზე გაიწია და დაუცველ კარში დაარტყა. სტუმართა მდევარი მცველი **ენდრიუ უილკინსი** გასრიალდა და ბურთს ფეხი ჰკრა, კუთხურზე რომ გადაეგდო, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა, კარის ხაზის გასწვრივ იხტუნა და ბადეში მეორე ძელთან შევარდა.

ისე, ლუის სუარესი სულაც არ იყო პრემიერლიგაში ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც სატრანსფერო ფანჯრის დახურვის შემდეგ ახალ გუნდში, პირველსავე შეხვედრაში გოლი შეაგდო. იგივე მოახერხეს **რობი კინმა** „ვესტ ჰემის" მაისურით და უკვე ბოლტონელმა **დენიელ სტარიჯმა**. თუმცა დავუბრუნდეთ „ლივერპულს" და მის მწვრთნელ **კენი დალგლიშს**, რომლისთვისაც „სტოკის" კარში გასული გოლი სუარესის წარმატება გახლდათ და არა ენდრიუ უილკინსის მიერ საკუთარ კარში შეგდებული ბურთი. „კოპის მეფე კენიმ" თქვა:

*„ძალიან მიხარია, ლუისმა გოლი რომ გაიტანა. მას ჯერ ჩვენთან ერთად ვარჯიშის შესაძლებლობაც კი არ ჰქონია. სუარესმა ბრიტანეთში მუშაობის უფლება მხოლოდ გუშინ მიიღო და პირდაპირ შემადგენლობაში ამოყო თავი. ვფიქრობ, როდესაც დანარჩენ ბიჭებთან ერთად ვარჯიშს შეუდგება, ის კიდევ უფრო კარგად ათამაშდება. ხომ ნახეთ, რა ფართე და ალალი ღიმილი გადაეფინა სახეზე. ის სწორედ ასეთი კაცია - გულწრფელი. სუარესი ძალიან კარგი ადამიანია".*



სუარესი პირველ გოლს ხარობს

შეგახსენებთ, რომ ლუის სუარესს 8 დეკემბრის შემდეგ ფეხბურთი არ უთამაშია - „აიაქსში" რომ თამაშობდა, მეტოქეს ხელი გაარტყა და 7 თამაშით დისკვალიფიცირებული გახლდათ. დალგლიშმა დასძინა:

*„ჩვენ მას არანაირი ზეწოლის ქვეშ არ მოვაქცევთ, არ დავუთქვამთ თარიღს, როდესაც საუკეთესო ფორმაში უნდა იყოს. ის ვარჯიშითა და თამაშით ბუნებრივად მიაღწევს პიკს, თუმცა არც დღეს არის ცუდ ფორმაში. მოდი, ახლა „ლივერპულის" თავდასხმას გადავხედოთ: სუარესი, ენდი ქეროლი, სტივენ ჯერარდი და რაულ მეირელეში... ვფიქრობ, მოწინააღმდეგეებს „ენფილდ როუდზე" ჩამოსვლა უკვე შეეშინდებათ.*

*ახლა ისევ დღევანდელზე: იყო თუ არა ეს ლუისის გოლი? განა ბურთი კარში არ შედიოდა? რასაკვირველია, შედიოდა, ჰოდა თუ ასე იყო, მაშინ გოლი სუარესს უნდა ჩაეთვალოს. დიდებულია, როდესაც თავდამსხმელს, ახალ გუნდში, პირველსავე შეხვედრაში გოლი გააქვს. ვფიქრობ, ლუისს დირკ კუიტმა შესანიშნავად აუღო ალღო".*

დალგლიშმა **ენდი ქეროლი** ახსენა. როდესაც თამაშის წინ მოთელვაზე ის მოედანზე გავიდა, „ენფილდ როუდმა" ოვაცია მოუწყო.

*„ენდის ფორმაში ჩადგომამდე ჯერ რამდენიმე კვირაა, მაგრამ ამაზე ნერვიულობას არ ვაპირებთ. ჩვენ ის რამდენიმე კვირით კი არ გვიყიდია, ხუთწელიწადნახევრით შევიძინეთ"* - თქვა დალგლიშმა.

„ენფილდ როუდის" ყოფილმა ვარსკვლავმა **ჯონ ოლდრიჯმა** კი „ჩელსიში" წასული ტორესის სალანძღავად მოიცალა.

*„ტორესი მარტივი, მერკანტილური ადამიანია, რომელსაც დიდი ხელფასი დაანახვეს და გაიქცა. არადა, „ლივერპულის" ფანები მთელი სეზონის განმავლობაში მხარში ედგნენ და მისი ცუდი თამაშის გამართლებას ცდილობდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ ტორესს ძველი ტრავმები არ აძლევდა კარგად თამაშის საშუალებას. არადა, თურმე, მთელი ამ ხნის განმავლობაში ის გაქცევაზე ფიქრობდა.*

*კლუბი სწორად მოიქცა, ტორესი რომ გაუშვა. როგორც კი მან ტრანსფერი ითხოვა, იმწუთას ნათელი გახდა, რომ მის დატოვებას აზრი აღარ ჰქონდა. ტორესს ძალიან ბევრჯერ ულაპარაკია, რას ნიშნავს მისთვის „ლივერპულის" ფეხბურთელობა, ამ კლუბის ფასეულობები, მაგრამ სინამდვილეში ვერაფერს ხვდებოდა".*

მოგეხსენებათ, ბედის ირონიით ტორესის დებიუტი „ჩელსის" შემადგენლობაში კვირას, საქართველოს დროით საღამოს 8 საათზე, მაინცდამაინც „ლივერპულის" წინააღმდეგ გაიმართება.

● გამოხმაურება

# გამიფრინდა სიტი-გვრიტი...



ამ ეპიზოდში კინაღამ მიკა რიჩარდსს სიცოცხლე შეიწირა

**როპერტო მანჩინი** ამბობს, რომ მისმა გუნდმა, „მანჩესტერ სიტიმ", „სენტ ენდრიუზე" უპირატესობის ხელიდან ორჯერ გაშვების შემდეგ პრემიერლიგის ჩემპიონობის შანსი საბოლოოდ დაკარგა. „სენტ ენდრიუ", მოგეხსენებათ, „ბირმინგემ სიტის" სტადიონია, სადაც ისტლენდელები **კარლოს ტევესისა** და **ალექსანდრ კოლაროვის** გოლების წყალობით ორჯერ დაწინაურდნენ, მაგრამ მასპინძლებმა ორჯერვე გაუთანაბრეს და შედეგად სიტი ლიდერ „იუნაიტედს" უკვე 8 ქულით ჩამორჩა. თან, ნუ დაგვავიწყდება, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს", ისევე როგორც „არსენალსა" და „ჩელსის", „სიტიზე" თითო თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული.

განაწყენებულმა მანჩინიმ მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე თქვა: *„ეს უკვე მეტისმეტია. ახლა ჩვენთვის მთავარია კვლავ გამოვნახოთ ძალები და ფეხბურთის თამაშს დავუბრუნდეთ, თორემ რაც დღეს ვნახეთ, ფეხბურთი არ იყო".*

„ბირმინგემის" მეორე გოლი პენალტით გავიდა. თამაშის დასრულებამდე დაახლოებით 15 წუთი რჩებოდა, როდესაც **პატრიკ ვიეირამ კევინ ფილიპსი** წააქცია და **კრეიგ გარდნერმა** თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან გაქვითა ანგარიში. მანჩინის აზრით, მსაჯს ამ ეპიზოდში პენალტი არ უნდა დაენიშნა, რადგან ფილიპსმა სინამდვილეში ისიმულიანტა, თუმცა იტალიელი მწვრთნელი ყველაზე კრიტიკულად მაინც თავისი ფეხბურთელების მიმართ გახლდათ განწყობილი.

*„განზილებული დავრჩი, რადგან ორი გოლი გავუშვით - განაგრძო ისტლენდელთა თავკაცმა - როგორ მოვიგებთ, თუ ყველა შეხვედრაში ორ-ორ გოლს გავუშვებთ? უკვე ხუთი თუ ექვსი თამაშია ერთი და იგივე მეორდება. ვარჯიშებზე იცოცხლე, ყველაფერს ვამუშავებთ, მაგრამ თამაშებში ეს მომზადება სადღაც ქრება. დღეს, იანვარ-თებერვალში, როდესაც გუნდი გადაღლილია, 1:0-ების მოგებაზე უნდა ავეწყოთ, მაგრამ ამას ვერ ვახერხებთ. უკეთ რომ გვეთამაშა, შესაძლოა ჩემპიონის ტიტულსაც შევჭიდებოდით, მაგრამ ასეთი ფეხბურთით გამორიცხულია".*

ამ შეხვედრაში მანჩინის მოედანზე დიდი შემტევი ძალა ჰყავდა გაშვებული - **ედინ ჯეკო** და **კარლოს ტევესი დავიდ სილვასთან** ერთად მოქმედებდნენ, მაგრამ ამან ეფექტი უფრო მეტად შეხვედრის დასაწყისში მოიტანა, შემდეგ კი სტუმართა უპირატესობამ იკლო.

ზემოთ პენალტი ვახსენეთ. მან „სენტ ენდრიუს" ფანობა გაოცებული დატოვა, რადგან, მათ არც კი ახსოვთ, როდის დანიშნეს „ბირმინგემის" სასარგებლოდ ბოლოს თერთმეტმეტრიანი დარტყმა. მეორე მხრივ, როგორც მოგახსენეთ, მანჩინიმ თქვა, რომ პენალტი არ უნდა დანიშნულიყო, თუმცა მასპინძელთა გუნდის თავკაცმა **ალექს მაკლიშმა** ასე ბრძანა:

*„რობერტო, რასაკვირველია, იტყოდა, რომ პენალტი არ იყო, მე კი იმას მოგახსენებთ, რომ ჩვენს კარში გამუდმებით ინიშნება თერთმეტმეტრიანი დარტყმები და თითქმის ყველა გაცილებით უფრო საკამათოა, ვიდრე ეს იყო. დარწმუნებული ვარ, რომ „მანჩესტერ სიტის" თავკაცი არ თვალთმაქცობს და გულწრფელად ფიქრობს, რომ იმ ეპიზოდში პენალტი არ უნდა დანიშნულიყო, მაგრამ მე კატეგორიულად ვაცხადებ - ვიეირამ კევინი წააქცია. კევინი „მყვინთავი" არასდროს ყოფილა".*

და კიდევ ერთი შთამბეჭდავი ეპიზოდი, რომელიც ამ შეხვედრაში იყო: ისტლენდელი **მიკა რიჩარდსი** თანაგუნდელ **ნაიჯელ დე იონგთან** შეჯახების შემდეგ გონებადაკარგული დაეცა. 22 წლის მარჯვენა მცველს მოედანზე ჟანგბადის ბალონით ასუნთქეს, შემდეგ კი საავადმყოფოში გააქანეს.

## რატომ წავიდა ნევილი?

მოგეხსენებათ, „მანჩესტერ იუნაიტედის" ვეტერანმა მცველმა **გარი ნევილმა** გამოაცხადა, რომ ფეხბურთიდან მიდის. ფეხბურთელი, რომელსაც სერ **ალექს ფერგიუსონმა** უწოდა „კაცი, რომელიც არასდროს ნებდება", მაშინ გატყდა, როდესაც შეიტყო, რომ ფერგიმ ჩემპიონთა ლიგის საგაზაფხულო განაცხადში არ შეიყვანა. ფეხბურთელი, რომელიც 18 თებერვალს 36 წლისა ხდება ყველა ღონეს ხმარობდა, რათა თავისი თაობის ვარსკვლავებთან **რაიან გიგზთან** და **პოლ სქოულზთან** ერთად მოხვედრილიყო 25-კაციან სიაში და კიდევ ერთხელ შეეტია ევროპის უდიდესი საკლუბო ჯილდოსთვის, მაგრამ სურვილი არ აუხდა. კოჭის ბოლო ტრავმამ ნევილის კარიერა მაინც მიიყვანა დასასრულამდე.

მიმდინარე სეზონში გარი ნევილი ფერგიუსონმა სულ სამჯერ შეიყვანა სასტარტო შემადგენლობაში და აქედან ორჯერ ის წითელ ბარათსა და მოედნიდან გაგდებას იმსახურებდა. საბოლოოდ ნევილმა გზა **რაფაელს**, **ჯონ ო'შისა** და **ვეს ბრაუნს** დაუთმო.

*„მე მთელი ცხოვრება „მანჩესტერ იუნაიტედის" ფანი ვიყავი და ამ კლუბთან ერთად ყველა ოცნება ავისრულე - უთხრა ნევილმა ჟურნალისტებს - ძალიან მწყდება გული, კარიერას რომ ვამთავრებ, მაგრამ ასეთი დღე ყველა ფეხბურთელის ცხოვრებაში დგება. ჩემთვის ეს დღევანდელი დღეა. მინდა ძალიან ბევრ ადამიანს ვუთხრა მადლობა და უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, სერ ალექსს".*

## პირდაპირ დარენი

„ასტონ ვილას" ახალმა შენაძენმა, ბირმინგემში „სანდერლენდიდან" 24 მილიონ ფუნტად გადასულმა **დარენ ბენტმა** გულწრფელად აღიარა, რომ როდესაც ახალი გუნდის გასახდელში შევიდა და დაინახა, რომ **ჟერარ ულიესა** და **რობერ პირესის** გვერდით დგას, აღტაცებისგან პირი დააღო. მართალია ინგლისელი ფორვარდი თავადაც ვარსკვლავად ითვლება, მაგრამ ფრანგი ვეტერანის დანახვამ მასზე მაინც ძალიან იმოქმედა. ბავშვობიდან „არსენალის" ფანმა თქვა:

*„ბედნიერი კაცი ვარ, კარიერაში რამდენიმე დიდებულ მწვრთნელთან რომ მქონია ურთიერთობა, მაგრამ ჟერარ ულიეს დონის სპეციალისტის ხელმძღვანელობით თამაში განსაკუთრებული რამ ყოფილა. ის გაცილებით სრულყოფილია, ვიდრე სხვა შეფები და ფეხბურთი მართლა ძალიან კარგად იცის. მართალი გითხრათ, „ასტონ ვილას" გასახდელში პირველად რომ შევედი და რობერ პირესი დავინახე, ცოტა ავღელდი კიდეც. ის წლების განმავლობაში დიდ ფეხბურთს თამაშობდა და დაუმარცხებელი „არსენალის" წევრი იყო".*

## გრანტმა მხსნელი იპოვა

„ვესტ ჰემის" თავკაცმა **ავრამ გრანტმა** თქვა, რომ ახალშეძენილ **რობი კინს** „ჩაქუჩების" უსაფრთხო პოზიციაზე გადაყვანა შეუძლია. ლონდონელთა მაისურით ირლანდიელმა ფორვარდმა გააკეთა ის, რაც 2009 წლის ნოემბრის შემდეგ არ გაეკეთებინა - პრემიერლიგის შეხვედრაში გოლი შეაგდო. გრანტმა თქვა:

*„ბოლო შეხვედრებში გოლები კი გაგვქონდა, მაგრამ ახლა სულ სხვა დონის თავდამსხმელი გვყავს. რობი ის ფორვარდია, რომელსაც ერთადერთი შესაძლებლობიდან შეუძლია გოლის შეგდება. რობი ფანტასტიკური მოთამაშეა, რომელიც ძალიან დიდ საქმეს გაგვიკეთებს".*

„ვესტ ჰემმა" „ბლექპულს" 3:1 მოუგო და ამ შეხვედრაში კინის გარდა ორი გოლი **ვიქტორ ობინამ** გაიტანა. ამ დამარცხების გამო ზღვისპირელები გასავარდნ ზონას მხოლოდ 4 ქულით აღემატებიან. **იან ჰოლოუეის** გუნდმა პრემიერლიგაში ბოლო 7 შეხვედრიდან 6 წააგო, მაგრამ მწვრთნელი იხტიბარს არ იტეხს:

*„საერთოდ არ ვღელავ. ჩვენ ამ სეზონში აუტსაიდერთა შორის ერთხელაც არ ვყოფილვართ".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A XXIII ტური

# ლიდერთა შავი დღე

**ბარი-ინტერი 0:3**

**ბარი (4-4-2):** ჟილე – ა. მაზიელო, გლიკი (90. რივასი), როსი, პარიზი – დონატი, ალმირონი, გაცი, ბენტივოლიო – რუდოლფი (70. ჰუსეკლეპი), ოკაკა ჩუკა.

**ინტერი (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი – მაიკონი, რანოკია, მატერაცი, კივუ – ძანეტი, მოტა, ხარჯა – ეტოო (87. კამბიასო) – მილიტო (61. სნეიდერი), პაცინი.

**გოლები:** 0:1 ხარჯა (70), 0:2 პაცინი (90), 0:3 სნეიდერი (90).

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 6-14; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 9(4)-11(7); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 45 000

სერია A-ს XXIII ტურის პირველ პაექრობაში ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა ორი ქულა დაკარგა და ძალიან კარგი შანსი მისცა მდევრებს, რომ ქულათა სხვაობა ორით შეემცირებინათ. თუმცა, მდევრებმა ეს შანსი ვერ გამოიყენეს, პირიქით, მაგალითად „ნაპოლიმ" სულაც მარცხი განიცადა და კიდევ უფრო დაშორდა „მილანს". თავდაპირველად სწორედ ნეაპოლელებზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა და შემდეგ „იუვენტუსის" მორიგ მარცხზე გადავიდეთ...

„ნაპოლი" მაინც სახლის გუნდად რჩება და ეს მიუხედავად იმისა, რომ სატურნირო ცხრილში მეორე ადგილი უკავია. ფაქტია, რომ **ვალტერ მაძარის** გუნდი სახლში და გასვლაზე რადიკალურად განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობს. სახლში ძალიან თამამია, აგრესიული, მიზანსწრაფული და მეტოქის კარზე დაგეშილი, გასვლაზე კი შებოჭილი და ცოტა შეშინებული. „კიევო" კარგ ფორმაშია, გასვლაზე „ბრეშას" 3:0 მოუგო და ზედ ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერიც მიაყოლა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თამაში სწორედ ვერონელთა უპირატესობით წარიმართა და ლოგიკური შედეგით დასრულდა. მასპინძელთა ორივე გოლი მეტად ეფექტური გამოვიდა - ანგარიში **მოსკარდელიმ** გახსნა, რომელმაც გრძელი გადაცემა დაიმორჩილა და მახვილი კუთხიდან ბურთი მეკარისაგან შორეულ კუთხეში მოათავსა. მეორე გოლი კი **სარდოს** ანგარიშზეა, მეტოქის საჯარიმოში შეირბინა, გზად ერთი მეურვე ჩამოიცილა და ნეაპოლელთა კიპერი უშანსოდ დატოვა. მატჩის შემდეგ, მაძარი იმედგაცრუებული იყო:

*„უნდა ვაღიარო, რომ მეტოქემ უკეთესად ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა. ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ გასვლაზე თამაში და ეს დიდ პრობლემებს გვიქმნის. თუ გვინდა, რომ სეზონი ჩემპიონთა ლიგის ზონაში დავასრულოთ, ასეთ მატჩებში აღარ უნდა დავკარგოთ ქულები. „კიევო" ძლიერი გუნდია, განსაკუთრებით საკუთარ მოედანზე, მაგრამ არ მეგონა, თუ თამაშს ასე იოლად დავთმობდით. მეტოქემ მოედნის ცენტრში გვაჯობა, რამაც განაპირობა კიდეც მატჩის სცენარი. გადატვირთული კალენდარი? - ამაზე არაერთხელ მისაუბრია და აღარ გავიმეორებ. სატრანსფერო პერიოდში 2-3 მაღალი კლასის ფეხბურთელის გადაბირება მსურდა, მაგრამ არ მოხერხდა და ისღა დაგვრჩენია, არსებული კონტინგენტით გავიდეთ ფონს".*

ტურინის „იუვენტუსმა" მორიგი მარცხი განიცადა, ამჯერად სიცილიაში „პალერმოსთან". შეხვედრა მასპინძელთა დიდი უპირატესობით დაიწყო, რაც **ჯიჯი ბუფონის** კარში გატანილ ორ გოლში აისახა. პირველ ეპიზოდში **ხავიერ პასტორემ** ითამაშა შესანიშნავად: მოედნის ცენტრში ორი მეურვის მოტყუება მოახერხა, მეტოქის ნახევარზე გადავიდა და გრძელი გადაცემით **ფაბრიციო მიკოლი** მოძებნა, ამ უკანასკნელმა შესანიშნავად მიიღო ბურთი და მეორე შეხებით კარის ჩარჩოში გადაგზავნა. მეორე გოლი **მილიაჩის** ანგარიშზეა, რომელმაც ტურინელთა საჯარიმოში შეირბინა და თავური დარტყმით დალაშქრა ბუფონის კარი. აი, ამის შემდეგ კი თამაშმა სიცილიელთა მხარეს გადაინაცვლა და თამაშის ბოლომდე ასეც გაგრძელდა. მარტო **ალესანდრო მატრის** სამ-ოთხჯერ მაინც შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში იშვიათი უზუსტობა გამოავლინა. მთლიანობაში, კარგად გაისარჯა **ალესანდრო დელ პიერო**, არაერთი ზუსტი გადაცემა გააკეთა და თანაგუნდელები დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, **კლაუდიო მარკიზიომ** გამოიჩინა თავი და მიჯრით მეორე შეხვედრაში შეძლო შედეგიანი დარტყმის განხორციელება. ეს ყველაფერი ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მოხდა და თამაშის სურათიდან გამომდინარე, თითქოს ანგარიშიც უნდა გათანაბრებულიყო, მაგრამ...

აშკარაა, „იუვენტუსს" თავდასხმაში უჭირს და **ლუიჯი დელ ნერიც** ამაზე ამახვილებს ყურადღებას: *„მთლიანობაში საკმაოდ კარგად ვითამაშეთ, მაგრამ მაინც დავმარცხდით. ძალიან ცუდი პერიოდი გვიდგას და თავდაუზოგავად ვშრომობთ, რომ წარუმატებელი სერია შევწყვიტოთ. არ მჩვევია მსაჯებზე საუბარი, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ რიგ ეპიზოდებში არბიტრმა აშკარად დაგვჩაგრა. ერთ-ერთ ეპიზოდში „პალერმოს" მცველმა ჩეზარე ბოვომ ხელით ითამაშა და მსაჯს თერთმეტმეტრიანი უნდა დაენიშნა, მაგრამ რატომღაც ასე არ მოიქცა. ადრეც არაერთხელ შემინიშნავს, რომ სადავო სიტუაციებში არბიტრები ჩვენს საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს იღებენ".*

როგორც ჩანს, დელ ნერიმ უბრალოდ აღარ იცის, რა თქვას პრესკონფერენციებზე და ისღა დარჩენია, მსაჯები აკრიტიკოს. აქვე დავძინოთ, რომ „პალერმო"-"იუვენტუსის" პაექრობას გამოცდილი რეფერი: **ემილიო მორგანტი** მოემსახურა.

მოულოდნელად დაკარგა ქულები „რომამ", რომელსაც „ბრეშა" ესტუმრა. **კლაუდიო რანიერი** ფრთხილ კომენტარებს აკეთებდა, მეტოქეს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს და ასეთ დროს, გუნდი განსაკუთრებულად საშიშიაო. მართალიც აღმოჩნდა - XXII ტურში „ბრეშა" საკუთარ მოედანზე „კიევოსთან" განადგურდა, რამაც **მარიო ბერეტას** სკამი შეიწირა. **ჯუზეპე იაკინის** დებიუტი წარმატებული გამოდგა, რომში აუტსაიდერის სტატუსით ჩასულმა „ბრეშამ" ქულის აღება მოახერხა. პირველ ტაიმში მასპინძლებს არაერთხელ შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ. რანიერიმ გარისკა და ძირითად შემადგენლობაში ერთბაშად სამი ნომინალური თავდამსხმელი დააყენა. შეტევის წინა ხაზზე **მარკო ბორიელო** და **მირკო ვუჩინიჩი** მოქმედებდნენ, მათ უკან კი **ფრანჩესკო ტოტი**. დიახ, კაპიტანი დირიჟორი გახლდათ და უკნიდან თამაშობდა. რომაელთა პრაქტიკულად ყველა იერიშს სწორედ ტოტი იწყებდა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი ძალიან მაღალი იყო.

რომაელებმა მეორე ტაიმის სტარტზე გახსნეს ანგარიში, შედეგიანი დარტყმის ავტორი კი მარკო ბორიელო გახლავთ. სტუმართა საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარის ბადეში. 69-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც „ბრეშა" ერთ-ერთ იშვიათ კონტრშეტევაზე გადავიდა და ანგარიში გაქვითა - მარცხენა ფრთიდან გაკეთებული მაღალი გადაცემის შემდეგ, **ედერმა** თავი დაუხვედრა ბურთს და შეხვედრის საბოლოო რეზულტატი დააფიქსირა. კლაუდიო რანიერიმ მეტოქეს კომპლიმენტები უძღვნა:

*„რას ვიზამთ, ასეთია ფეხბურთი და უნდა შევურიგდეთ ბედს. ბევრი მომენტი გვქონდა და მეტი უნდა გაგვეტანა, მაგრამ ფორვარდებს მიზანმა უმტყუნა. „ბრეშამ" მხოლოდ ორჯერ შემოგვიტია ხეირიანად, ერთხელ მეკარემ იყოჩაღა, მეორე იერიში კი გოლით დასრულდა. გაუმართლათ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ გარჯას ხაზი უნდა გადავუსვათ. პირიქით, შესანიშნავად ითამაშეს დაცვით ფაზაში და კარგად გადაკეტეს ზონები. ამასთან, მუდმივად მზად იყვნენ, რომ სახიფათო კონტრშეტევა განეხორციელებინათ. დასანანი ქულები დავკარგეთ, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლები წინ გველის".*

შესანიშნავ ფორმაში მყოფმა „უდინეზემ" მოულოდნელად „ბოლონიასთან" დაკარგა ქულები; „სამპდორია" სულ წაზდა და სახლში „კალიარისთანაც" წააგო; **კახა კალაძის** „ჯენოა" „ფიორენტინასთან" დამარცხდა, რამაც **სინიშა მახაილოვიჩის** სკამი გადაარჩინა; „პარმამ" მთელი შეხვედრის განმავლობაში უტია „ლეჩეს" და მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე გოლი გაუშვა. ბოლოს, ცხრილსაც გადავხედოთ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 23 | 14 | 6 | 3 | 39-18 | 48 |
| 2. ნაპოლი | 23 | 13 | 4 | 6 | 36-22 | 43 |
| 3. ინტერი | 22 | 12 | 5 | 5 | 39-24 | 41 |
| 4. ლაციო | 23 | 12 | 5 | 6 | 29-21 | 41 |
| 5. რომა | 22 | 11 | 6 | 5 | 32-25 | 39 |
| 6. პალერმო | 23 | 11 | 4 | 8 | 38-29 | 37 |
| 7. უდინეზე | 23 | 11 | 4 | 8 | 37-30 | 37 |
| 8. იუვენტუსი | 23 | 9 | 8 | 6 | 37-29 | 35 |
| 9. კალიარი | 23 | 9 | 5 | 9 | 27-23 | 32 |
| 10. კიევო | 23 | 7 | 9 | 7 | 25-22 | 30 |
| 11. ფიორენტინა | 22 | 7 | 7 | 8 | 22-23 | 28 |
| 12. სამპდორია | 22 | 6 | 9 | 7 | 20-23 | 27 |
| 13. ჯენოა | 22 | 7 | 6 | 9 | 18-21 | 27 |
| 14. ბოლონია | 22 | 7 | 8 | 7 | 24-30 | 26 |
| 15. პარმა | 23 | 6 | 7 | 10 | 22-29 | 25 |
| 16. ლეჩე | 23 | 6 | 6 | 11 | 22-39 | 24 |
| 17. კატანია | 23 | 5 | 8 | 10 | 19-30 | 23 |
| 18. ჩეზენა | 23 | 5 | 6 | 12 | 17-29 | 21 |
| 19. ბრეშა | 23 | 5 | 4 | 14 | 18-31 | 19 |
| 20. ბარი | 23 | 4 | 5 | 14 | 14-37 | 14 |

**ბომბარდირები:** 17 – კავანი (ნაპოლი); 15 – დი ნატალე (უდინეზე); 13 – ეტოო (ინტერი), იბრაჰიმოვიჩი (მილანი), დი ვაიო (ბოლონია).

**ლაშა ნიკლაური**



ბუფონიც შავ დღეში

პრობლემა



მილოშ კრასიჩი

# კრასიჩმა მინდვრები დაიწუნა

**მილოშ კრასიჩმა** ჟურნალისტებს გული გადაუშალა და იტალიაში გატარებული ნახევარი სეზონი შეაფასა. სერბმა ნახევარმცველმა ნაკლებად ისაუბრა „იუვენტუსის" კრიზისსა და მძიმე სატურნირო მდგომარეობაზე, უფრო ზოგად საკითხებზე გაამახვილა ყურადღება:

*„იტალიაში ცხოვრება ძალიან სასიამოვნოა და ამ მხრივ ჩემი მოლოდინი 100%-ით გამართლდა. მეგობრულ გუნდში მოვხვდი, რამაც ადაპტაციის პროცესი გამიადვილა. სერია A-ში თამაში ძალიან რთულია, აუტსაიდერთანაც კი მაქსიმალური კონცენტრაცია გმართებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლად დაისჯები. მომწონს ის, რომ იტალიაში ყველას უყვარს ფეხბურთი და გრძნობ, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს აკეთებ. სხვათა შორის, არც რუსეთში ვგრძნობდი თავს ცუდად, მაგრამ იქ სწორედ ეს განცდა მაკლდა. რა არ მომწონს იტალიაში? - ინფრასტრუქტურა აშკარად მოძველებულია და სიმართლე გითხრათ, ამან ძალიან გამაკვირვა. უკვე ექვსი თვეა აპენინებზე ვარ და თუ დამიჯერებთ, ერთხელაც არ მითამაშია იდეალურ გაზონზე. ისეთ მომენტში შეიძლება აგიხტეს ბურთი, რომ ყველაზე ნაკლებად ელოდები. ამ მხრივ, რთული მდგომარეობაა და ეს უნდა ვაღიაროთ".*

**ლაშა ნიკლაური**

სკანდალი

# რამდენი გადაგიხადესო?

ის, რომ სამშაბათს, „არსენალისა" და „ევერტონის" შეხვედრის შესვენებისას, გასახდელებისკენ მიმავალ გვირაბში „მეთოფეთა" კაპიტანი **სესკ ფაბრეგასი** მსაჯს მიეჭრა და უყვირა, „ლელოს" მკითხველს კარგად მოეხსენება, მაგრამ აქამდე ცნობილი არ იყო კერძოდ რა თქვა ესპანელმა ვარსკვლავმა. თუ გახსოვთ, ვწერდით, რომ „ევერტონის" მწვრთნელმა, **დევიდ მოიესმა** ამის შესახებ მატჩის დამთავრების შემდეგ, პრესკონფერენციაზე ილაპარაკა, ოღონდ ფაბრეგასის სიტყვები არ გაიმეორა - დაე, საზოგადოებას თავად მსაჯმა უთხრას, რა აპატია „არსენალის" კაპიტანსო - მოიესი ბრაზობდა, რომ ფაბრეგასს იქვე, გვირაბში არ ამოულეს წითელი ბარათი. და აი, ახლა გაირკვა, თუ რა უთხრა ფაბრეგასმა არბიტრ **ლი მეისონს**. ესპანელს უყვირია: „რამდენი გადაგიხადეს?" და შემდეგ ევერტონელებზე უთქვამს, თაღლითობენო.

შეგახსენებთ, რომ „არსენალმა" ის შეხვედრა მაინც მოიგო, 2:1. ეპიზოდი, რომლის გამოც ფაბრეგასი აღშფოთდა და მსაჯს მექრთამეობა დასწამა, სწორედ ის გახლდათ, როდესაც ლივერპულის გუნდმა, კერძოდ კი მისმა ფრანგმა თავდამსხმელმა **ლუი საამ** ანგარიში გახსნა. ტელეეკრანზე, მით უფრო გამეორებების დროს, კარგად გამოჩნდა, რომ საა თამაშგარე მდგომარეობაში იყო.

მაშ ასე, ფაბრეგასი აღშფოთდა და, როგორც გაირკვა, მსაჯს შესვენებისას გვარიანი შეურაცხყოფაც მიაყენა, თუმცა მეისონმა ესპანელს არც წითელი ბარათი ამოუღო და მეტიც, ეს ამბავი არც პატაკში შეუტანია. შესაბამისად, ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციას არანაირი მიზეზი არ აქვს, ინციდენტი რომ გამოიძიოს და ფაბრეგასი დასაჯოს. არის მხოლოდ ერთი ვარიანტი - „ევერტონმა" უნდა იჩივლოს.

ფაბრეგასმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას თქვა: *„ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია ის გახლავთ, რომ მე ყველა არბიტრს პატივს ვცემ. მათი საქმე ძალიან რთულია, ხოლო გადაწყვეტილება საბოლოო. დიახ, შესვენებისას ძალიან განაწყენებული ვიყავი. განაწყენებული გახლდათ სტადიონზე შეკრებილი 60 ათასი ჩვენი გულშემატკივარიც. დაბლა, მოედანზე, ორივე გუნდის აღელვებული ფეხბურთელები ერთმანეთს რაღაცებს ეძახდნენ და ასეთ პირობებში გავედით გვირაბში.*

*მე „არსენალის" თავგადაკლული ქომაგი ვარ და როგორც ყველა ფეხბურთელს, მინდა ყოველ შეხვედრაში გავიმარჯვო, ასე რომ, ხშირად მომენტის ემოცია რაღაცებს მათქმევინებს ხოლმე".*

შეგახსენებთ, რომ „არსენალი" შემდეგი სამი კვირის განმავლობაში **სამირ ნასრის** გარეშე ითამაშებს. გარდა ამისა, გუნდის ხელმძღვანელობა ექიმებისგან **ალექს სონგის** დიაგნოზსაც ელის. სონგი სწორედ „ევერტონთან" შეხვედრაში დაშავდა. შაბათს „მეთოფეებს" „ნიუკასლთან" აქვთ თამაში და მიუხედავად იმისა, რომ იმავე ევერტონთან კოჭი იტკინა, მოედანზე იქნება. აი, **ლუკაშ ფაბიანსკის** კი, არ არის გამორიცხული, მხარზე ოპერაცია დასჭირდეს და თუ ასე მოხდა... ნოემბრამდე ველარ ითამაშებს.

**ილია ბაბუნაშვილი**



სესკი სამსაჯო სკანდალში გაეხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანია. ბუნდესლიგა. პარასკევის მატჩის წინ

# როლები განაწილებულია, ცეცხლი დაანთეთ!

## ბუნდესლიგის მშვენება დღეს საღამოს: არ გამოტოვოთ რურის 137-ე დერბი

კარგია, რომ გერმანიის საფეხბურთო ლიგამ რურის დიდი დერბი პარასკევს დანიშნა. ბუნდესლიგის მთავარ მშვენებას ყურადღება ისედაც არ აკლია ხოლმე, მაგრამ დღეს საღამოს მთელი საფეხბურთო გერმანია ასი პროცენტით მხოლოდ „დორტმუნდისა“ და „შალკეს“ დაპირისპირებაზე იქნება კონცენტრირებული და ყველა მხოლოდ ბუნდესლიგის ყველაზე მაგარი დერბით ისიამოვნებს. ჩვენც მეტი რა დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ ხელები გემრიელად მოვიფშვნიტოთ და გერმანიის ჩემპიონატის უმძაფრეს დაპირისპირებას ჩავუსხდეთ?

ეს რიგით 137-ე დერბია და თამამად შეიძლება ითქვას, რომ რურის კლასიკური საფეხბურთო ომის წინ იშვიათად ყოფილა „დორტმუნდსა“ და „შალკეს“ შორის კონტრასტი ისეთი დიდი, როგორიც დღესაა. „ვესტფალენშტადიონზე“ ერთ მხარეს ბუნდესლიგის ერთპიროვნული ლიდერი და ჩემპიონობის უმთავრესი კანდიდატი „ბორუსია“ იქნება, რომელიც ამ სეზონში ფანტასტიკური ფეხბურთით ყველას ალაფრთოვანებს, მეორე მხარეს კი არეულ-დარეული „შალკე“, რომელიც სატურნირო ცხრილში მოსისხლე მტერს 25 (!) ქულით ჩამორჩება. პირველად ხდება ისე, რომ დერბის წინ „შალკე“ მეტოქეზე მეტად საკუთარ თავზეა კონცენტრირებული.

მიუხედავად იმისა, რომ როლები ნათლადაა გადანაწილებული (არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ პირველ წრეში „ბორუსიამ“ „შალკეს“ გელზენკირხენში 3:1 მოუგო), დორტმუნდელთა მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** დღევანდელ შეხვედრას მაინც დიდი სიფრთხილით ეკიდება. მერე რა, რომ „შალკეში“ ნეგატიური განწყობაა, მე ვიცი, რომ გუნდებს სწორედ ასეთ დროს ეხერხებათ შეუძლებლის შეძლება, რის გამოც ფრთხილად უნდა ვიყოთო.

კლოპს დღეს თავისი დაცვის ცენტრის დაშლა მოუწევს, რადგან **ნევენ სუბოტიჩმა** წინა ტურში მეხუთე გაფრთხილება მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეს დისკვალიფიცირებულია. შესაბამისად, „ბორუსიას“ უკანა ხაზის ცენტრში **მატს ჰუმელსს ფელიპე სანტანა** უნდა შეუწყვილდეს, რომელსაც ამ კვირაში გრიპი ჰქონდა, მაგრამ გამოჯანმრთელება მოასწრო და დღეს აუცილებლად ითამაშებს. გრიპი ჰქონდა **იაკუბ ბლაშჩიკოვსკისაც**, მაგრამ დღევანდელი მატჩისთვის პოლონელი გარემარბიც სრულ მზადყოფნაშია. „შალკეს“ ძირითად შემადგენლობაში კი გაცილებით მეტ ცვლილებას უნდა ველოდოთ. გუშინ საღამომდე ცნობილი არ იყო, მოახერხებს თუ არა დღეს თამაშს **კრისტოფ მეტცელდერი**, რომელიც ყოფილი ბორუსიელია და თუ „ვესტფალენშტადიონზე“ მტრის რანგში წარსდგა, 90 წუთის მანძილზე BVB-ს ქომაგების გამაყრუებელი სტვენის ატანა მოუწევს. დიდი შანსია, რომ **ფელიქს მაგათმა** სასტარტოში გაამწესოს განელი ახალწვეული **ანტონი ანანი**, აი, **ანგელოს ხარისტეასსა** და **ალი ქარიმის** კი ნაღდად ვერ ვიხილავთ - მაგათმა თქვა, რომ ბერძენი თავდამსხმელი და ირანელი ნახევარმცველი ჯერ მზად არ არიან.

### კლოპი: უპირობო ფავორიტები არ ვართ!

თუ „დორტმუნდი“ დღეს „შალკეს“ დაამარცხებს, „ბორუსიას“ მთავარი მწვრთნელი კლოპი არა მარტო რურის დერბის პირად ბალანსს გაათანაბრებს, სადაც აქამდე ერთი მოგება, ორი ფრე და ორი მარცხი აქვს, არამედ დორტმუნდულ კლუბში კიდევ ერთ ისტორიულ მიღწევას ჩაწერს: „ბორუსიამ“ ერთ სეზონში „შალკეს“ ორჯერ დამარცხება ბოლოს 1996/1997 წლების სეზონში შეძლო. გეხსომებათ, მაშინ „დორტმუნდმა“ ჩემპიონთა ლიგაც მოიგო.

*„ჩვენ კარგად ვიცით, რომ ისტორიული შანსი გვაქვს, - ამბობს კლოპი, - მაგრამ ეიფორია ჩარჩოებს არ უნდა გასცდეს. ცხადია, იმას არ ვამბობ, რომ „შალკესთან“ მატჩის წინ აუტსაიდერები ვართ, მაგრამ არც ისეა საქმე, თითქოს უპირობო ფავორიტები ვიყოთ მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენ პირველ ადგილზე ვართ, „შალკე“ კი 25 ქულით ჩამოგვრჩება. „შალკე“ ცხრილში მე-11 ადგილზეა, მაგრამ ამ გუნდს დიდი პოტენციალი აქვს.“*

### ფანები მაგათს აუჯანყდნენ

„შალკეში“ მონასტერი არეულია. როგორც იცით, ყველამ, ვისაც არ დაეზარა, **ფელიქს მაგათის** მიერ იანვარში გატარებული სატრანსფერო პოლიტიკა გააკრიტიკა. ფელიქსმა გუნდში უმუშევარი ვეტერანები, თავდამსხმელი ანგელოს ხარისტეასი და ნახევარმცველი ალი ქარიმი აიყვანა, მაგრამ დერბისთვის არც ერთ მათგანს არ გამოიყენებს - ფორმაში არ არიანო. სამაგიეროდ, „შალკეს“ რიგებში ანანის დებიუტი შედგება. იანვარში მაგათმა **ივან რაკიტიჩი** გაყიდა და **ჯეფერსონ ფარფანის** თავიდან მოშორებაც უნდოდა, მაგრამ ვერ მოიშორა (დეტალებზე უკვე ვწერდით). „ბილდი“ წერს, რომ „შალკეს“ თავკაც თვით **კლაას-იან ჰუნტელაარის** გაყიდვაც სურდა და ჰოლანდიელი თავდამსხმელი ვოლფსბურგისთვის შეუთავაზებია, მაგრამ ეს ტრანსფერიც არ შედგა და ამრიგად, ფელიქსს ფარფანიცა და ჰუნტელაარიც გუნდში ჰყავს.

ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან ჰუნტელაარმა სეზონი კარგად დაიწყო, მერე კი აურია და გოლის გატანა ბოლოს 13 ნოემბერს შეძლო. ახლა ჰოლანდიელს 689-წუთიანი უგოლო სერია აქვს. წინა ტურში, „ჰოფენჰაიმთან“ მატჩის დროს, რომელიც გელზენკირხენელებმა 0:1 წააგეს, მაგათმა ჰუნტელაარი პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალა, ერთი დღის შემდეგ კი ხარისტეასი აიყვანა. ფელიქსი ამბობს, ჩვენ გვაკლია კარზე დაგეშილი ფორვარდიო, რაც ზაფხულში „მილანიდან“ 14 მილიონ ევროდ ნაყიდი ჰოლანდიელი თავდამსხმელისთვის სერიოზული დარტყმაა.

თუმცა დერბიში მაგათი ხარისტეასს არ ათამაშებს და სხვა გზა არ აქვს, ისევ ჰუნტელაარს უნდა ენდოს და სხვათა შორის, ფარფანიც ძირითადში უნდა ათამაშოს.

ამასობაში, გულშემატკივრები მაგათს აუჯანყდნენ და აგროვებენ ხელმოწერებს იმისათვის, რომ დაინიშნოს გელზენკირხენული კლუბის წევრთა რიგგარეშე ყრილობა, რომელზეც ფელიქსს მენეჯერისა და მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლებენ. ფანები მაგათს სამ რამეში ადანაშაულებენ. პირველი: ბუნდესლიგის საუკეთესო დაცვის უმიზეზოდ დაშლა (როცა მაგათმა **რაფინია, ვესტერმანი** და **ბორდონი** გაყიდა. მეორე: ყოველგვარი კონცეფციის გარეშე უამრავი ახალი ფეხბურთელის ყიდვა); რომელთაგან უმეტესობამ იმედები ვერ გაამართლა და დიდი ნაწილი ისევ გაყიდულია; და მესამე: ცივი კლიმატი და მშიშარა ფეხბურთელების მოყვანა გუნდში. გულშემატკივრები გაოგნებულები და შეურაცხყოფილები არიან იმით, რომ ფელიქსმა ისეთი მოთამაშეები გაუშვა, რომლებიც „შალკესთან“ ასოცირდებოდნენ (**კურანი, ასამოა, ბორდონი**) და დღეს გელზენკირხენულ კლუბში აღარ არის არც ერთი მოთამაშე, რომლის „შალკესთან“ იდენტიფიცირება შესაძლებელი.

ერთი სიტყვით, „შალკე“ უმძიმეს მდგომარეობაშია, მაგრამ ეს მეორე მხრივ იმასაც ნიშნავს, რომ გელზენკირხენელები ძალიან მოტივირებულები იქნებიან. რაკი გუნდმა ამ სეზონში უკვე მაგრად ჩაისვარა, ერთადერთი, რითაც „ხუმარებს“ თავიანთი ქომაგების გახარება შეუძლიათ, მოსისხლე მტრის ბანაკიდან, „ვესტფალენშტადიონიდან“ სამი ქულის წაღებაა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ „შალკეს“ ერთი ქულაც წარმატებაში ჩაეთვლება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 20 | 16 | 2 | 2 | 46-12 | 50 |
| 2. ლევერკუზენი | 20 | 11 | 6 | 3 | 41-29 | 39 |
| 3. ბაიერნი | 20 | 10 | 6 | 4 | 40-23 | 36 |
| 4. მაინცი | 20 | 12 | 0 | 8 | 31-21 | 36 |
| 5. ჰანოვერი | 20 | 11 | 1 | 8 | 28-30 | 34 |
| 6. ფრაიბურგი | 20 | 10 | 3 | 7 | 29-28 | 33 |
| 7. ჰამბურგი | 20 | 9 | 3 | 8 | 29-30 | 30 |
| 8. ჰოფენჰაიმი | 20 | 7 | 8 | 5 | 36-26 | 29 |
| 9. აინტრახტი | 20 | 8 | 2 | 10 | 24-26 | 26 |
| 10. ნიურნბერგი | 20 | 7 | 5 | 8 | 25-30 | 26 |
| 11. შალკე | 20 | 7 | 4 | 9 | 26-26 | 25 |
| 12. ვოლფსბურგი | 20 | 5 | 8 | 7 | 26-29 | 23 |
| 13. კაიზერსლაუტ. | 20 | 6 | 4 | 10 | 29-34 | 22 |
| 14. ზტ. პაული | 20 | 6 | 4 | 10 | 23-34 | 22 |
| 15. ვერდერი | 20 | 6 | 4 | 10 | 26-42 | 22 |
| 16. კიოლნი | 20 | 5 | 4 | 11 | 22-37 | 19 |
| 17. შტუტგარტი | 20 | 4 | 4 | 11 | 22-37 | 16 |
| 18. ბორუსია (მ) | 20 | 4 | 4 | 12 | 29-50 | 16 |

**ბომბარდირები:** 15 - სისე (ფრაიბურგი), გომესი (ბაიერნი); 14 - გეკასი (აინტრახტი); 11 - ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი); 10 - რაული (შალკე), ია კონანი (ჰანოვერი).



კიკერის შეფასებების მიხედვით საუკეთესო დორტმუნდელის, ნური შაჰინისა და საუკეთესო შალკელის, რაულის საჰაერო ორთაბრძოლა პირველი წრის მატჩში, რომელიც ბორუსიამ ფელტინს არენა აუფ შალკეზე 3:1 მოიგო

## რურის დიდი დერბი ციფრებში

სტატისტიკა პირველ ბუნდესლიგაში (1963 წლიდან)

| ბორუსია (დ) | | შალკე |
|---|---|---|
| | 77 მატჩი | |
| 27/23/27 | მოგება/ფრე/წაგება | 27/23/27 |
| 120:113 | ბურთების შეფარდება | 113:120 |
| 44 | სეზონები I ბუნდესლიგაში | 43 |
| 71 | მატჩები ჩემპიონთა ლიგაში | 35 |
| | ტიტულები | |
| 6 | გერმანიის ჩემპიონი | 7 |
| 2 | გერმანიის თასის მფლ. | 4 |
| 4 | გერმანიის სუპერთასის მფლ. | 0 |
| 0 | გერმანიის ლიგის თასი | 1 |
| 1 | თასების თასის მფლ. | 0 |
| 0 | უეფას თასის მფლ. | 1 |
| 1 | საკონტინენტთაშორისო | 0 |
| 1 | ჩემპიონთა ლიგა | 0 |

**ყველაზე მეტი გოლი ერთ დერბიში:** ლოთარ ემერიხი (ბორუსია) – 3 გოლი
**დერბის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი:** ლოთარ ემერიხი (ბორუსია) – 10 გოლი

სავარაუდო შემადგენლობები

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიშჩეკი, ჰუმელსი, ფელიპე სანტანა, შმელცერი – ს. ბენდერი, ნ. შაჰინი – ბლაშჩიკოვსკი, გიოტცე, გროსკროიტცი – ბარიოსი.
**შალკე (4-2-2-2):** ნოიერი – უჩიდა, ჰიოვედესი, მეტცელდერი, შმიტცი – კლუგე, ანანი – ფარფანი, ხურადო – რაული, ჰუნტელაარი.
**არბიტრი:** მიხაელ ვაინერი
**დისკვალიფიკაცია:** სუბოტიჩი (ბორუსია დ)
**ტრავმა:** ოვომოიელა, კაგავა, კელი, კრინგე – ჰუგლანდი, ყენია, მორიტცი, ხარისტეასი

● ბაიერნი



ბაიერნის პრეზიდენტი ული ჰიონესი

# ულის ხელი ჯერ არ ჩაუქნევია

## მიუნხენელთა პროგრამა მინიმუმი თასის მოგება და მეორე ადგილია

მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნი“ ბუნდესლიგის ლიდერ „დორტმუნდს“ 14 ქულით ჩამორჩება, რეკორდმაისტერის პრეზიდენტ **ული ჰიონესს** ჩემპიონობაზე ხელი არ ჩაუქნევია და ჯერ კიდევ აქვს იმის იმედი, რომ მიუნხენური კლუბი „ვერცხლის სინის“ შენარჩუნებას შეძლებს.

*„დორტმუნდელებს კრიზისი ჯერ არ ჰქონიათ და არა მგონია, რომ მთელი სეზონი რამდენიმეტურიანი ჩავარდნის გარეშე ჩაატარონ, - აცხადებს „ბაიერნის“ 59 წლის პრეზიდენტი და იქვე დასძენს, - ცხადია, ჯერ კიდევ მაქვს იმის იმედი, რომ „ბორუსიას“ კრიზისი ექნება და დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ შემთხვევაში „ბაიერნი“ მზად იქნება, BVB-ს კრიზისით ისარგებლოს.“*

თუმცა ჰიონესი იმასაც ამბობს, რომ „ბაიერნის“ რეალური მიზანი მიმდინარე სეზონში მეორე ადგილის დაკავებაა. უფრო მეტიც: ული თითქმის დარწმუნებულია იმაში, რომ რეკორდმაისტერი მეორე ადგილს უპრობლემოდ დაიკავებს და პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურს მოიპოვებს. *„არ დაგავიწყდეთ, რომ „ლევერკუზენს“ მიუნხენში აქვს სათამაშო. მოკლედ, პროგრამა მინიმუმი მეორე ადგილის დაკავებაა და ეჭვი არ მეპარება, რომ ამ მიზანს უპრობლემოდ მივაღწევთ. მაქსიმუმი კი ისევ ჩემპიონობა უნდა იყოს, ოღონდ ამ შემთხვევაში ჩვენი ბედი ჩვენს ხელთ აღარ არის და იმის იმედი უნდა გვქონდეს, რომ დორტმუნდელები რამდენიმე თამაშს ჩაავდებენ,“* - აცხადებს ჰიონესი.

შეგახსენებთ, რომ დღეისათვის „ბაიერნი“ ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა, მეორეადგილოსან „ლევერკუზენს“ კი მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩება. ამასთან, მიუნხენური კლუბი გერმანიის თასის ნახევარფინალსა და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალშია, სადაც მეტოქედ მილანის „ინტერი“ ელის.

ჰიონესის თქმით, „ბაიერნმა“ ამ სეზონში მინიმუმ ერთი ტიტული მაინც უნდა მოიგოს და ულის ყველაზე რეალურად, რა თქმა უნდა, გერმანიის თასის მოგება მიაჩნია: *„მიხარია, რომ თასის ნახევარფინალში „შალკესთან“ თამაში საკუთარ მოედანზე გვიწევს. თუ გელზენკირხენული კლუბის ბარიერი გადავლახეთ, თასს იოლად მოვიგებთ, რადგან ფინალში ან „კოტბუსს“ უნდა შევხვდეთ, ანაც „დუისბურგს“ და არა მგონია, რომ რომელიმე მათგანმა პრობლემა შეგვიქმნას. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას: „ბაიერნში“ ყველას „ინტერზე“ შურისძიება გვინდა“.*

**გვერდი მოამზადა**
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეფო თასი 2011

# ბონუსკლასიკო ფეხბურთის მოყვარულებს

## სად ჩატარდება ფინალი: მესტალია თუ ლა კარტუა

**ესეც ასე - ფეხბურთის მოყვარულებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს - ბონუსად, სეზონის მე-3 „ელ კლასიკო", რომელიც ამავდროულად „სამეფო თასის" ფინალი იქნება. ოთხშაბათის საპასუხო ნახევარფინალებში მოსალოდნელი მოხდა, „რეალი" და „ბარსელონა" აგრძელებენ თასისთვის ბრძოლას, თუმცა გზა ფინალამდე მათთვის ძალზე განსხვავებულად აეწყო, „სამეფო კლუბს" დიდი ჯაფა დასჭირდა ტიტულის ბოლო მფლობელის, „სევილიას" ჩამოსაშორებლად, „ბარსამ" კი ლამის სარეზერვო შემადგენლობა გაგზავნა ანდალუსიაში და არც ინანა. ესპანეთმა მიიღო ფინალი, რომელსაც 21 წელიწადია შეჰნატრის, ხოლო „სანტიაგო ბერნაბეუზე" საიუბილეო, მე-5000 გოლის ავტორი „რეალის" დებიუტანტი ემანუელ ადებაიორია. ამ და ბევრ საინტერესოს შეიტყობთ ქვემოთ, ოღონდ, სჯობს, ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ.**



ემანუელ ადებაიორი ისტორიული გოლის უკვდავსაყოფად მიწას აგროვებს სუვენირად

### აფერუმ აფელაი!

საწყალი „ალმერია"! ანდალუსიურ კლუბს 3 რანდევუ „ბარსელონასთან" ძალიან ძვირი დაუჯდა - ბურთების შეფარდება სამ მატჩში 0-16! და ეს სულაც არ არის ყველაფერი, „ალმერიას" აპრილში „კამპ ნოუზე" კიდევ ერთი ვიზიტი ელის. ხოსეპ გვარდიოლას პირველი თამაში 5:0 ჰქონდა მოგებული, მაგრამ მწვრთნელი აცხადებდა, რომ გუნდს მთელი შემადგენლობით წაიყვანდა ანდალუსიაში. თურმე სიტყვების თამაშთან გვქონია საქმე, **გვარდიოლამ** ყველა (ერთი-ორი ტრავმიანის, მათ შორის **ანდრეს ინიესტას**, გარდა) მართლა წაიყვანა, მაგრამ „ექსკურსიაზე", თამაშით კი იმათ ითამაშეს, ვისაც ძალიან ენატრება მოედანზე გამოსვლა. სასტარტო შემადგენლობიდან მხოლოდ ახლახან გამოჯანმრთელებულმა **დანი ალვეშმა** და **სერხიო ბუსკეტსმა** მიიღეს მონაწილეობა „ალმერიას" მორიგ რბევაში. ისიც, ბუსკეტსმა ძალები დაცვის ცენტრში მოსინჯა და მოედანზე ერთი ტაიმი იკმარა.

„ბარსამ" თამაში მძიმედ კი დაიწყო, მაგრამ უპირატესობა მაინც იოლად მოიპოვა. ბევრს ცდილობდა **ბოიან კრკიჩი**, რომელსაც სურს, გვარდიოლას დაუმტკიცოს, რომ სასტარტოში თამაში ეკუთვნის. კრკიჩს ჰქონდა პირველი საგოლე მომენტიც, რომელიც დანი ალვეშთან კედლის გათამაშებას მოჰყვა, მაგრამ „ალმერიას" დაცვამ გმირულად გააუვნებელყო პირველი საფრთხე ესტებანის კართან.

ახლა საქმეში **იბრაჰიმ აფელაი** ჩაერთო, ჰოლანდიელსაც სურს „ბარსას" სასტარტოში დამკვიდრება, მან რამდენიმე კარგი რეიდი მოაწყო ფლანგზე, ერთხელ კარგადაც დაარტყა, მაგრამ ბურთს მცველები გადაეფარნენ. ანგარიში კი კინაღამ „ალმერიამ" გახსნა, **ჰენოკ გოიტომის** გრძელი პასი **სოფიან ფეგულიმ** მიიღო, „ვალენსიადან" იჯარით გადასული ფრანგი უდავოდ გაიტანდა ახალ კლუბში პირველ გოლს, რომ არა ბრაზილიელი **ადრიანოს** გმირობა.

სანამ „ალმერიას" ფანები ველურ ოცნებას მიეცემოდნენ, ადრიანომ თავი მოედნის მეორე მხარესაც გამოიჩინა - ფლანგიდან სოლორეიდით შეიჭრა, ორი მცველი „მოტეხა" და ანგარიშიც გახსნა. ტაიმის ბოლოს პინტომ „ბარსა" აშკარა გოლისგან იხსნა და პირველი ნახევარიც დასრულდა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა დანი ალვეშმა და **ტიაგო ალკანტარამ** შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც ამ უკანასკნელმა თავით გატანილი გოლით დაასრულა. მასპინძელთა განადგურება იბრაჰიმ აფელაიმ დაასრულა, მაროკოული წარმოშობის ჰოლანდიელმა **სეიდუ კეიტასგან** მიიღო პასი და შორეულ, დაბალ კუთხეში გაიტანა მისთვის პირველი გოლი „ბლაუგრანას" მაისურით - 0:3.

„ბარსელონა" თასის ფინალში 35-ედ გავიდა. წინა 34 შემთხვევიდან 25-ში კატალონიური გრანდი გამარჯვებული გამოვიდა. გვარდიოლასთვის ეს მეორე ფინალია.

**ხოსე ლუის ოლტრა** (ალმერია): *„მოხარული ვარ, რომ კლუბის ისტორიაში საუკეთესო შედეგი ვაჩვენეთ თასზე. ასე შორს „ალმერია" არასოდეს გასულა. ბიჭებიც უნდა ამაყობდნენ ამ შედეგით. ახლა დროულად უნდა მოვახერხოთ ჩემპიონატზე გადაჯგუფება. ამ შეხვედრამ პრობლემები არ უნდა შეგვიქმნას ჩემპიონატში, რადგან ყველამ კარგად ითამაშა. თუკი პრიმერაში ადგილს შევინარჩუნებთ, ეს სეზონი კლუბის ისტორიაში საუკეთესო იქნება".*

**ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„ვფიქრობ, მოგება დავიმსახურეთ. თასის ფინალში გასვლა ძალიან რთულია. მოდი, არ დავივიწყოთ მარცხი „ბეტისთან" და რთული შეხვედრა „სან მამესზე". თასის ფინალზე მეტად ახლა „ატლეტიკოსთან" მომავალ დაპირისპირებაზე ვფიქრობთ".*

**ალმერია-ბარსელონა 0:3 (0:5)**

**ალმერია (4-2-3-1):** ესტებანი - მასედო, პელერანო (62. აკასიეტე), კ. გარსია, ლუნა - ბერნარდელო, ვარგასი - ფეგული, კორონა (68. კრუსატი), უჩე (76. ხოსე ორტისი) - გოიტომი.

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - დ. ალვეში, ბუსკეტსი (46. პიკე), გ. მილიტო, ადრიანო - ტ. ალკანტარა, მასკერანო, კეიტა - აფელაი, კრკიჩი, ნოლიტო.

**გოლები:** 0:1 ადრიანო (34), 0:2 ტ. ალკანტარა (55), 0:3 აფელაი (65)

### იყო გოლი, თუ არ იყო?

მიუხედავად იმისა, რომ „რეალს" პირველი მატჩი სტუმრად 1:0 ჰქონდა მოგებული, დიდი დაპირისპირება შედგა - ბოლო წუთებამდე საეჭვო იყო „რეალის" გასვლა ფინალში, თასის მფლობელმა „სევილიამ" ბოლომდე იბრძოლა, სანამ ტიტულს დათმობდა.

პირველ ნახევარში გოლი არ გასულა, მაგრამ საგოლე მომენტები უხვად იყო, თანაც ორივე კართან. თამაშის დასაწყისშივე საოცრება ჩაიდინა **ქარიმ ბენზემამ, ანხელ დი მარიას** დარტყმული ძელს მოხვდა, უკან გამოვარდა და მარტოდმარტო მყოფ ფრანგს მიუვიდა, წინ ცარიელი კარი იყო, მაგრამ ბენზემამ ლამის აუტზე გადააგდო, ისე არაზუსტად დაარტყა. **ალვარო ნეგრედოს** გოლი ოფსაიდის გამო არ ჩაუთვალეს (ვფიქრობთ, შეცდომით), ხოლო **კრიშტიანო რონალდომ ხავი ვარასთან** პირისპირ გასვლა ვერ გამოიყენა, მეკარეს ვერ აჯობა.

მეორე ტაიმში **გრეგორიო მანსანომ** ბრძოლაში **ლუიშ ფაბიანო** ჩართო, მაგრამ „სევილიამ" ვერ შეძლო მატჩის დამატებით დროში გადაყვანა. შეხვედრის მიწურულს კი **მესუთ იოზილმა** გაიბრწყინა. უფრო ზუსტად კი, „რეალის" გერმანელებმა დიდებულად ითამაშეს, **სამი ხედირამ** შორეული პასით ოთხი მცველი პირლია დატოვა, ხოლო იოზილმა ვარასი მოატყუა და ცარიელ კარში გაიტანა ეფექტური გოლი. აქ კი ყველაფერი გადაწყდა, „რეალი" ფინალში გავიდა, „სევილია" დარჩენილ წუთებში 2 გოლის გამტანს არ ჰგავდა. მაგრამ „სანტიაგო ბერნაბეუ" მაინც ელოდა... ელოდა სტადიონის გახსნიდან (1903) მე-5 000-ე გოლს. 93-ე წუთი დაიწყო და ყველამ ხელი ჩაიქნია, საიუბილეო გოლი, თითქოს, ლა ლიგის მომდევნო ტურისთვის გადაიდო, მაგრამ **ემანუელ ადებაიორმა**, რომელმაც 83-ე წუთზე ბენზემა შეცვალა, საჯარიმოში **ლასანა დიარას** ჩაწოდებული მკერდით გაიჩერა და დაუშვებლად შეაგდო „სევილიას" კარში - 2:0. ასე გახდა ტოგოელი ფორვარდისთვის კარიერაში პირველი გოლი ისტორიული.

თამაშის შემდეგ ერთობ წუხდა ალვარო ნეგრედო, „რეალის" ყოფილი შემტევი დარწმუნებულია, რომ ნაღდი გოლი გაუუქმეს, თანაც ძალიან ლამაზი - ნეგრედომ შორიდან წინ გამოვარდნილ **იკერ კასილიასს** ბურთი თავზე გადაუგდო: *„პასის მომენტში არ ვიმყოფებოდი თამაშგარეში, თუმცა ვერ დავიჩემებ, რომ „რეალს" ფინალი არ ეკუთვნოდა".*

**ჟოზე მოურინიო** (რეალი): *„დიდებულია, როცა ესპანეთის ორი საუკეთესო გუნდი ფინალში ერთმანეთს ხვდება. ჩვენ ამ ფინალამდე ძალიან მძიმედ მივაღწიეთ, საერთოდაც იანვარი მძიმე თვე გვქონდა. ამისთვის მკაცრადაც დავისაჯეთ ჩემპიონატში, მაგრამ თასზე გავუძელით და ფინალში გავედით. ძალიან კარგი მეტოქეები გვყავდა თასზე, მადრიდის დერბის გახსენებაც კი საკმარისია ჩემი სიტყვის დასადასტურებლად. 20 აპრილი, ცოტა არ იყოს, უჩვეულო თარიღია თასის ფინალისთვის. ერთი სული გვაქვს, „ბარსა" ფინალში დავამარცხოთ".*

გრეგორიო მანსანო (სევილია): *„ძალიან კარგად ვითამაშეთ და ანგარიშის გახსნასაც ვიმსახურებდით, მაგრამ... გამეორებაზე გამოჩნდა, რომ ნეგრედოს გოლი ჩასათვლელი იყო, ეს კი ყველაფერს თავდაყირა დააყენებდა ნახევარფინალურ წყვილში".*

**რეალი-სევილია 2:0 (1:0)**

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - ს. რამოსი, ალბიოლი, რ. კარვალიო, არბელოა - ხედირა (90. ლ. დიარა), ჩაბი ალონსო - დი მარია (87. გრანერო), იოზილი, რონალდო - ბენზემა (83. ადებაიორი).

**სევილია (4-4-2):** ვარასი - კასერესი, ს. სანჩესი, ესკუდე, ფ. ნავარო - ხ. ნავასი, ზოკორა, რომარიკი (80. პეროტი), რაკიტიჩი (69. ლ. ფაბიანო) - კანუტე (86. მედელი), ნეგრედო.

**გაძევება:** ს. სანჩესი (84)

**გოლები:** 1:0 იოზილი (81), 2:0 ადებაიორი (93)

### 20+1 წლის შემდეგ

მთლად **დიუმას** სათაურივით ვერ გამოგვივიდა, მაგრამ, ფაქტია, ესპანეთი ძალიან დიდხანს ელოდა ამ საოცნებო ფინალს. ბოლოს, 1990 წელს გადაეყარნენ „რეალი" და „ბარსელონა" ერთმანეთს თასის ფინალში. მაშინ ვალენსიაში **იოჰან კრუიფის** „ბარსამ" 2:0 მოიგო. შეგახსენებთ, რომ „ბარსელონა" თასის 25-გზის მფლობელია, „რეალი" კი „კოპას" ისტორიაში ტიტულებით მეორე გუნდიც კი არ არის, „სამეფო კლუბს" „სამეფო თასი" 17-ჯერ აქვს მოპოვებული, მაშინ, როცა ბილბაოს „ატლეტიკმა" პრესტიჟული ჯილდო 23-ჯერ შემართა. ისე, თასის ფინალში „კლასიკო" ამ შეჯიბრების ისტორიაში სულ ხუთჯერ გაიმართა. პირველი კლასიკური ფინალი 1936 წელს გაიმართა და ის მადრიდელთა გამარჯვებით (2:1) დასრულდა. 30 წელზე მეტი გავიდა, სანამ ეს ორი გრანდი კიდევ ერთხელ შეხვდა ფინალში ერთმანეთს - 1968 წელს ეგრეთ წოდებულ „ბოთლების ფინალში" („რეალის" ფანებმა მეტოქე გუნდის ფეხბურთელებს ტრიბუნებიდან ბოთლები და სხვადასხვა საგანი ესროლეს) „ბარსამ" 1:0 იმარჯვა. 1974 წელს „რეალმა" დიდი ანგარიშით მოიგო - 4:0. 1983 წელს კი „ბარსელონამ" 2:1 იმარჯვა. მოკლედ ხუთი კლასიკური ფინალიდან 3 კატალონიელებმა მოიგეს, ორი - კასტილიელებმა.

მაშ ასე, თუ არაფერი შეიცვალა, ფინალის თარილში, 20 აპრილს სეზონში მესამე, ექსტრაკლასიკო გველის, თანაც ჩემპიონატში გასამართავი კლასიკოდან 3-4 დღის შემდეგ!

ახლა ესპანეთში ყველას აღელვებს, სად გაიმართება თასის ფინალი. წინასწარი ვერსიით, ფინალი სევილიის „ოლიმპიურ" სტადიონზე უნდა გაიმართოს. ეს სტადიონი 1999 წლის მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის აიგო და 58 ათას მაყურებელს იტევს. სევილიის კლუბები „სევილია" და „ბეტისი" თავიანთ სტადიონებზე თამაშობენ, ამიტომაც „ოლიმპიური" ძირითადად ცარიელი და უფუნქციოა, იქ როკ ჯგუფების კონცერტები უფრო ხშირად იმართება, ვიდრე ფეხბურთი. 2003 წელს უეფას თასის ფინალი „სელტიკსა" და „პორტუს" შორის „ოლიმპიურზე" ჩატარდა. ესპანეთში ამ სტადიონს „ლა კარტუას" ეძახიან, რადგან ამავე სახელობის კუნძულზეა აშენებული მდინარეში.

მაგრამ ფინალის მასპინძელი სტადიონი მხოლოდ ფედერაციის შეთავაზებაა, ფინალისტებს აქვთ უფლება ერთმანეთში მოილაპარაკონ. „მარკა" ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში ფავორიტი „მესტალიაა", ვალენსიური სტადიონი 55 ათას ადამიანს იტევს.



იბრაჰიმ აფელაის პირველი ბარსელონური

### ადებაიორ - 5 000!

„სანტიაგო ბერნაბეუს" საიუბილეო გოლი მაინცდამაინც დებიუტანტმა გაიტანა, გაგაცნობთ ემანუელ ადებაიორამდე საიუბილეო გოლების გამტანთა ვინაობას „ბერნაბეუზე": 1903 წელს პირველი გოლი ამ დიდებულ არენაზე „რეალის" ფორვარდმა **ხოსე ხილარტმა** გაიტანა „ესპანიოლის" კარში. მე-1000-ე გოლი **ბელმარის** ანგარიშზეა, მე-2000 - **ფრანსისკო ხენტოს**, მე-3000 - **ხუანიტოს**, მე-4 000 გოლი **ამავისკამ** გაიტანა.

*„გახარებული ვარ, რომ მე გავიტანე ასე მნიშვნელოვანი გოლი კლუბის ისტორიაში. მიხარია, რომ რონალდოს, იოზილისა და კაკას გვერდით მიწევს თამაში"*, - განუცხადა „მარკას" ტოგოელმა თამაშის შემდეგ.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ამხანაგური მატჩები

# პორტუგალია ემზადება



რიკარდო კვარეშმა

მომავალ კვირაში, მოგეხსენებათ, უამრავი საინტერესო მატჩია დაგეგმილი. მათ შორის ერთ-ერთი, რომელიც საფეხბურთო სამყაროს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ჟენევაში ოთხშაბათს შედგება, სადაც პორტუგალია არგენტინას დაუპირისპირდება. ევროპელთა თავკაცმა **პაულუ ბენტუმ** შემადგენლობა უკვე დაასახელა. პორტუგალიელებს ორი ლიდერი აკლიათ. "რეალის" დაცვის ბურჯი **პეპე** ტრავმირებულია, რაც შეეხება **ლიდსონს**, მან გადაწყვიტა კარიერის ბოლო ეტაპი სამშობლოში გაატაროს. რამდენიმე დღის წინ მან "კორინთიანსთან" გააფორმა ხელშეკრულება და ვფიქრობთ, ამით პორტუგალიელთა სამსახურზე საბოლოოდ თქვა უარი. სამაგიეროდ ნაკრებს შევსება აქვს – გუნდს **რიკარდო კვარეშმა** დაუბრუნდა. გთავაზობთ სრულ შემადგენლობას:

**მეკარეები:** ედუარდუ (ჯენოა), რუი პატრისიუ (სპორტინგი), ვენტრა (პორტიმონენსე)

**მცველები:** ჟოაო პერეირა (სპორტინგი), როლანდო (პორტუ), კარვალიო (რეალი), ალვეში (ზენიტი), კოენტრაუ (ბენფიკა), ბოსინგვა (ჩელსი)

**ნახევარმცველები:** მაშადუ (ტულუზი), მარტინში (ბენფიკა), მოუტინიო (პორტუ), ველოზუ (ჯენოა), მეირელეში (ლივერპული), ნანი (მანჩესტერ იუნაიტედი), კუარეშმა (ბეშიქთაში), დანი (ზენიტი)

**თავდამსხმელები:** კრიშტიანო რონალდო (რეალი), პოშტიგა (სპორტინგი), ალმეიდა (ბეშიქთაში)

**ლევან ბიბილაშვილი**

# ჭირვეულობა თუ პრინციპულობა



ლორან ბლანი

ოთხშაბათს, 9 თებერვალს, "სტად დე ფრანსზე" 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი გამეორდება - საფრანგეთი ბრაზილიას დაუხვდება. მიუხედავად იმისა, რომ "მამლების" ლიდერებმა **პატრის ევრამ** და **ჟერემი ტულალანმა** სამხრეთ აფრიკაში ჩადენილი უმსგავსო საქციელისთვის დისკვალიფიკაციები უკვე მოიხადეს, ფრანგთა თავკაცი **ლორან ბლანი** "სამფეროვანთა" ბანაკში მათ დაბრუნებას არ ჩქარობს. საფრანგეთის სპორტის მინისტრმა **შანტალ ჟუანომ** განაცხადა, რომ სკანდალისტების ეროვნულ გუნდში დაბრუნება ცუდი მაგალითი იქნება მომავალი თაობებისთვის. მწვრთნელი ასეთი კატეგორიული არ არის და აცხადებს, რომ ამ ფეხბურთელებზე უარს მხოლოდ სპორტული პრინციპებიდან გამომდინარე ამბობს. გარდა ამ ორისა, ნაკრებს ასევე აკლია "ბაიერნის" "ადვილად მსხვრევადი" ლიდერი **ფრანკ რიბერი**. მოედანზე მისი სავარაუდო დაბრუნების თარიღი ჯერ კიდევ არ გარკვეულა. გუნდს ჰყავს ახალწვეულიც, "არსენალის" 25 წლის ცენტრალური მცველი **ლორან კოშელნი**.

**მეკარეები:** სედრიკ კარასო (ბორდო), უგო ლორისი (ლიონი), სტივ მანდანდა (მარსელი)

**მცველები:** ერიკ აბიდალი (ბარსელონა), გაელ კლიში, ლორან კოშელნი, ბაკარი სანია (სამივე არსენალი), ფილიპ მექსე (რომა), ადილ რამი (ლილი), მამადუ საჰო (პსჟ)

**ნახევარმცველები:** იოან კაბაიე (ლილი), ალუ დიარა (ბორდო), იოან გურკუფი (ლიონი), იან მვილა (რენი), ფლორან მალუდა (ჩელსი), ბლეზ მატუიდი (სენტ ეტიენი), ჟერემი მენეზი (რომა)

**თავდამსხმელები:** კარიმ ბენზემა (რეალი), კევინ გამეირო (ლორიანი), გიიომ ოარო (პსჟ), ლოიკ რემი (მარსელი)

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

## ვან ჰოიდონკის ახალი როლი

თურქეთის ნაკრების თავკაცმა **გუს ჰიდინკმა** ბოსფორის ნაპირებზე სამუშაოდ თანამემამულე **პიერ ვან ჰოიდონკი** დაპატიჟა. ვან ჰოიდონკმა ფეხბურთელის აქტიურ კარიერას წერტილი 2007 წელს დაუსვა. გარდა იმისა, რომ ხსენებულ პიროვნებებს ერთმანეთთან მშვენიერი პირადი ურთიერთობები აკავშირებთ, ჰიდინკი გათვლას სხვა რამეზეც აკეთებს: თავდამსხმელი თურქეთში, კერძოდ "ფენერბაჰჩეში", 2003/05 წლებში თამაშობდა და თურქულ ფეხბურთში შექმნილი სიტუაციისთვის ალღოს ალება არ გაუჭირდება. ჰოლანდიური "დე ტელეგრააფის" ცნობით, ვეტერანი ხელშეკრულებას წელიწადნახევრით გააფორმებს და ჰიდინკის ასისტენტის როლს ევრო 2012 წლის დასრულებამდე იკისრებს.

## მოტას საკითხი მალე გადაწყდება

ფიფა "ინტერის" 28 წლის შუახაზელის **ტიაგო მოტას** საკითხს მალე გადაწყვეტს. ბრაზილიელმა, ვისაც სამშობლოს 23-წლამდელთა ნაკრებში ორ ოფიციალურ შეხვედრაში უასპარეზია, დიდი ხნის წინ გამოთქვა მზადყოფნა, სანაკრებო კარიერა იტალიაში გაეგრძელებინა. ამ საკითხთან დაკავშირებით იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პოზიცია, პრინციპში, ცნობილია, ისინი ტიაგოს სურვილს გაგებით ეკიდებიან და თანახმანი არიან კვალიფიციურმა საყრდენმა ნახევარმცველმა "სკუადრა აძურას" რიგებში ითამაშოს. მოტას იმედი აქვს **ჩეზარე პრანდელისაც**.

## ანელკა ოკეანის გაღმა

საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა **ნიკოლა ანელკამ** შეიძლება მიმდინარე წლის ზაფხულზე კარიერა "ნიუ იორკ რედ ბულში" განაგრძოს. ამავე კლუბში თამაშობს მისი თანამემამულე **ტიერი ანრიც**. ინგლისური პრესის ვარაუდით, ნიკოლას ამერიკაში გადაბარგების იდეა სწორედ "არსენალის" ლეგენდარულ კაპიტანს ეკუთვნის. გეტყვით, რომ 31 წლის თავდამსხმელს "ჩელსისთან" კონტრაქტი წელიწადნახევარში უმთავრდება. პირველად აღნიშნული ხმები მას მერე დაირხა, რაც "არისტოკრატებმა" **ფერნანდო ტორესის** ტრანსფერი სრულყვეს. ბუნებრივია, ამ ნაბიჯით "სტემფორდ ბრიჯზე" ანელკას პოზიციები საგრძნობლად შესუსტდა.

## განაცხადს მიღმა

"მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი **ოუენ ჰარგრივსი** შესაძლოა მალე დაემშვიდობოს ფეხბურთს. მას ქრონიკული ტრავმები შესაძლებლობათა გამოვლენის შანსს არ აძლევს. ოუენს მთლად ფეხბურთიდან თუ არა, ყოველ შემთხვევაში "მანჩესტერ იუნაიტედიდან" წასვლა რომ მოუწევს, ცხადზე ცხადია. ამის პირველი ნიშანი სერ **ალექს ფერგიუსონის** მიერ მისი ჩემპიონთა ლიგის განაცხადს მიღმა დატოვება იყო. 29 წლის ფეხბურთელს ივნისში კონტრაქტი ეწურება და მანკუნიანელები მასთან თანამშრომლობის გაგრძელებას არ აპირებენ.

ინფორმაციისთვის გეტყვით, რომ ჰარგრივსს მიმდინარე სეზონში სულ 6 წუთი აქვს ნათამაშები, ხოლო 2007 წლიდან მოყოლებული ალისფერი მაისური 27-ჯერ მოირგო.

## მეტსიუ უმუშევარი დარჩა

გუშინ ყატარის ეროვნული გუნდის თავკაცი **ბრუნო მეტსიუ** უმუშევარი დარჩა. მისით დამქირავებლები განსაკუთრებით უკმაყოფილონი მას მერე დარჩნენ, რაც ფრანგის გაწვრთნილმა გუნდმა აზიის თასზე ცუდი შედეგი აჩვენა – ყატარი კონტინენტის პირველობისთვის ბრძოლას მეოთხედფინალში დაემშვიდობა იაპონიასთან ბრძოლაში. პრესა ვარაუდობს, რომ აზიური გუნდი უთავკაცოდ დიდხანს არ დარჩება.

## ოჰ, ეს სკლეროზი...

სწორედ გუშინ წერდა ჩვენი გაზეთი, რომ "ტოტენჰემის" 30 წლის ფეხბურთელმა **ლედლი კინგმა** მუხლის პრობლემების გამო საოპერაციო მაგიდაზე დაწოლა გადაწყვიტა. ამ მიზნით გუშინ ის გერმანიას უნდა გაფრენილიყო, მაგრამ ბანალური მიზეზით ლონდონშივე დარჩა: ფეხბურთელმა პასპორტი დაკარგა და მის გარეშე კი საზღვარზე აბა ვინ გაუშვებდა? *"ლედლის ოთხშაბათს ოპერაცია ელოდა, თუმცა მისი გაკეთება ერთი კვირით გადაიდო. მან უბრალოდ თავისი პასპორტის ნახვა ვერ შეძლო,"* - გულდაწყვეტილმა განუცხადა Goal.com-ს "დეზების" მოძღვარმა **ჰარი რედნაპმა**. გეტყვით, რომ ლედლის მთელი კარიერაა თან სდევს მუდმივი პრობლემები ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. ფანებმა ბოლოს ის მწვანე მინდორზე 3,5 თვის წინ, ოქტომბრის შუა რიცხვებში დალანდეს.

## კამორანეზი სამშობლოში

იტალიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **მაურო ხერმან კამორანეზი** კარიერას არგენტინაში გააგრძელებს და სავარაუდოდ იქვე დაასრულებს. "იუვენტუსიდან" წასვლის შემდეგ მაურომ "შტუტგარტს" მიაშურა, თუმცა მისი ბუნდესლიგური კარიერა მთლიანად ჩაფლავდა. შვაბების იმედების გამართლებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. მან შვიდჯერ დაიმსახურა მინდორზე გასვლის უფლება და ერთი წითელი ბარათი მიიღო. მხარეებმა ურთიერთშეთანხმებით კონტრაქტი გაწყვიტეს, რის შემდეგაც იყო ლაპარაკი, რომ კამორანეზი იტალიას დაუბრუნდებოდა, თუმცა ეს ასე არ მოხდა. საბოლოოდ ნახევარმცველმა ნავსაყუდელი არგენტინულ "ლანუსში" იპოვა.

## მექსე დაისვენებს

"რომას" ცენტრალურმა მცველმა **ფილიპ მექსემ** "ბრეშასთან" მიღებული წითელი ბარათის გამო გუშინ იტალიის პროფესიული ფეხბურთის ლიგისგან ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. ფრანგი "ჯალოროსის" უმნიშვნელოვანეს მატჩებს გამოტოვებს - 6 თებერვალს "სან სიროზე" "ინტერის", ხოლო 12 თებერვალს "ოლიმპიკოზე" "ნაპოლის" წინააღმდეგ.

**ლევან ბიბილაშვილი**



ფილიპ მექსე

ამბები

## კანი, რომელმაც მოურინიოს ბოთლი ესროლა

„ვილიარეალი" აგრძელებს თავისი ვარსკვლავების სამომავლოდ დაბევებას - **ჯუზეპე როსის** შემდეგ **რუბენ კანის** ჯერი დადგა, ვალენსიელთა ოფიციალურმა საიტმა გამოაცხადა, რომ 29 წლის ფეხბურთელმა კლუბთან კონტრაქტი 2014 წლის ზაფხულამდე გააგრძელა. ის, რომ კანისთან გაუმჯობესებულ კონტრაქტზე მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობდა, ჯერ კიდევ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე იყო ცნობილი. კანის ხელშეკრულება „ელ სუბმარინოსთან" ივნისში გასდიოდა და ესპანეთში რამდენიმე კლუბი მოთმინებით ელოდა, როდის გახდებოდა ფეხბურთელი თავისუფალი აგენტი.

„სარაგოსას" ყოფილი გამთამაშებელი, რომელიც „ვილიარეალში" მეხუთე სეზონია თამაშობს, ილონდ უმთავრესად ნახევარდაცვის ფლანგზე **ხუან კარლოს გარიდოს** დროს გახდა სასტარტო შემადგენლობის შეუცვლელი წევრი. **ხოან კაპდევილა**, ჯუზეპე როსი, ახლა კანი, რიგშია **მარკოს სენა** - მოკლედ, „ვილიარეალი" „ბარსელონას" პოლიტიკას ახორციელებს, საკუთარ ვარსკვლავებს სამომავლოდ იბევებს. *„ძალიან ბედნიერი ვარ, არც არასოდეს დამიმალავს, რომ ჩემს მომავალს მხოლოდ „ვილიარეალში" ვხედავ"*, - განაცხადა კანიმ, რომელსაც ამას წინათ „რეალის" თავკაც **ჟოზე მოურინიოსთან** მოუხდა ინციდენტი. კანიმ სათადარიგოთა სკამიდან წყლით სავსე ბოთლი ისროლა მოურინიოს მიმართულებით, რადგან მიიჩნევდა, რომ „განსაკუთრებული" ჟესტებით მის კლუბს შეურაცხყოფას აყენებდა.



რუბენ კანი

## სარაგოსაც იყიდება

„მალაგასა" და „რასინგის" შემდეგ „სარაგოსა" მესამე ესპანური გუნდი გახდება, რომელიც ამ სეზონში უცხოელი მფლობელის ხელში გადავა. არაგონული კლუბის ხელმძღვანელობამ მიაღწია წინასწარ შეთანხმებას დუბაის კონსორციუმთან კლუბის გაყიდვაზე. „ბლანკილოსის" პრეზიდენტი **აგაპიტო იგლესიასი** ძალიან ახლოსაა არაბებთან ხელშეკრულების გაფორმებასთან. გაგიკვირდებათ და, „სარაგოსას" განკარგვის უფლებას არაბები 3 მილიონ ევროდ ყიდულობენ, ამდენი ევროპაში საშუალოზე საშუალო ფეხბურთელი ღირს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დუბაის კონსორციუმი თავის თავზე იღებს არაგონელთა ვალებსაც. ეს კი, ესპანური მედიის ცნობით, სადღაც 130 მილიონი ევროა. იგლესიასი კლუბის ხელმძღვანელად სეზონის ბოლომდე დარჩება, შემდეგ კი პოსტს **ხავიერ აბადს** გადააბარებს, ბიზნესმენსა და ფიფას აგენტს. არადა, „სარაგოსა" ვალებმა აიძულა ბილბაოს „ატლეტიკს" შეთანხმებოდა, რომლის მიხედვითაც კლუბის ამომავალი ვარსკვლავი **ანდერ ერერა** ივნისიდან ბასკურ გუნდში გადავა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ თავად ანდერს, ბილბაოში დაბადებულს სურდა მშობლიურ ქალაქში დაბრუნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

# დიდი ჩემპიონები ასეთ პირობებში არ იზრდებიან



გუშინ დიღმის ძიუდოს აკადემიაში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდა „ბერძენ-რომაელთა" შორის და გამოვლინდნენ ჩემპიონ-პრიზიორები დარჩენილ ოთხ წონით კატეგორიაში. ტურნირის მეორე დღეც ისევე მშვიდად და ორგანიზებულად ჩატარდა, როგორც - პირველი. მართალია, იყო ერთი ინციდენტი, როცა მაყურებლის უდისციპლინო საქციელისთვის მოჭიდავე მოხსნეს, მაგრამ ამას საერთო სურათზე ცუდი გავლენა არ მოუხდენია. თან მსგავსი მიდგომა წესრიგის დასამყარებლად საჭიროცაა.

ზოგად ფონს რაც შეეხება, ჭიდაობის ხარისხს თითქოს არა უშავდა, მაგრამ სასურველი დონისგან მაინც შორს ვართ. იქნებ ვინმემ თქვას, ჯერ ხომ სეზონის დასაწყისიაო, მაგრამ მთელი რიგი სიმპტომური პრობლემები ისევ გამოჩნდა თვალნათლივ. მაგალითად, კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ ჩოქბჯენიდან ჭიდაობა კვლავაც ჩვენს „აქილევსის ქუსლად" რჩება, რასაც არასაკმარისი ფიზიკური მომზადება განაპირობებს. უკვე კარგა ხანია, ჭიდაობის ეს სტილი ფიზიკურ მომზადებას დაეფუძნა დ ამ კომპონენტში ჩავარდნა პირდაპირ ურტყამს შედეგებს. საქმე უკვე იქამდეც მიდის, მოჭიდავეები დაცვაში ჩადგომას ირჩევენ, როცა არჩევანის საშუალება მიეცემათ - იციან, თვითონ ვერ დაატრიალებენ, მაგრამ ამას ვერც მეტოქე გააკეთებს და ურჩევნიათ, ისევ მოწინააღდეგის სისუსტის ხარჯზე მოიპოვონ ქულა, ვიდრე - საკუთარი სიძლიერის, რადგან ამ შემთხვევაში წაგების რისკიც მეტია.

თუმცა ამას ხელს იქნებ უფრო გლობალური პრობლემაც უწყობს, რაზეც ჩვენც დაგვიწერია - თბილისში თითქმის აღარ დარჩა საჭიდაო დარბაზები. ყოველ შემთხვევაში, მოჭიდავეები ძალიან ბევრი დარბაზიდან გაიყვანეს და სამადლოდ სადღაც შეუშვეს, პირობები კი უმეტესად, რბილად რომ ვთქვათ, კრიტიკას ვერ უძლებს. ტურნირის მიმდინარეობისას სახელოვანი მწვრთნელი **დავით დავითაია** გამომელაპარაკა, რომელიც ფალავანთა სამჭედლოდ ცნობილ „პეტრეს დარბაზში" დღემდე კი რჩება, მაგრამ იქაურობა გაიყიდა და მათი გამოსახლებაც დროის ამბავია. ერთ ოთახში ღუმელი გვიდგას, სადაც ბიჭები ცოტას შეთბებიან და მერე გარბიან დარბაზში სავარჯიშოდო, მითხრა დავითაიამ. მან თურმე პატარების ჯგუფი საერთოდ დაითხოვა მას შემდეგ, რაც ორ ბავშვს ფილტვების ანთება დაემართა. ვერაფერს იტყვი - მდგომარეობა საგანგაშოზე მეტია. დიდი ჩემპიონები ასეთ პირობებში არ იზრდებიან და შედეგების გაუარესების ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა.

მაგრამ დავუბრუნდეთ შეჯიბრებას და 74 კილოგრამით დავიწყოთ, სადაც თბილისელმა **ზურაბ დათუნაშვილმა** გაიმარჯვა. ფინალში მან წონის შარშანდელი ლიდერი, ადიგენელი **გოგა აფრიამაშვილი** დაამარცხა.

84-ში ჭაბუკთა ნაკრებიდან წლეულს გადმოსულმა გარდაბნელმა **რობერტ ქობლიაშვილმა** იმარჯვა, რომელიც პირველად ჭიდაობდა ამ ასაკში. არადა, ფინალში სერიოზული მეტოქე ჰყავდა - ქუთაისელი **დავით ჩაკვეტაძე**, ვინც შარშან ამ ასაკში ქვეყნის პირველობა მოიგო, ჭაბუკებში კი ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა. მან ნოემბერში საქართველოს პირველობაზე უფროსებშიც იჭიდავა და ვერცხლიც მოიპოვა. თან კარგი ჭიდაობით დაგვამახსოვრა თავი. ამჯერად ქობლიაშვილთან ვერაფერს გახდა იმის მიუხედავად, რომ ჟინი და მონდომება არ დაეწუნებოდა, მაგრამ მეტოქემ ჭკვიანური ჭიდაობით აჯობა.

საინტერესო ფინალი გაიმართა 96-შიც, სადაც უფროსებში ქვეყნის წლევანდელმა ჩემპიონმა, თბილისელმა **ალექსანდრე დიხამინჯიამ** გაიმარჯვა, თუმცა ფინალში ბეწვზე გადაურჩა წყალტუბოელ **ირაკლი ქაჯაიასთან** მარცხს, რომელმაც სწორედ ჩოქბჯენში ვერ ივარგა. არადა, მას ორჯერ მიეცა ამისი შანსი. პირველად ძირითადი დროის მეორე პერიოდში, როცა მეტოქე ვერ დაატრიალა. ამით ანგარიში გათანაბრდა და შეხვედრა დამატებით დროში გაგრძელდა. იქ ისევ ქაჯაიას მიეცა შანსი და მეტოქე ხალიჩიდან კარგადაც ასწია, ბრუნიც კარგად დაიწყო, მაგრამ ბოლომდე ვერ დაასრულა, ხელიც გაეხსნა და წააგო. დიხამინჯიამ წინა დღეებში თურმე იავადმყოფა და რომ არა ახალგაზრდული ნაკრების თავკაც **ვლადიმერ ადეიშვილის** მკაცრი მოთხოვნა, იქნებ, არც ეჭიდავა. ამ წონაში ოჯახური ტანდემი ვიხილეთ - ბრინჯაოს მედალი ირაკლი ქაჯაიას ბიძაშვილმა **იაკობ ქაჯაიამ** მოიპოვა.

თუმცა მთავარი ოჯახური ტანდემი მძიმე წონის ფინალში იყო და ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრაც შედგა ქუთაისელ ძმებს - **შოთა** და **სერგო გოგისვანიძეებს** შორის. ეს შარშანდელი ფინალის განმეორება იყო - მათ მაშინაც ოქროსთვის იჭიდავეს ერთმანეთთან და ერთი წლით უფროსმა ძმამ - სერგომ გაიმარჯვა. თურმე მაშინ შოთა ამისთვის კიდეც წაეჩხუბა მას, ამ ფინალის წინ კი ქუთაისელთა ჯგუფს ჩავუარე და გავიგონე, როგორ ხუმრობდა მათი ერთ-ერთი მწვრთნელი, ეგენი ახლაც იჩხუბებენო. ჩხუბამდე საქმე არ მისულა, მაგრამ ძმებმა მართლაც არ დაზოგეს ერთმანეთი და მაყურებელს, ალბათ, ყველაზე აზარტული, ჟინიანი და მძაფრი ორთაბრძოლა შესთავაზეს. ფინალი დამატებით დროში გაგრძელდა და ამჯერად შოთამ რევანში აიღო, სერგომ კი ისევ ზემოხსენებული სენის გამო წააგო - ირაკლი ქაჯაიასი არ იყოს, ჩოქბჯენში ბოძებული შანსი ვერც ამან გამოიყენა.

ამით გამოიკვეთა ის ძირითადი ბირთვი, რომელიც ევროპისა და მსოფლიოს პირველობებისთვის მოემზადება, მწვრთნელი კი საბოლოო არჩევანს საერთაშორისო ტურნირების შედეგებზე დაყრდნობით გააკეთებს. ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ვლადიმერ ადეიშვილს გავესაუბრეთ: „ჩემთვის აღმოჩენა იყო ქობლიაშვილი, რომელიც წლეულს გადმოვიდა ჭაბუკებიდან და პირველად ჭიდაობდა ახალგაზრდებში. არადა, ამ წონაში პირველი ნომერი რევაზ ნადარეიშვილი მეგონა. ასევე ახალი გადმოსულია ფირუზ წულუკიძეც, რომელმაც გუშინწინ 60-ის ფინალი წააგო. ჭიდაობის ხარისხით ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ მიხარია, რომ რამდენიმე წონაში კონკურენცია გაიზარდა და კარგი ბიჭები გამოჩნდნენ. ახლა ზოგან 2-3 მაღალი დონის კონკურენტია. ალბათ, ევროპისა და მსოფლიოს პირველობებისთვის ორ-ორ შემადგენლობას მოვამზადებთ, თუმცა ჯერ გარკვეული არაფერია - ამ შეჯიბრებებზე წასაყვანი შემადგენლობა საერთაშორისო ტურნირების შემდეგ გაირკვევა, საამისოდ კი სამ შეჯიბრებაში გამოვალთ - მარტში რიგაში ვიჭიდავებთ, აპრილში - აზერბაიჯანში იქაური ჭიდაობის ფედერაციის თასზე, მაისში კი ანკარაში საერთაშორისო ტურნირზე ვიასპარეზებთ. რაც შეეხება უახლოეს გეგმებს, მალე ბაკურიანში წავალთ შეკრებაზე".

**ირაკლი თავაძე**

**კვარცხლბეკი.**

**74 კგ.** 1. ზურაბ დათუნაშვილი (თბილისი), 2. გოგა აფრიამაშვილი (ადიგენი), 3. უშანგი ჩიტიაშვილი (გარდაბანი), ლაშა გობაძე (აჭარა).

**84 კგ.** რობერტ ქობლიაშვილი (გარდაბანი), დავით ჩაკვეტაძე (ქუთაისი), 3. თორნიკე ძამაშვილი (გარდაბანი), რევაზ ნადარეიშვილი (თბილისი).

**96 კგ.** 1. ალექსანდრე დიხამინჯია (თბილისი), 2. ირაკლი ქაჯაია, 3. იაკობ ქაჯაია (წყალტუბო), ბექა ქურცაძე (ქუთაისი).

**120 კგ.** 1. შოთა გოგისვანიძე. 2. სერგო გოგისვანიძე (ქუთაისი), 3. მუხრან ჭანკურიძე (აჭარა), გიორგი ხაბაშვილი (რუსთავი).

თავისუფალი ჭიდაობა. თბილისის პირველობა

# თბილისი მხოლოდ 8 კაცით?

ამ დღეებში ჩატარდა თბილისის პირველობა თავისუფალ სტილში მოჭიდავე ახალგაზრდებს შორის. მისი მიზანი სულ მალე ბათუმში გასამართი საქართველოს ჩემპიონატისთვის მონაწილეთა შერჩევა იყო. ამიტომ ტურნირში დედაქალაქის სხვადასხვა სპორტული კლუბის წარმომადგენლები გამოვიდნენ. ყველაზე მეტად ჯემალ ცერცვაძის სახელობის კლუბის წარმომადგენლებმა იყოჩაღეს (ეს კლუბი, ხელბურთის გარდა, ჭიდაობასაც აერთიანებს, რაკილა საკუთარი შენობიდან დევნილი ფალავნები იქ შეიხიზნენ). მათ ოქროს 4 მედალი მოიპოვეს - **ბექა სურმანიძემ** (50), **გიორგი გოგოლაძემ** (55), **თედორე ებანოიძემ** (96) და **გიორგი ასლანიშვილმა** (120). აქვე გეტყვით, რომ კლუბის მწვრთნელები დიდად ემადლიერებიან სპეციალური დანიშნულების რაზმის ხელმძღვანელობას - ასლანიშვილი იქ მსახურობს, მაგრამ ყველანაირად უქმნიან პირობებს სავარჯიშოდ. ეს დახმარება რომ არა, ის ვერც იჭიდავებდა ამ ჩემპიონატში.

ოქროს მედლებით (2-2) მეორე-მესამე ადგილები გივი კარტოზიას სახელობის კლუბმა და „მართვემ" გაიყვეს. კარტოზიას კლუბიდან ჩემპიონები **რევაზ ივანიშვილი** (74) და **ალექსანდრე ამინაშვილი** (84) გახდნენ, მართვედან - **ლევან გოგრიჭიანი** (60) და **კონსტანტინე გავაშელი** (66).

ბათუმში ეს ოქტეტი ნამდვილად იჭიდავებს, თუმცა საკითხავია, გააგზავნიან თუ არა დანარჩენებსაც, თუნდაც ვერცხლის მედალოსნებს? გუნდი დედაქალაქის მერიამ უნდა დააფინანსოს, მათ კი თანხა მხოლოდ რვა კაცზე გამოყვეს. არადა, საქართველოს ჩემპიონატში თბილისი ბევრად სოლიდური გუნდით გამოსვლას იმსახურებს.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# კარგი სტარტი



მალიორკაში, კალა მიორის კორტებზე მცირე საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი დოლარი) მიმდინარეობს, რომლის პირველი ეტაპი ორმა ჩვენებურმა წარმატებით გადალახა. ბალეარის კუნძულებზე 22 წლის **სოფიო ქვაცაბაია** (413) მე-4 ნომრად განთესეს. მისი პირველი მეტოქე საკვალიფიკაციო წრის გამარჯვებული ბელგიელი **აპოლონია მელზანი** იყო, რომელმაც ჩვენებურს ვერაფერი დაუპირისპირა - 6:1, 6:2. მერვედფინალში უპრობლემოდ გავიდა მე-8 ნომრად განთესილი 19 წლის **ეკა გორგოძეც** (623), მან იტალიელი **მარია ზავალი** გამოაგდო გათამაშებიდან - 6:0, 6:2. ქვაცაბაიას მეტოქე ესპანელი **კაროლინა პრატს-მილანია** (1019), ხოლო გორგოძე „უაილდ ქარდით" მიწვეულ ავსტრიელ **შტეფანი ჰირშს** (1033) შეხვდება. ჩვენებურები უკვე გამოეთიშნენ წყვილთა ასპარეზს.

შეგახსენებთ, რომ მალიორკის ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში ძალები ჩვენმა დამწყებმა პროფესიონალებმაც მოსინჯეს, მაგრამ **ნინო სუჯაშვილმა** (17 წლის), **მარიამ ქურასბედიანმა** (15) და **მარიამ სხირტლაძემ** (16) ძალზე წარუმატებლად იასპარეზეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სამთო თხილამურობა

# სწრაფდაშვება მორჩა, ველით სუპერგიგანტს

შვეიცარიულ კრან მონტანაში დასასრულს მიუახლოვდა მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი სამთო სათხილამურო სპორტში. სწრაფდაშვებაში **დიმიტრი გედევანიშვილმა** საბოლოოდ 76-ე ადგილი დაიკავა, ხოლო **ჯაბა გელაშვილმა** - 86-ე. ჯერჯერობით ქართველთაგან საუკეთესო შედეგი 19 წლის გუდაურელ **ალექსი ბენიაიძეს** აქვს, რომელმაც სლალომში 30-ე ადგილი დაიკავა. მსოფლიოს ჩემპიონატის პროგრამაში დარჩა ქალთა სლალომი (**ნინო წიკლაური**), კომბინაცია და სუპერგიგანტი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# მეორე ტურის შედეგები

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინ 18-წლამდელთა საქართველოს პირველობაზე მე-2 ტურის შეხვედრები გაიმართა.

გოგონებში წარმატებით ითამაშა **მერი არაბიძემ**, რომელმაც შავი ფიგურებით **ელენე პეტრიაშვილი** დაამარცხა და 2 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა. დაზავდნენ: მარიამ თევზაძე-ანა კუჭავა, ანა შამათავა-ლიკა კობეშავიძე, ნათია ჯალაბაძემ კი დეა გოგიშვილი დაამარცხა. მე-3 ტურის წინ თევზაძე, კუჭავა, შამათავა, კობეშავიძე და ჯალაბაძე ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან.

ვაჟებში 2-2 ქულა ზურაბ ჯავახაძემ, გიგლა ბენიძემ, ნიკოლოზ ქუმსიაშვილმა, ირაკლი ბერაძემ და შალვა ნადირაშვილმა მოაგროვეს, რომლებმაც, შესაბამისად, გიორგი წიწილაშვილს, ოთარ მანგიაშვილს, გიორგი სიბაშვილს, ნოე თუთისანსა და ნიკა ვოლკოვს ძლიეს.

დღეს მე-3 ტურის შეხვედრები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

# ნანა პირველია, სალომე – მეორე



ნანა ძაგნიძე



სალომე მელია

გიბრალტარში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალის ბოლო ორ ტურში შესანიშნავად ითამაშა დრეზდენის საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულმა, ფიდეს ქალთა გრანპრის ფავორიტმა **ნანა ძაგნიძემ,** რომელმაც ზედიზედ სძლია **დრაშკო ბოშკოვიჩსა** (სერბეთი) და **კრიშნან სასიკირანს** (ინდოეთი), მოაგროვა 7 ქულა და საერთო ჩათვლაში მეექვსე იყო, ხოლო ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა. **სალომე მელია** ორივე შეხვედრაში ინდოელებს — **პენტალა ჰარიკრიშნას** და **ნარაინან გიტა გროპალს** დაუზავდა, მანაც 7 ქულას მოუყარა თავი, მაგრამ უარესი კოეფიციენტით ქალებში მეორე ადგილი ერგო. 6,5 ქულით მესამეზე რუსი **ნადეჟდა კოსინცევა** გავიდა.

ტურნირში მესამე ქართველი დიდოსტატი — **გიორგი ყაჭეიშვილიც** მონაწილეობდა. რვა ტურის მონაგარს ბოლო ორ დღეში მან 1,5 ქულა შემატა (ყაიმზე შეუთანხმდა **ჰარიკა დრონავალს, ალექსაის საბრერა** კი დაამარცხა) და 7 ქულით მე-14 ადგილით დაკმაყოფილდა. ფესტივალის გამარჯვებული გახდა უკრაინელი **ვასილი ივანჩუკი,** რომელმაც 8 პარტია მოიგო და მხოლოდ 2 პარტია დაამთავრა ყაიმით. 8,5 ქულით მეორე პრიზი **ნაიჯელ შორტს** (ინგლისი) ერგო. 7,5-7,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები **კაიდო კულაოტსმა** (ესტონეთი) და **მიხაელ როისმა** (ისრაელი) გაიყვეს.

**ვაჟა დანელია**

**მილოცვა**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 80 წლის იუბილეს ულოცავს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ტყვიის სროლაში, წლების მანძილზე ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ღვაწლმოსილ სპეციალისტს, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონის ნინო სალუქვაძის აღმზრდელ **ვახტანგ სალუქვაძეს.** უსურვებს მას ჯანმრთელობასა და მრავალი წლის სიცოცხლეს ქართული სპორტის საკეთილდღეოდ.

● სოხუმი

# ლატვიის ნაკრების მწვრთნელი სოხუმისკენ

არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ სუპერლიგის წარმომადგენელი „სოხუმი" საფუძვლიანად ძლიერდება. გუნდის ხელმძღვანელობამ ახალგაზრდულ ჩემპიონატებში მოთამაშე საუკეთესო კალათბურთელები შეკრიბა, რაც სამომავლოდ პირველ გუნდს აუცილებლად წაადგება. „სოხუმში" თავი მოიყარა სამმა ამერიკელმა, რომლებიც გუნდს სუპერლიგაში სათანადოდ ეხმარებიან. ასევე დაემატა ამერიკის კოლეჯების ლიგაში გამოწვრთნილი **ლაშა ფარლალავა** და გაზაფხულზე ასევე კოლეჯებში მოასპარეზე **დიმიტრი ფაცაციას** ელიან.

დასაწყისისთვის შესანიშნავია, თუმცა „სოხუმის" ხელმძღვანელობა ამაზე არ შეჩერდა და ევროპული დონის მწვრთნელის ჩამოყვანა გადაწყვიტა. იყო ორი ვარიანტი: **რიმანტას გრიგასი** და **აინარს ბაგაცკისი**. პირველი „ჟალგირისის" სპორტული დირექტორია და გაცილებით დაბალია მისი საქართველოში ჩამოსვლის შანსი. რაც შეეხება აინარს ბაგაცკისს, იგი ლატვიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელია და „სოხუმის" გაწვრთნის იდეასაც დადებითად უყურებს. კლუბსა და ნაკრებში ერთდროულად მუშაობა ევროპაში ან უკვე დამკვიდრებული პრაქტიკაა.

ბაგაცკისი საქართველოში სავარაუდოდ 5 თებერვლისთვის ჩამოვა და სუპერლიგაში „სოხუმის" („აგრარულთან") მატჩს დაესწრება.



აინარს ბაგაცკისი

ვიდრე მთავარ მწვრთნელად უცხოელი დაინიშნებოდეს, გუნდს კვლავ **ვაჟა კვარაცხელია** გაწვრთნის, რომელსაც გუშინ ველაპარაკეთ.

- კლუბის ხელმძღვანელობას დეკემბერშივე ვუთხარი - გადავილალე და სჯობს უცხოელი მწვრთნელი ჩამოვიყვანოთ მეთქი. თანაც, მომავალი სეზონისთვის გუნდის სერიოზულად გაძლიერება და ევროტურნირებზე თამაში იგეგმება და ამისთვის კარგი უცხოელი სპეციალისტი აუცილებელიცაა.

ბატონმა ვაჟამ დაამატა, რომ ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, გრიგასი ჩამოვა თუ ბაგაცკისი, მაგრამ მეტი შანსია „სოხუმი" ბაგაცკისმა გაწვრთნასო.

- მე მის ასისტენტად ვიმუშავებ. ვიმედოვნებ, მეორე წრეში საფუძველს ჩავუყრით გუნდის მომავალ წარმატებებს.

***P.S.** გუშინ ღამით გადაწყდა აინარს ბაგატსკისის საკითხი - იგი „სოხუმს" გაწვრთნის, საქართველოში 5 თებერვალს გამთენიისას ჩამოვა და შესაძლოა „სოხუმს" სუპერლიგის მატჩში შაბათსვე გაუძღვეს.*

● ექსკლუზივი. ინტერვიუ ბელგიის ნაკრების ლიდერ დიმიტრი ლაუერსთან



დიმიტრი ლაუერსი (მარცხნივ) და მერაბ ბოქოლიშვილი

# მომდევნო ეტაპზე: სლოვენია, ბელგია, საქართველო!

**ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრებმა ყველა მეტოქესთან წარმატებით ითამაშა, „კერკეტი კაკალი" მხოლოდ ბელგია გამოდგა. ჯგუფში პირველ ადგილზე სწორედ ბელგიელები გავიდნენ.**

**მას მერე ხუთი თვე გავიდა და ევროპის ჩემპიონატის წილისყრამ საქართველოს ნაკრებს მეტოქედ კვლავ ბელგია არგუნა. საინტერესოა, რას ფიქრობენ ქართველებთან მომავალ შეხვედრაზე თავად ბელგიელები და როგორ იხსენებენ 2010 წლის მატჩებს.**

**იტალიურ „აველინოში" მერაბ ბოქოლიშვილის გვერდით ბელგიის ნაკრების უკანახაზელი დიმიტრი ლაუერსი თამაშობს. სწორედ მერაბის დახმარებით დავუკავშირდით მას და რამდენიმე საინტერესო საკითხზე ველაპარაკეთ. გამოგიტყდებით, შარშან, ბელგიასთან პირველი მატჩის შემდეგ სწორედ ლაუერსზე ვიყავი გაბრაზებული, რადგან სირენამდე 6 წუთით ადრე, თანაბარ ანგარიშზე (55:55) სწორედ მან ჩააგდო სამქულიანი, ერთ წუთში იმავე ლაუერსმა მეორე სამიანი გამოიყენა, ბელგია 5 ქულით დააწინაურა... მას მერე ჩვენმა ნაკრებმა თამაშის შემოტრიალება ველარ შეძლო.**

**დიმიტრიმ ინტერვიუში ქართველებზე იმდენად თბილად ილაპარაკა, რომ წყენაც დამავიწყა და სამქულიანებიც. მით უმეტეს, რომ საქართველოს ნაკრებმა ბელგიასთან წაგების მიუხედავად მიაღწია ევრობასკეტამდე.**

**- თავდაპირველად ევროპის ჩემპიონატის წილისყრაზე ვთქვათ.**

- მოგესალმებით. მადლობას მოგახსენებთ, ჩემდამი ინტერესის გამოხატვისთვის. სხვა ჯგუფების ფონზე იოლი ჯგუფში მოვხვდით. მაგრამ სწორედ ეს ართულებს საქმეს - ყველას აქვს მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი და ერთი-ორად მონდომებული ითამაშებს.

**- ბელგიის ნაკრების მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებზე რა აზრის ბრძანდებით?**

- ბულგარეთსა და საქართველოს კარგად ვიცნობთ. მათ გასულ წელს შესარჩევ ტურნირზე ვეთამაშეთ. შეჯიბრების დაწყებამდე ქართველებიცა და ბულგარელებიც ბელგიაზე ძლიერებად ითვლებოდნენ, მაგრამ ორივეს ვაჯობეთ და ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავეთ. შესაბამისად, იმავეს გამეორებაზე ვფიქრობთ 2011 წლის სექტემბერშიც.

**- არ შეიძლება შესარჩევ ტურნირში საქართველო-ბელგიის ორ დაპირისპირებაზე არ გკითხოთ.**

- პირველი მატჩის წინ, მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელი ბელგია იყო, ფავორიტად საქართველო ითვლებოდა. თქვენს გუნდში არაერთი მაღალი კლასის კალათბურთელია - ზაზა ფაჩულია, მანუჩარ მარკოიშვილი, ვიქტორ სანიკიძე. ქართველებისა არ გვეშინოდა. ჩვენი გამარჯვება კი განწყობამ განაპირობა - ყველას სურდა სწორედ ფავორიტთან გამოეჩინა თავი. ამიტომ შევიკარით, მაქსიმალურად მობილიზებულები ვიყავით და წარმატებასაც მივაღწიეთ. ქართველებთან პირველი მოგება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო - თვითრწმენა შეგვემატა და დავინახეთ, რომ ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება რეალურად შეგვეძლო.

**- მეორე მატჩი, თბილისში 23 ქულის სხვაობით მოიგეთ.**

- ეს ჩვენთვისაც დიდი სიურპრიზი იყო. ვიცოდით, რომ თბილისის დარბაზი ბოლომდე გაივსებოდა, მეტოქეც ძლიერი გვყავდა და წარმატების მიღწევა ძალიან გაგვიჭირდებოდა, მაგრამ ახლაც არ ვიცი რა მოხდა, როგორ მოვიგეთ ასე იოლად.

**- სანაკრებოდან საკლუბო თემაზე გადავინაცვლოთ. „აველინოში" ახალგაზრდა ქართველი მერაბ ბოქოლიშვილი თამაშობს. მინდა მისი დახასიათება გთხოვოთ.**

- ძალიან ძნელია ახალგაზრდულ ასაკში სამშობლოსთან მოწყვეტა, თუმცა მერაბს დიდ კალათბურთელად ჩამოყალიბება აქვს გადაწყვეტილი და საქართველოდან შორს, იტალიაში ძალიან ბევრს შრომობს. მას კარგად ესმის, რაც უნდა ნიჭიერი იყოს ადამიანი, პროფესიული წინსვლისთვის ბევრი ვარჯიში სჭირდება. ჩემი აზრით, მერაბი „აველინოს" პირველი გუნდისთვის მზადაა. ამიტომაც ხვდება გუნდის განაცხადში და იმედი მაქვს, უახლოეს მატჩებში იტალიის ჩემპიონატში დებიუტიც ექნება. და რაც ყველაზე მთავარია - ბოქოლიშვილი თავისი ასაკის კალათბურთელებზე წინაა. სწორედ ამიტომ მისთვის დიდებში ვარჯიში უფრო სასარგებლოა, ვიდრე თანატოლებში.

**- იცნობთ კიდევ ერთ ქართველს - ვატო ნაცვლიშვილს. მახსოვს, თბილისის დარბაზში ნაცვლიშვილი რომ შემოვიდა, ხმამაღლა დაიძახეთ: ვატოო!**

- ნაცვლიშვილთან ერთად დიდი ხნის წინათ ვთამაშობდი. მასთან შესანიშნავი ურთიერთობა მქონდა. ვატო გუნდის ლიდერი იყო და მისი დახმარებით საფრანგეთის თასიც მოვიგეთ. დღესაც სიამოვნებით ვიხსენებ „დიჟონში" გატარებულ წლებს.

**- დამშვიდობების წინ ერთს გისურვებთ: ევროპის ჩემპიონატის მომდევნო ეტაპზე ბელგია და საქართველო გასულიყვნენ.**

- გამოგიტყდებით, მეც ეგ მინდა. სლოვენია ძალიან ძლიერია, მას ვერ ჩამოვიტოვებთ, მომდევნო ორ ადგილს ბელგია და საქართველო თუ დაიკავებენ, ძალიან გამიხარდება. ამას გულწრფელად ვამბობ, რადგან ქართველი კალათბურთელები ძალიან მომწონს და დიდ პატივს ვცემ - იტალიაში ჩვენთან ერთად თამაშობენ მანუჩარ მარკოიშვილი და ვიქტორ სანიკიძე, რომლებთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს.

# სანქციები

ფიბა-ს კატეგორიის არბიტრი, **ზაზა მაჩალაძე**, რომელმაც თასის გათამაშებისას „არმია"-თსუ-ს ნახევარფინალურ მატჩზე გარკვეული შეცდომები დაუშვა, მსაჯთა კომიტეტმა ფინალიდან მოხსნა. დღეს კი ამავე კომიტეტმა მის მიმართ სანქცია გამოიტანა. სხდომის მსვლელობისას დეტალურად განიხილეს კომისარ, **თენგიზ ქიქოძის** მოხსენებითი ბარათი და თამაშის ვიდეოჩანაწერი. მსაჯმა ზაზა მაჩალაძემ გულწრფელად აღიარა მის მიერ დაშვებული შეცდომები.

სხდომამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება მაჩალაძის დასჯის შესახებ და მას აეკრძალა მსაჯობა სუპერლიგის ორი ტურის განმავლობაში.

ამავე თამაშში („არმია"-თსუ), კომისრის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის 2-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო **შალვა კოხრეიძემ**. ხოლო 26 იანვარს „დინამო"-"აგრარულის" მატჩში, ასევე სიტყვიერი შეურაცხოფისთვის, 2 თამაშით დისკვალიფიცირებულია **ლაშა ეძგვერაძე**.

1 თებერვალს, 20-წლამდელთა ჩემპიონატში, კალენდარული მატჩის დროს „მაკაბისა" და "რუსთავს" შორის მომხდარი ინციდენტის გამო, მოთამაშე **ჯაბა არაბული** მეტოქის ფიზიკური შეურაცხოფისთვის სამი თამაშითაა დისკვალიფიცირებული.

● ლეგიონერი

# მაქაბის +37, შერმადინის 15, ბორისას 1:37

**გიორგი შერმადინმა** თავისი დღიურის ბოლო გვერდზე დაწერა: ძალიან მაინტერესებს მძიმე ცენტრ **სოფოკლის შორცანიტისის** წინააღმდეგ ბრძოლა. აქამდე მასთან არ მითამაშიაო. გუშინ ღამით გიორგის „ოლიმპია" სოფოკლისის „მაქაბიმ" თელ-ავივში მიიღო და 104:67 დაამარცხა.

მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებმა სლოვენიელებს დიდი სხვაობით სძლიეს, ვერ ვიტყვით, რომ „მაქაბის" ცენტრებმა, შორცანიტისმა და **მილან მაჩვანმა** შერმადინს აჯობეს. მათ ერთობლივად 12 ქულა და 2 მოხსნა მიითვალეს, ხოლო გიორგი შერმადინმა 25 წუთში 15 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი და 2 დაფარება. მასზე მაქაბელები 8-ჯერ დაჯარიმდნენ. მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით გიორგი პირველი ოლიმპიელი იყო - 22.

გაცილებით „ომახიანად" ვიტყოდით, 25 წუთი და 15 ქულა შერმადინის საევროლიგო რეკორდებიაო, „ოლიმპიას" მატჩი რომ მოეგო. თუმცა რომელ მოგებაზეა ლაპარაკი, როცა „მაქაბიმ" მეორე პერიოდშივე გადაწყვიტა გამარჯვებულის ბედი.

მწვრთნელმა **დევიდ ბლატმა** (რუსების ნაკრებსაც წვრთნის) სასტარტო ხუთეულში მძიმე შორცანიტისი გამოიყვანა, მაგრამ მალევე შეცვალა და „მაქაბი" შეტევისას „სინათლის სიჩქარით" ათამაშდა. დაცვისას კი მოედნის მთელ სივრცეზე მიმართავდა პრესინგს, რომლის წინააღმდეგ „ოლიმპიას" მწვრთნელს იარაღი არ აღმოაჩნდა. მე-13 წუთისთვის „მაქაბი" 37:12-ს იგებდა.

მასპინძლები მეორე ტაიმში ტემპსაც კარგად არეგულირებდნენ და სიტუაციასაც. გამარჯვება კი მე-13 წუთის შემდეგ კითხვის ნიშნის ქვეშ აღარ დამდგარა.

ერთ სასიამოვნო ამბავზეც უნდა გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება: 2005 წლის შემდეგ **ვლადიმერ ბორისამ** ევროლიგაზე პირველად ითამაშა. მან მოედანზე 1:37 წუთი გაატარა, თუმცა დროის ამ მცირე მონაკვეთში სტატისტიკის შევსება ვერ მოასწრო.






● ქართველი NBA-ში

# რეპტილიებმა ატლანტური გამყინვარება ვერ გადაიტანეს

## ფაჩულიამ ნდობა თამაშით დაიმსახურაო

ატლანტაში ჩასულ „ტორონტო რეპტორსს" დიდი ყინვა დახვდა. მის თვითმფრინავს ლოლოები ჩურჩხელებივით აესხა. ძნელი სათქმელია, „დიდმა რეპტილიებმა" ატლანტური გამყინვარება ვერ გადაიტანეს, თუ სხვა მიზეზი იყო, მაგრამ ფაქტია, რომ „ჰოქსს" აუღელვებელი თამაშით კანადელებისთვის გამარჯვების მცირე შანსიც არ მიუცია. საბოლოოდ 100:87 „ატლანტას" სასარგებლოდ.

**ზაზა ფაჩულიამ** მორიგი ნაყოფიერი მატჩი ჩაატარა: 17 წუთში 6-6 ქულამოხსნა მოაგროვა. ზაზა მესამე პერიოდის ბოლოსა და მეოთხის დასაწყისში მოედანზე იყო და „ატლანტას" 11 ქულით დაწინაურებაშიც დიდი წვლილი შეიტანა: სირენამდე 9:22 წუთით ადრე მან ბურთი მეტოქის საჯარიმოში მიიღო, ეფექტური ტრიალით ორი მეტოქე ჩამოიცილა და „ატლანტას" სასარგებლოდ 84:73 დააფიქსირა (ძნელი სათქმელია, ეს მომენტი მატჩის საუკეთესო ეპიზოდთა შორის რატომ არ მოხვდა).

ერთ წუთში ფაჩულია მწვრთნელმა სათადარიგოთა სკამზე დააბრუნა. ათამაშებულ მასპინძლებს „ტორონტო რეპტორსი" კი არა, ნამდვილი დინოზავრები რომ გამოჩენილიყვნენ, ისინიც ვერაფერს დააკლებდნენ. სირენამდე 6 წუთით ადრე **ჯო ჯონსონის** 5 ქულას **მაიკ ბიბიმ** სამიანი მიამატა, **ჯოშ სმიტმა** - ჩატენვა და 10:0 გაქცევის შედეგად „ჰოქსი" 96:78 დაწინაურდა. ეს უკვე მოგებას ნიშნავდა.

ჯორჯიელების გამარჯვებაში მთავარი როლი კაპიტანმა ჯო ჯონსონმა ითამაშა, რომელმაც 37 ქულას (8-დან 5 სამქულიანი) მოუყარა თავი.

მატჩის შემდეგ გაზეთ „ატლანტა კონსტიტუშენში" ყველა ატლანტელია დახასიათებული. ცალკე აბზაცი ეძღვნება ზაზას: *„ფაჩულიამ 17 წუთში ორი ორქულიანი ჩააგდო, 6 ქულა და ამდენივე მოხსნა მოაგროვა. მან ბევრი იშრომა და მწვრთნელის ნდობა დაიმსახურა."*

ამ მოგებით „ატლანტა ჰოქსი" აღმოსავლეთის კონფერენციაში „ორლანდო მეჯიქს" დაეწია. ორივეს 31-31 მოგება და 18-18 წაგება აქვს. „ატლანტა" და „ორლანდო" ცხრილში მეოთხე-მეხუთე ადგილებს ინაწილებენ. მეორე-მესამე პოზიციებსაც ორი გუნდი ამაგრებს: „მაიამი ჰიტსაც" 34 გამარჯვება აქვს (14 მარცხი) და „ჩიკაგო ბულსსაც".

4 თებერვალს „ატლანტა" ლოს ანჯელესის „კლიპერსს" უმასპინძლებს.

**ატლანტა–ტორონტო 100:87**

**ზაზა ფაჩულია: 16:59 წუთი, 6 ქულა (2-დან 2 ორქულიანი, 3-დან 2 საჯარიმო), 6 მოხსნა, 2 ფოლი**

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 02:25 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 02:14 | ფოლი: 1 |
| 01:43 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 01:10 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 00:03 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| **II პერიოდი** | |
| 10:37 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 10:16 | ფოლი: 2 |
| 08:53 | ორქულიანი: 2ქ (34:30) |
| 08:00 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 07:40 | მოხსნა: შეტ-1, დაც-5 |
| 06:06 | პორფორდმა ზაზა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 02:46 | ზაზამ ჯონსონი შეცვალა |
| 01:46 | საჯარიმოები: 2/2 (4ქ, 75:63) |
| **IV პერიოდი** | |
| 09:22 | ორქულიანი: 6ქ (84:73) |
| 09:22 | საჯარიმო: 1/0 |
| 08:12 | ბიბიმ ზაზა შეცვალა |
| 02:06 | ზაზამ ჯონსონი შეცვალა |

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● წყალბურთი

# ვზრუნავთ მოზარდებზე, ვფიქრობთ დიდ ნაკრებზე




დღეს საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის" აუზში ქართული წყალბურთის 2011 წლის სეზონი 1995-1996 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა პირველობით გაიხსნება. თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის 10 გუნდი ასპარეზობის ორგანიზატორებმა ორ ქვეჯგუფად გაყვეს და ორთაბრძოლები წრიული სისტემით გაიმართება, თანაც, წინა წლებისგან განსხვავებით, რამდენიმე ტურად. ამ ფაქტთან დაკავშირებით გუშინ „ოლიმპიკში" სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა — **დავით ნამგალაურმა** და **გია გალდავამ** საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ **ალექსანდრე ბითაძესთან** ერთად პრესკონფერენცია გამართეს.

**ალექსანდრე ბითაძე:** „დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად ეროვნულ ჩემპიონატსა და სხვადასხვა ასაკში მედლებისთვის პაექრობებს განსხვავებული ფორმატით ჩავატარებთ — შეჯიბრებები 4 თვეს გასტანს და გამარჯვებულებს რამდენიმეტურიანი ასპარეზობის შემდეგ გამოვავლენთ. ყველაფერი ეს საშუალებას მოგვცემს, წყალბურთელებს სათამაშო პრაქტიკა გავუზარდოთ და საკუთარი ოსტატობის წარმოსაჩენად მეტი საშუალება მივცეთ, თანაც ნაკრები გუნდებისთვის უფრო ობიექტურად შევარჩევთ კანდიდატებს. 2011 წლის სეზონის დასაწყებად ყველაფერი მზად არის. ათივე გუნდის წევრებმა, რომლებიც დღეს ჩაებმებიან შეჯიბრებაში, სრული დისპანსერიზაცია გაიარეს. მატჩებიც წყალბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესების მკაცრი დაცვით გაიმართება".

**დავით ნამგალაური:** „სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად განაგრძობს საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის სოლიდურ ფინანსურ დახმარებას. ამჯერად პრიორიტეტად წყალბურთი მივიჩნიეთ. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ბავშვთა წყალბურთს, რათა უახლოეს მომავალში მაღალი კონკურენციის მეშვეობით ნაკრები გუნდები საუკეთესო მოთამაშეებით დავაკომპლექტოთ. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, იგი ნაყოფიერად ემზადება ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო შეხვედრებისთვის და, ვფიქრობ, 30 მარტს ბერძნებთან მატჩში იმედებს არ გაგვიცრუებს. გულშემატკივრებს დღეიდან ოთხი თვის განმავლობაში ყოველ პარასკევ-შაბათ-კვირას საინტერესო ორთაბრძოლები ელით „ოლიმპიკის" აუზში. ამჟამად საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია მუშაობს გრძელვადიან პროექტზე, რომლის განხორციელებაც წყალთა სახეობების მდგომარეობას შესამჩნევად გააუმჯობესებს."

**მურთაზ გულედანი:** „პირადად ჩემთვის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია ჭაბუკ წყალბურთელთა შეჯიბრებები, რომლებშიც 10-10 გუნდი იასპარეზებს. მათ შორის — ქუთაისიდან და ბათუმიდან, ანუ საიდანაც ქართული წყალბურთი მნიშვნელოვან შევსებას იღებდა. ქუთაისი ხომ ჩვენთან სპორტის ამ სახეობის მექად მიაჩნდათ. როგორც იქაური სკოლის წარმომადგენელს, მეამაყება, რომ ქუთაისმა მსოფლიო წყალბურთს აღუზარდა სახელოვანი მოთამაშეები — გივი ჩიქვანაია, რევაზ ჩომახიძე, ოთარ მიმინოშვილი, მიხეილ გიორგაძე. ვფიქრობ, რომ რიონისპირა ქალაქში კვლავაც გაიზრდებიან მათი დარი წყალბურთელები. კარგია, რომ ჩვენი ფედერაცია აქედანვე ეძებს მომავალ ოლიმპიელებს. ეს ეროვნული ნაკრებისთვის ღირსეული ცვლის მომზადებაში დაგვეხმარება".

**რევაზ ჩომახიძე:** „თბილისში დაბრუნების შემდეგ 1992 წელს დაბადებულ წყალბურთელებთან დავიწყე მუშაობა და აქტიურ სპორტს, ფაქტობრივად, მთელი ათი თვით ჩამოვშორდი. ჩემი შეგირდები „ივერიის" შემადგენლობაში 19 თებერვლიდან ჩაებმებიან ხუთგუნდიან ეროვნულ ჩემპიონატში. რაც შემეხება მე, ეროვნულ ნაკრებს დასჭირდა და ისევ განვაახლე ვარჯიში. რამდენიმე ოფიციალურ ტურნირშიც ვითამაშე. მალე სტამბოლს გავემგზავრებით და თურქებთან ერთობლივ წვრთნასთან ერთად რამდენიმე ტესტმატჩსაც ჩავატარებთ, მერე თბილისში გვექნება ამხანაგური საერთაშორისო ტურნირი. 30 მარტს კი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საბერძნეთის ნაკრებს დავუპირისპირდებით. ელადელების წინააღმდეგ არაერთხელ მითამაშია, მათ შორის 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე. სწორედ მაშინ მოვიპოვე ბრინჯაოს მედალი. სპორტული დონის თვალსაზრისით ჩვენ შორის დიდი სხვაობაა. საბერძნეთი მსოფლიო წყალბურთის ელიტაშია, ჩვენ კი დებიუტანტები ვართ. ამის მიუხედავად, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მეტოქეს 30 მარტს ჩვენი ძალა ვაგრძნობინოთ".

**ვაჟა დანელია**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო




## სტარტზე არიან ჭაბუკები

„ოლიმპიკის" აუზი 4-6 თებერვალს **1995-1996 წლებში** დაბადებულ წყალბურთელებს დაეთმობათ. საქართველოს პირველობაში მოასპარეზეთა შორის 8 გუნდი თბილისიდანაა, თითო - ბათუმიდან და ქუთაისიდან. ყოველდღიურად 10 საათიდან ოთხ-ოთხი შეხვედრა გაიმართება.

**04.02. ივერია-ლიგამუსი 2, ჯორჯია-დელფინი, ლიგამუსი 1-ტონუსი, ივერია 2-ბათუმი.**

**05.02. ლიგამუსი 1-ივერია 2, ტონუსი-იმედი, ივერია 1-ჯორჯია, ლიგამუსი 2-ქუთაისი.**

**06.02. ივერია 1-ქუთაისი, ლიგამუსი 2-დელფინი, ლიგამუსი 1-იმედი, ტონუსი-ბათუმი.**

მომდევნო პარასკევ-შაბათ-კვირას შეჯიბრებაში **1997-1998 წლებში** დაბადებული წყალბურთელები ჩაებმებიან.

**11.02. ივერია 1-თბილისი, ჯორჯია-დელფინი, ლიგამუსი-ტონუსი, ივერია 2-ბათუმი.**

**12.02. ლიგამუსი-ივერია 2, ტონუსი-იმედი, ივერია 1-ჯორჯია, თბილისი-ქუთაისი.**

**13.02. ივერია 1-ქუთაისი, თბილისი-დელფინი, ლიგამუსი-იმედი, ტონუსი-ბათუმი.**

**ვაჟა დანელია**

# სკანვორდი

1. ქალაქ ტრონჰეიმის საფეხბურთო კლუბი, 2. ტორე-ანდრე ფლოს სამშობლო, 3. „უიმბლდონის" გამარჯვებული 1980 წელს. 4. ფინელი ფეხბურთელი სემი ..., 5. ბერძნულ მითოლოგიაში გამარჯვების ქალღმერთი, 6. იტალიის საფეხბურთო გუნდი, 7. ჰოლანდიელი ფეხბურთელი ვან ... (ფოტო), 8. ინგლისური საფეხბუროთ გუნდი, 9. ირლანდიელი ფეხბურთელი, მეკარე ... გივენი, 10. ესპანელი ფეხბურთელი ფერნანდო..., 11. ვეტერანი არგენტინელი ფეხბურთელი, 12. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია, 13. სიმაღლით გამორჩეული ჩეხი ფეხბურთელი (ფოტო), 14. 2006 წელს ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელი, 15. საფრანგეთის საფეხბურთო გუნდი, 16. „ბაიერნის" ყოფილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 17. მსოფლიო ჩემპიონი ფრანგი ფეხბურთელი, 18. ესპანური საფეხბურთო კლუბი, 19. ლეგენდარული კამერუნელი ფეხბურთელი როჟე ..., 20. „ლევერკუზენის" ფეხბურთელი (ფოტო), 21. „ჩელსის" ფეხბურთელი ... დროგბა, 22. ირლანდიელი ფეხბურთელი, მწვრთნელი ... კინი, 23. „ბაიერნის" გერმანელი ფეხბურთელი ფილიპ ..., 24. „რეალის" ესპანელი ფეხბურთელი სერხიო ..., 25. ინგლისელი ფეხბურთელი ... ჩარლტონი, 26. იტალიელი ფეხბურთელი, მწვრთნელი... ძოფი, 27. იაპონური საფეხბურთო კლუბი „გამბა...". 28. მილანის ბრაზილიელი ფეხბურთელი. 29. ხორვატი ფეხბურთელი.












ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვსი ერი

# ევროპელები ვა-ბანქზე მიდიან: ახლა ან არასდროს

„*ლონდონი* თუ მოგბეზრდა, ესე იგი სოცოცხლე მოგბეზრდა" - ეს სიტყვები დიდ ინგლისელ მწერალ სამუელ ჯონსონს ეკუთვნის. იგივე შეიძლება ითქვას რაგბიში ექვსი ერის გათამაშებაზეც, სადაც ექვსი საუკეთესო ევროპული გუნდი, ყოველ წელიწადს, ერთი და იმავე დროს, ჩრდილოეთ ნახევარსფეროში უპირველესის გამოსავლენად ერკინება.

წლევანდელი გათამაშება, რომელიც დღეიდან იწყება, იმითაცაა გამორჩეული, რომ შემოდგომაზე ახალ ზელანდიაში მსოფლიო რაგბის უდიდესი ფორუმი იმართება. ამჟამინდელი ევროპული ბატალიები კი სწორედ ამ ტურნირისათვის მზადების ჭრილში განიხილება. ახლა იმის დრო ნამდვილად არ არის, მწვრთნელებმა ექსპერიმენტები ატარონ, თუმცა ხშირი ტრავმიანობა, ახალი, საინტერესო მოთამაშეების გამოცდის საშუალებას მაინც იძლევა.

მსოფლიო თასზე, როგორც წესი, მთავარი დაპირისპირება ჩრდილო და სამხრეთ ნახევარსფეროებს შორის მიმდინარეობს. ევროპელები სამი ერის ქვეყნებს ჯერჯერობით საგრძნობლად ჩამორჩებიან, მაგრამ ხანდახან მცირეოდენი გამონათებები თამაშში მაინც შეინიშნება. შარშანდელ ნოემბრის ტესტებზე ინგლისისა და შოტლანდიის ნაკრებებმა შეძლეს სამხრეთული გუნდების დამარცხება, თუმცა მაინც საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ისინი და მათი მეზობლებიც, „რაგბი კეტჩუპს" თამაშობენ.

შეძლებენ თუ არა ევროპელები ამ მოსაზრების უარყოფას, წლევანდელი ექვსი ერის გათამაშება დაგვანახებს, თუმცა საბოლოოდ, ვინ ვინ არის, ახალ ზელანდიაში გამოჩნდება.

ახლა კი თვალი გადავავლოთ, როგორ ხვდებიან ტურნირს მონაწილე გუნდები.



ინგლისის ნაკრები



ექვსი ერის კაპიტნები

## საფრანგეთი

ექვსი ერის შარშანდელ გამარჯვებული ბოლო ხანს არასტაბილურობით გამოირჩევა. 2010 წლის დიდი სლემის შესრულებისა და ევროთასებზე გამარჯვების შემდეგ, ისეთი შთაბეჭდილება შეიქნა, რომ „ლე ბლე" მწვერვალების დასაპყრობად მზადაა, თუმცა ივნისის ტესტებზე სამხრეთ აფრიკასა და არგენტინაში განცდილმა მარცხმა ფრანგთა ქომაგები ციდან მიწაზე დაანარცხა.

**მარკ ლივერმონის** გუნდისთვის ყველაფრის აპოგეა ნოემბერში ავსტრალიის ნაკრებთან გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხება იყო. ძნელია ამას ახსნა მოუძებნო, მით უფრო, რომ დღესდღეობით ფრანგული კლუბები ევროპაში დომინირებენ და წესით, ლივერმონს მორაგბეთა საკმაოდ დიდი არჩევანი უნდა ჰქონდეს.

„ლე ბლე" პირველ მატჩს შინ გამართავს შოტლანდიის ნაკრებთან. საფრანგეთის ეროვნულ გუნდში განსაკუთრებული ყურადღების ღირსი ცხრა ნომერი **მორგან პარა** იქნება, რომლის უნარიან თამაშზე ბევრადაა დამოკიდებული ფრანგთა წარმატება.

### საფრანგეთის ნაკრები

15. დამიენ ტრაი, 14. იოან უგე, 13. ორელიან რუჟერი, 12. მაქსიმ მერმოსი, 11. მაქსიმ მედარი, 10. ფრანსუა ტრინ-დუკი, 9. მორგან პარა. 1. ტომას დომინგო, 2. ვილიამ სერვა, 3. ნიკოლა მასი, 4. ჟულიენ პიერი, 5. ლინელ ნალე, 6. ტიერი დუსოტუარი, 7. ჟულიენ ბონერი, 8. იმანოლ არინორდოკი.

16. გილემ გირადო, 17. ლუკ დუკალკონი, 18. ჟერომ ტიონი, 19. სებასტიან შაბალი, 20. დიმიტრი იაშვილი, 21. დავიდ სკრელა, 22. კლემან პუატრენო.

## ირლანდია

„სამყურები" 2009 წლის ჩემპიონები და შარშანდელი გათამაშების ვიცე-ჩემპიონები არიან. ირლანდიელი ქომაგები თანახმა იქნებოდნენ, მათ სათაყვანებელ გუნდს იგივე შედეგი რომ ეჩვენებინა. **დეკლან კიდნის** ბიჭებს წლეულს ძალიან გაუჭირდებათ. ირლანდიელებს განსაკუთრებული პრობლემები უკანა ხაზში აქვთ. ტრავმების გამო ექვს ერს გამოტოვებენ **ტომ ბოუი, შეინ ჰორგანი, ენდრიუ ტრიმბლი, რობ კირნი** და **გორდონ მერფი**. ამას დაუმატეთ დაშავებული მორკინალები, **ჯიმი ჰისლიპი, ჯონ ჰეისი, სტივენ ფერისი** და ნათელი გახდება რაოდენ ბევრი თავსატეხი აქვს გაჩენილი „სამყურების" თავკაცს.

ირლანდიის ნაკრებისთვის ერთი შვება ხელსაყრელი კალენდარია. კიდნი და კომპანია უშუალო კონკურენტებს, საფრანგეთისა და ინგლისის ნაკრებებს შინ ეთამაშებიან. ხვალ კი, პირველ ტურში, სტუმრად იტალიის ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

„სამყურებში" გამორჩეული ფიგურა ყოველთვის იყო გუნდის კაპიტანი **ბრაიან ოდრისკოლი**. ასე იქნება ამჯერადაც. ის 2009 წლის გათამაშების საუკეთესო მორაგბედ დაასახელეს, ცხადია, ამის გამეორება ძალიან გაუჭირდება, მაგრამ მტკიცე ხასიათის ბრაიანი საამისოდ ყველაფერს ილონებს.

### ირლანდიის ნაკრები

15. ლუკ ფიცჯერალდი, 14. ფერგიუს მაკფადენი, 13. ბრაიან ოდრისკოლი, 12. გორდონ დარსი, 11. კეიტ ეარლზი, 10. ჯონათან სექსტონი, 9. ტომას ოლირი. 1. კიან ჰილი, 2. რორი ბესტი, 3. მაიკ როსი, 4. დონჩა ოკალაჰანი, 5. პაულ ოკონელი, 6. დენის ლამი, 7. დევიდ ვოლესი, 8. შონ ობრაიანი.

16. შონ კრონინი, 17. ტომ კურტი, 18. ლეო კალენი, 19. შეინ ჯენინგსი, 20. ეოინ რედანი, 21. რონან ოგარა, 22. პედი ვოლესი.

## ინგლისი

ინგლისის ნაკრები, რომელიც ახალ ზელანდიაში საქართველოს ეროვნული გუნდის მეტოქეა, ბუქმეკერების ფავორიტია. „პომებს" მსოფლიო თასზეც წარმატებულ ასპარეზობას უწინასწარმეტყველებენ. **მარტინ ჯონსონის** გუნდის აღმასვლა შარშანდელი სეზონიდან დაიწყო, როცა „ვოლაბები" ორჯერ დაამარცხეს.

წლევანდელი ექვსი ერის წინ „პომები" ტრავმებმა დააზარალა. გუნდს ვერ დაეხმარებიან ფლანკერი **ტომ კროფტი** და მეორეხაზელი **კორტნი ლავი**. ჯონსონმა ბოლო მომენტში ნაკრების ახალი კაპიტანი **ლუის მუდიც** მოისაკლისა, რომლის სახელთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული ინგლისელთა ბოლოდროინდელი წარმატებები. მიუხედავად ამისა, ალბიონელები მაინც სოლიდურად გამოიყურებიან და გათამაშების უმთავრესი ფავორიტები არიან.

ინგლისელები დღეს სტუმრად ეთამაშებიან უელსის ნაკრებს. „პომების" შემადგენლობაში ყურადღებას იმსახურებს გარემარბი **კრის ეშტონი**, რომელიც ეროვნულ გუნდში შარშან გამოჩნდა და პრეტენზია აქვს, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გარემარბია.

### ინგლისის ნაკრები

15. ბენ ფოდენი, 14. კრის ეშტონი, 13. მაიკ თინდოლო, 12. შონთაი ჰეპი, 11. მარკ კუეტო, 10. ტობი ფლუდი, 9. ბენ იანგზი. 1. ენდრიუ შერიდანი, 2. დილან ჰართლი, 3. დენ კოლი, 4. ლუის დიკონი, 5. ტომ პელემრი, 6. ტომ ვუდი, 7. ჯეიმს ჰესკელი, 8. ნიკ ისთერი.

16. სტივ თომპსონი, 17. დევიდ ვილსონი, 18. საიმონ შოუ, 19. ჯო ვორსლი, 20. დენ კერი, 21. ჯონი ვილკინსონი, 22. მეთ ბანაჰანი.

## უელსი

უელსელთა თავკაცი **უორენ გეთლენდი** ყველანაირად ცდილობს მის ხელში გუნდმა ისტორიაში საუკეთესო შედეგი აჩვენოს, მაგრამ მისი უდავოდ სწორი, მიზანმიმართული პოლიტიკა, ჯერჯერობით, ნაყოფს ვერ ისხამს. უელსელებმა ბოლო შვიდი შეხვედრიდან ექვსი წააგეს. არადა, გუნდი დროდადრო შესანიშნავად თამაშობს.

ექვსი ერის წლევანდელი გათამაშება ბრწყინვალე საშუალება იქნება საიმისოდ, რომ გუნდმა მთელი მატჩის განმავლობაში სტაბიულურად, მაღალ დონეზე თამაში ისწავლოს. უელსის ნაკრების სერიოზული დანაკლისია **ჯენთინ ჯენკინსისი** და **ადამ ჯოუნზი**. თუმცა გუნდს საგრძნობლად გააძლიერებს ტრავმამოშუშებული უკანახაზელების **ჯიმი რობერტსის, ლი ჰალპფენისა** და **შეინ ვილიამსის** დაბრუნება.

ინგლისის ნაკრებთან დაპირისპირებაში საინტერესო იქნება, როგორ გამოიჩენს თავს მგეზავი **ჯეიმზ ჰუკი**, რომელსაც თვალი ფრანგულმა „პერპინიანმა" დაადგა.

### უელსის ნაკრები

15. ჯეიმზ ჰუკი, 14. მორგან სტოდარტი, 13. ჯიმი რობერტსი, 12. ჯონათან დევისი, 11. შეინ ვილიამსი, 10. სტივენ ჯოუნზი,9. მაიკ ფილიპსი. 1. პაულ ჯეიმზი, 2. მეთიუ რისი, 3. კრეიგი მიტჩელი, 4. ბრედლი დევისი, 5. ალუნ ვინ ჯოუნზი, 6. დენ ლიდიატი, 7. სემ ვარბარტონი, 8. ენდი პაუელი.

16. რიჩარდი ჰიბარი, 17. ჯონ ჰეპი, 18. რაიან ჯოუნზი, 19. ჯონათან თომასი, 20. დუეინ პილი, 21. რის პრისტლენდი, 22. ლი ბირნი.

## შოტლანდია

ინგლისელი თავკაცის **ენდი რობინსონის** ბიჭებს შარშან შესანიშნავი სეზონი ჰქონდათ. „სკოტებმა" ბოლო ექვსი შეხვედრიდან ხუთი მოიგეს, მათ შორის ორჯერ არგენტინაში და ნოემბრის ტესტებისას, მსოფლის ჩემპიონ სამხრეთ აფრიკასთან. ერთადერთი ნაკლი მცირე შედეგიანობაა. 13 ტესტმატჩში „ნარშავებმა" მხოლოდ შვიდი ლელო გაიტანეს.

შოტლანდიის ნაკრებს, რომელიც 2011 წლის მსოფლიო თასზე საქართველოს ეროვნული გუნდის მეტოქეა, ექვს ერზე **გრემ მორისონი** და **კრის კაზიტერი** დააკლდება. სამაგიეროდ ტრავმა მოიშუშა და გუნდს დაუბრუნდა მესამეხაზელი ჯონ ბიტი. რობინსონმა კაპიტნის სამკლავური **ალისტერ კელოკს** ჩააბარა.

სკოტები შინ, „მერიფილდზე" სამ შხვედრას გამართავენ და სამივეში წარმატების მიღწევის რეალური შანსი აქვთ.

### შოტლანდიის ნაკრები

15. ჰუგო საუთვილი, 14. ნიკი ვოლკერი, 13. ჯო ენსბრო, 12. ნიკ დე ლუკა, 11. მაქს ევანსი, 10. დენ პარქსი, 9. რორი ლაუსონი. 1. ალან იაკობსენი, 2. როს ფორდი, 3. ევან მურეი, 4. რიჩი გრეი, 5. ალისტერ კელოკი, 6. ნათან ჰინესი, 7. ჯონ ბარკლი, 8. კელი ბრაუნი.

16. დაგ ჰალი, 17. მურეი ლოუ, 18. რიჩი ვერნონი, 19. როს რენი, 20. მაიკ ბლერი, 21. რუარიდ ჯექსონი, 22. შონ ლამონტი.

## იტალია

იტალიის ნაკრები ნელნელა, მაგრამ მაინც პროგრესირებს. ახლახან „მაგნერს ლიგაში" ორი იტალიური გუნდი მიიღეს, რომლებიც თამაშიდან თამაშამდე უმატებენ. მიუხედავად ამისა, „სკუადრა აძურას" ჯერ კიდევ არ შესწევს ძალა მაღალი მიზენბისთვის იბრძოლოს. შესაბამისად, ექვსი ერის გათამაშებაში, ნებისმიერ გუნდთან გამარჯვება დიდი მიღწევა იქნება.

იტალიის ნაკრებს საკმაოდ ახალგაზრდა ცხრა ნომერი ჰყავს, **ედუარდო გორი** ოცი წლისაა და, სავარაუდოდ, საერთაშორისო არენაზე მალე უნდა დაიქუხოს. ტრავმირებულნი არიან და ვერ ითამაშებენ ცხრა ნომერი **კრეიგ გოუერი** და ფლანკერი **მაურო ბერგამასკო**. მწყობრშია იტალიელთა დამრტყმელი ძალა, შერკინების პირველხაზელთა ტრიო, **სალვატორე პერუჯინი, ფაბიო ონგარო** და **მარტინ კასტროჯოვანი.**

მცირე ტრავმა აწუხებდა, მაგრამ მალე გამოჯანმრთელდა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მესამეხაზელი **სერჯო პარისე**, რომელსაც ავადმყოფობის გამო შარშანდელი სეზონი მთლიანად გაუცდა.

„სკუადრა აძურა" პირველ ტურში," რომში, „სტადიო ფლამინიოზე" ირლანდიის ნაკრებს შეხვდება. ადვილი შესაძლებელია, ამ მატჩის შედეგმა, ორივე გუნდის მომავალ ბატალიებზე უდიდესი გავლენა იქონიოს.

### იტალიის ნაკრები

15. ლუკ მაკლინი, 14. ანდრეა მასი, 13. გონსალო კანალე, 12. ალბერტო სგარბი, 11. მირკო ბერგამასკო, 10. კრის ბარტონი, 9. ედუარდო გორი. 1. სალვატორე პერუჯინი, 2. ლეონარდო ჯილარდინი, 3. მარტინ კასტროჯოვანი, 4. სანტიაგო დელაპე, 5. ქუენტინ გელდენჰაუზი, 6. ჯოშ სოლი, 7. ალესანდრო ძანი, 8. სერჯო პარისე.

16. ფაბიო ონგარო, 17. ანდრეა ლო ჩიჩერო, 18. კარლო დელ ფავა, 19. ვალერიო ბერნაბო, 20. პაულო კანავოზიო, 21. ლიჩიანო ორკუერა, 22. გონსალო გარსია.

### ექვსი ერი

#### I ტური

იტალია-ირლანდია, საფრანგეთი-შოტლანდია, უელსი-ინგლისი

#### II ტური

ინგლისი-იტალია, შოტლანდია-უელსი, ირლანდია-საფრანგეთი

#### III ტური

იტალია-უელსი, ინგლისი-საფრანგეთი, შოტლანდია-ირლანდია

#### IV ტური

იტალია-საფრანგეთი, უელსი-საფრანგეთი, ინგლისი-შოტლანდია

#### V ტური

შოტლანდია-იტალია, ირლანდია-ინგლისი, საფრანგეთი-უელსი

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი



რონ არტესტი

# ჩემპიონი გაძლიერებაზე ფიქრობს...

ამერიკულ პრესაში სულ უფრო ხშირად ჩნდება ჭორები კლუბებს შორის მოსალოდნელი გარიგებების შესახებ. ამჯერად, ყურადღების ცენტრში მოექცა მოქმედი ჩემპიონი „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“. კერძოდ, კალიფორნიული კლუბის სამწვრთნელო შტაბი „ვაშინგტონ უიზარდსის“ გამთამაშებლის **კირკ ჰაინრიხის** გადაბირების ვარიანტს განიხილავს. ეს ჭორი „ლეიკერსის“ გენერალური მენეჯერის **მიტჩ კუპჩაკის** ბოლო განცხადების შემდეგ გავრცელდა. კერძოდ, კუპჩაკმა სატრანსფერო პერიოდის დასრულებამდე (24 თებერვალი) თავისი გუნდის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ ისაუბრა.

*„მომწონს მიტჩის პოლიტიკა. ის რეალურად ზრუნავს გუნდის შედეგებზე. ახლა მზად ვართ ნებისმიერი ტრეიდის განსახილველად“*, - განაცხადა „ლეიკერსის“ დამრიგებელმა **ფილ ჯექსონმა**.

ფილი ყოველთვის აღფრთოვანებული იყო ჰაინრიხის თამაშით და ამბობენ, რომ სწორედ ამ ფაქტორმა შეიძლება შეუწყოს ხელი 30 წლის გამთამაშებლის „ლეიკერსში“ გადასვლას.

ამასობაში, სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა ტელეკომპანია ESPN-ის ოფიციალურმა ვებგვერდმა. ამ ცნობის თანახმად, გაცვლა მოითხოვა „ლეიკერსის“ ძირითადმა ფორვარდმა **რონ არტესტმა**.

როგორც ამბობენ, არტესტს არ მოსწონს მისი თამაშის მიმართ ფილ ჯექსონის დამოკიდებულება. კერძოდ, ფორვარდი უკმაყოფილოა იმით, რომ მწვრთნელმა შეტევაში მოქმედება შეუზღუდა. რონი მიჩვეულია ლიდერობას, როგორც ეს „ინდიანასა“ და „ჰიუსტონში“ იყო.

გარდა ამისა, ESPN-ის ვებგვერდზე არტესტის წასვლის სავარაუდო მიზეზად წლევანდელ სეზონში მისი თამაშის მუდმივ კრიტიკას ასახელებენ. შეგახსენებთ, რომ არტესტმა „ჰიუსტონთან“ ბოლო მატჩის მეოთხე მეოთხედში მხოლოდ 5 წამი დაყო მოედანზე.

თუმცა მოგვიანებით სკანდალურად ცნობილმა ფორვარდმა უარყო ESPN-ის ინფორმაცია და განაცხადა, რომ არსად წასვლას არ აპირებს.

ამბები

## დირკი გერმანიაში დაბრუნდება

არაერთხელ დავწერეთ იმის შესახებ, რომ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ჩაშლის პირას არის მისული 2011-12 წლების სეზონი. თუ ლიგის ხელმძღვანელობა და მოთამაშეთა პროფკავშირი ზაფხულამდე ვერ შეათანხმებენ ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დეტალებს, მომავალ წელს რეგულარული ჩემპიონატი არ გაიმართება.

თუმცა **დირკ ნოვიცკი** შორს არის ბოლო დროს ატეხილი ისტერიისგან და ლოკაუტის თემაზე მშვიდად ლაპარაკობს.

*„თუ ლოკაუტი დროში გაიწელა, ყველა ვარიანტის მოსინჯვა მომიწევს. არ მინდა მთელი წლის დაკარგვა. თუმცა ჯერ არაფერია გადაწყვეტილი,* - ამბობს „დალას მავერიქსის“ ლიდერი. - *არ ვიცით, როგორ განვითარდება მოვლენები, ამიტომაც დღეს ყველანაირი ლაპარაკი და აზრის გამოთქმა - მხოლოდ წმინდა წყლის სპეკულაციაა. არ გამოვრიცხავ სამშობლოში დაბრუნების ვარიანტს“.*

## NBA ლას ვეგასში მიდის?

ლას ვეგასში 40-ათასიან სტადიონს აშენებენ, რომელზეც შესაძლებელი იქნება კალათბურთისა და ჰოკეის მატჩების ჩატარება. ამასთან დაკავშირებით, წარმოიშვა მოსაზრება, თითქოს ეს ქალაქი NBA-ის ერთ-ერთ გუნდზე აცხადებს პრეტენზიას.

ახალი არენის აღმასრულებელი დირექტორი **კრეიგ კავილიერი** ვერ აზუსტებს, რა კონკრეტული მიზნებისთვის შენდება სტადიონი, თუმცა ლას ვეგასში პროფესიული გუნდის ჩამოყალიბების იმედს არ კარგავს.

*„ამაზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი. როცა პროექტის იდეა გაჩნდა, მაშინ სერიოზულად ვფიქრობდით, რომ ახალ არენაზე რომელიმე პროფესიული გუნდი ითამაშებდა. სტადიონი ამ გეგმის განხორციელების კარგი საშუალებაა და ძალიან გვინდა ჩვენს ქალაქში არსებობდეს NBA-ის ან NHL-ის გუნდი“*, - ამბობს გენერალური მენეჯერი.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წარმომადგენელმა **ტიმ ფრენკმა** განაცხადა, რომ იცის ამ პროექტის შესახებ, მაგრამ ჯერ უარს ამბობს კომენტარზე.

## გუდენი ერთი თვე დაისვენებს

„მილუოკი ბაქსმა“ დიდი ხნით დაკარგა მძიმე ფორვარდი **დრიუ გუდენი**. კერძოდ, ფეხის ტრავმის გამო ეს კალათბურთელი დაახლოებით 4-6 კვირა ვერ შეძლებს თამაშს. როგორც კლუბის გენერალური მენეჯერი **ჯონ ჰემონდი** ამბობს, გუდენი მკურნალობის კურსს ლოს ანჯელესში გაივლის.

ტრავმის გამო დრიუმ ამ სეზონში 21 მატჩი გამოტოვა, მათ შორის - ბოლო ექვსი. 25 მატჩში მისი სტატისტიკური მონაგარი 10.8 ქულასა და 6.5 მოხსნას შეადგენდა.

## ახალი ფორმებით ოლ სტარზე

პირველად „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ ისტორიაში მოთამაშეები ახალ სათამაშო ფორმას - შემოტმასნილ მაისურებს გამოიყენებენ. ამ ინიციატივით გამოვიდა ლიგის ტექნიკური სპონსორი, რომელიც NBA-ის ყველა კლუბს სათამაშო ფორმით ამარაგებს.

ლიგაში ბევრ კალათბურთელს ადრეც გამოუყენებია ე. წ. კომპრესირებული მაისურა, რომელიც მუცლისა და ზურგის კუნთების ეფექტურ მუშაობას უზრუნველყოფს, ამიტომაც ამ სიახლესთან შეგუება არ გაუჭირდებათ. უბრალოდ, მოთამაშეებს აღარ დასჭირდებათ ახალი თაობის მაისურზე ზემოდან ჩვეულებრივი ფორმის ჩაცმა.

„ყველა ვარსკვლავის მატჩის“ ნებისმიერ მონაწილეს არჩევანის საშუალება ექნება - ითამაშოს ტრადიციული თუ კომპრესირებული მაისურით.

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დირკმა ლეგენდებს გაასწრო

გუშინდელი სათამაშო დღის ცენტრალური მატჩი ნიუ იორკში გაიმართა, მაგრამ „დალასმა“ მოულოდნელად ძალიან იოლ გამარჯვებას მიაღწია „მედისონ სკვერ გარდენში“. პირველ ტაიმში, სანამ **სტაუდმაიერსა** და **გალინარის** თამაში მისდიოდათ, თანაბარი ბრძოლა იყო, მაგრამ მეორე ნახევარში სტუმრებმა თავიანთი საფირმო დაცვით ამარე ტემპიდან ამოაგდეს. მესამე მეოთხედში სტაუდმაიერმა თამაშიდან ყველა ტყორცნა ააცილა, „დალასმა“ კი 26:6 გაქცევა მოაწყო (ამ 26 ქულიდან 21 **კიდმა, ბარეამ** და **ნოვიცკიმ** დააგროვეს). ამის წყალობით „კოვბოები“ 24 ქულით დაწინაურდნენ და თამაში ფაქტობრივად დასრულებული იყო.

ნოვიცკიმ ამ მატჩში 29 ქულა დააგროვა და კარიერულ 22 ათას ქულას გადასცდა. თანაც, ყველა დროის ბომბარდირთა სიაში **ლარი ბერდსა** და **გარი პეიტონს** გაუსწრო და 24-ე ადგილზე აღმოჩნდა. სტატისტიკოსების ინფორმაციით, გერმანელი შედეგიანობის მიხედვით მეოთხე ადგილს იკავებს ამერიკის შეერთებული შტატების გარეთ დაბადებულ მოთამაშეებს შორის. ის ჩამორჩება **ჰაკიმ ოლაჯუონს** (ნიგერია), **დომინიკ უილკინსსა** (საფრანგეთი) და **პატრიკ იუინგს** (იამაიკა), მაგრამ უსწრებს **ტიმ დანკანს** (ვირჯინიის კუნძულები).

პრობლემები აქვს „ნიუ ორლეანს“, რომელმაც ზედიზედ 10 მოგების შემდეგ ბოლო ოთხ მატჩში მესამედ წააგო. სტუმრებმა ვერაფერი მოუხერხეს ოკლაჰომელ ვარსკვლავ **კევინ დურანტს**, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მთელი მატჩის განმავლობაში „ნიუ ორლეანი“ წამყვანი მოთამაშეების ტრავმებმა გაანამა. თავიდან გარკვეული ხანი თამაშს გამოეთიშა **კრის პოლი**, მეორე ნახევარში ფეხი დაიზიანა **ტრევორ არიზამ**, რომელიც ველარ დაბრუნდა მოედანზე.

პოლისა და **უესტის** კარგი თამაშის წყალობით, „ოკლაჰომა“ კარგა ხანი ვერ ახერხებდა გაქცევას. მხოლოდ მეოთხე მეოთხედში შეძლო მასპინძელთა გუნდმა კომფორტული უპირატესობის მიღება. ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა დურანტმა, რომელმაც თამაშიდან 19-ჯერ ისროლა და 14 ჩააგდო! 43 ქულა, თამაშიდან ტყორცნების რეალიზაციის 73.9, სამქულიანების - 71.4 და ჯარიმების - 90.9 პროცენტი. ამას დაემატა 10 მოხსნა და 5 შედეგიანი პასი. და მთავარი - დურანტი ბოლო ოთხ მატჩში საშუალოდ 40.8 ქულას აგროვებს.

ბოლო სამი კვირაა ფანტასტიკურ თამაშს აჩვენებს „ჩიკაგო ბულზი“ და თუ ასე გააგრძელა, არ არის გამორიცხული, NBA-ის ფინალურ სერიაში აღმოსავლეთიდან სწორედ ეს გუნდი ვიხილოთ. თანაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ხარებს“ **ჟოაკიმ ნოა** აკლიათ. ამ სამ კვირაში „ჩიკაგომ“ მოუგო „ბოსტონს“, „მაიამის“, „დალასსა“ და „ორლანდოს“.

ამჯერად „ბულზს“ მოკრძალებული მეტოქე ჰყავდა „კლიპერსის“ სახით. თუმცა თამაში ლოს ანჯელესში ჩატარდა და თან კალიფორნიული კლუბი **ბლეიკ გრიფინის** წყალობით ბოლო დროს ანგარიშგასაწევი ძალა გახდა. გრიფინი ბევრს ცდილობდა ფავორიტის წინააღმდეგ, მარტო პირველ ტაიმში 27 ქულა დააგროვა და საბოლოოდ, სამი შედეგიანი პასი არ ეყო სამმაგი დუბლის გასაფორმებლად, მაგრამ დებიუტანტის მონდომება საკმარისი არ აღმოჩნდა თუნდაც ერთხელ წინ გასასვლელად. ეს არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ მასპინძელთა მხრიდან სამქულიანებისა (33.3) და ჯარიმების გამოყენების (52.4) დაბალ პროცენტს. როგორც ყოველთვის, „ბულზის“ რიგებში საუკეთესო იყო **დერიკ როუზი**, რომელმაც ამჯერად ორმაგი დუბლი მიითვალა - 32 ქულა და 11 პასი. მას მხარი აუბა **ლუოლ დენგმა** - 26 ქულა, ხოლო **კარლოს ბუზერი** და **ტაჯ გიბსონი** ფარქვეშ ბრძოლაში იყვნენ სასარგებლოები - საერთო გუნდური 41 მოხსნიდან 22 საკუთარ აქტივში ჩაიწერეს.

ცოტა დააკლდა „კლივლენდს“ ნაგებათა კოშმარული სერიის შესაწყვეტად. „კავალერები“ შინ „ინდიანას“ ხვდებოდნენ და მართალია, თავიდან ჩამორჩნენ მეტოქეს, მაგრამ მესამე მეოთხედის ბოლოსთვის წინ გასვლა შეძლეს. საფინალო სირენამდე ერთი წუთით ადრე ანგარიში 110:110 იყო, როცა „კლივლენდის“ მთელი ხუთეული **გრეინჯერის** ფინტზე წამოეგო, რომელმაც სამქულიანის ხაზთან უმეთვალყურეოდ დარჩენილი **დარენ კოლისონი** მონახა და ეს უკანასკნელი ზუსტი იყო. **აიენგამ** ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა, ამის შემდეგ კი გამოცდილმა **პარკერმა** აილო თავის თავზე თამაში, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა, ბოლოს კი ტარებისას ბურთი დაკარგა **სეშენსმა** და მატჩიც დასრულდა.

„კლივლენდმა“ ზედიზედ 22-ედ წააგო. კიდევ ერთი მარცხი და განმეორდება NBA-ის ყველა დროის ანტირეკორდი.



შეტევაზე დერიკ როუზი

**ნიუ ჯერსი-ფილადელფია 92:106**

**26:28, 18:25, 22:25, 26:28**

**ნ-ჯ:** ჰარისი (16+ 7 პასი), ჰემფრიზი (16+7 მოხსნა), ლოპესი (16), აუთლო (10), მოროუ (10), ფეივორსი (5+11 მოხსნა).

**ფ:** უილიამსი (26), იგუოდალა (16), ბრენდი (15+10 მოხსნა), მიქსი (15), ჰოლიდეი (11+11 პასი+10 მოხსნა).

**დეტროიტი-შარლოტი 87:97**

**21:25, 20:19, 24:24, 22:29**

**დ:** გორდონი (20), პრინსი (16+5 პასი), მაკგრეიდი (12+8 პასი), დეი (11), მონრო (10+8 მოხსნა).

**შ:** ჯექსონი (39), ბრაუნი (14+10 მოხსნა), უოლასი (10+9 მოხსნა), ოგუსტინი (10).

**ნიუ იორკი-დალასი 97:113**

**34:27, 18:29, 21:30, 24:27**

**ნ-ი:** გალინარი (27), დაგლასი (22), სტაუდმაიერი (21), ფელტონი (11+9 მოხსნა).

**დ:** ნოვიცკი (29+11 მოხსნა), ბარიეა (22), ჩენდლერი (15+11 მოხსნა), სტივენსონი (13), ტერი (12), მერიონი (5+10 მოხსნა).

**მინესოტა-მემფისი 84:102**

**20:26, 21:23, 16:30, 27:23**

**მინ:** ბიზლი (19), ელინგტონი (13), ფლინი (11+5 პასი), ლავი (10+10 მოხსნა).

**მემ:** რენდოლფი (23+13 მოხსნა), გეი (22+7 მოხსნა+7 პასი), იანგი (18+6 პასი), გასოლი (13+7 მოხსნა).

**ოკლაჰომა-ნიუ ორლეანი 104:93**

**29:25, 20:30, 32:17, 23:21**

**ო:** დურანტი (43+10 მოხსნა+5 პასი), გრინი (12+7 მოხსნა), უესტბრუკი (10+8 პასი).

**ნ-ო:** უესტი (20+15 მოხსნა), პოლი (15+5 პასი), ანდერსენი (13), პონდექსტერი (10).

**დენვერი-პორტლენდი 109:90**

**22:23, 23:23, 32:24, 32:20**

**დ:** ნენე (22+10 მოხსნა), ბილაპსი (20+5 პასი), ენტონი (20), სმიტი (16), მარტინი (11+7 მოხსნა).

**პ:** მეტიუზი (19), ოლდრიჯი (18+9 მოხსნა), ბატუმი (17), მილერი (11+10 პასი), კანინგენი (10).

**ფინიქსი-მილუოკი 92:77**

**25:17, 27:14, 19:22, 21:24**

**ფ:** გორტატი (19+11 მოხსნა), ჰილი (16), დადლი (15+7 მოხსნა), ფრაი (14+13 მოხსნა), ნეში (9+13 პასი).

**მ:** ილიასოვა (15+9 მოხსნა), მაგეტი (15+8 მოხსნა), ბოიკინსი (14), დელფინო (10).

**იუტა-ჰიუსტონი 96:97**

**26:30, 29:24, 27:25, 14:18**

**ი:** ჯეფერსონი (20+12 მოხსნა), მილსეპი (20+11 მოხსნა), მაილზი (18), უოტსონი (11+9 მოხსნა+8 პასი), ჰეივორდი (10).

**ჰ:** მარტინი (22), ლაური (16+5 პასი), სკოლა (14+7 მოხსნა), ბრუქსი (14), ჰეისი (13+12 მოხსნა), ბადინგერი (10).

**კლიპერსი-ჩიკაგო 88:106**

**23:28, 26:27, 22:27, 17:24**

**კ:** გრიფინი (32+13 მოხსნა+7 პასი), გომესი (16), ფოიე (14), დევისი (10).

**ჩ:** როუზი (32+11 პასი), დენგი (26+5 პასი), ბუზერი (16+10 მოხსნა).

**ატლანტა-ტორონტო 100:87**

**28:24, 26:21, 21:24, 25:18**

**ა:** ჯონსონი (37+8 პასი), სმიტი (18+11 მოხსნა), ჰორფორდი (12+14 მოხსნა+7 პასი).

**ტ:** ჯონსონი (20+13 მოხსნა), დეროზანი (16), უიმსი (12), ბარნიანი (12), კალდერონი (11+10 პასი).

**კლივლენდი-ინდიანა 112:117**

**25:35, 29:24, 33:30, 25:28**

**კ:** სეშენსი (25+9 პასი), ჯეიმისონი (21+7 მოხსნა), ჰარისი (19+8 მოხსნა), პარკერი (17), ეიენგა (12+5 პასი), ჰიქსონი (10).

**ი:** გრეინჯერი (23), კოლისონი (22+9 პასი), დანლივი (15), ჰიბერტი (13+10 მოხსნა), ჰენსბრო (13+8 მოხსნა), ჯორჯი (13).



კლაიდ დრექსლერი

# ლიგის გაფართოება დროის საკითხია

ეროვნული საკალაბურთო ასოციაციის ლეგენდარული მოთამაშე **კლაიდ დრექსლერი** დარწმუნებულია, რომ სულ მალე მსოფლიოს საუკეთესო საკალათბურთო ლიგა გასცდება ჩრდილოეთ ამერიკის საზღვრებს.

ყოფილი ვარსკვლავი ამჟამად ლონდონში იმყოფება, სადაც გამალებით ემზადებიან NBA-ის რეგულარული მატჩების სამასპინძლოდ.

*„ევროპაში NBA-ის ექსპანსია გარდაუვალია. ვფიქრობ, ეს უახლოესი ათი წლის საკითხია. კალათბურთი - სპორტის გლობალური სახეობაა და მისმა პოპულარობამ არნახულ საზღვრებს მიაღწია. ამიტომაც ისმის სულ უფრო ხშირად რამდენიმე ჩემპიონატის გაერთიანების იდეა.*

*ვერ ვხედავ პრობლემას ქალაქებს შორის მანძილში. ნიუ იორკიდან ორეგონამდე უფრო დიდი ხანი მიფრინავ, ვიდრე ლონდონამდე. ამასთან, ყველა გუნდს საკუთარი ჩარტერი გააჩნია და გადაფრენებთან დაკავშირებით პრობლემები არ უნდა შეიქმნას.*

*საბოლოოდ, ევროპისა და აზიის რამდენიმე კლუბი გახდება ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წევრი. აი, ასეთია გლობალური გეგმა“*, - განაცხადა დრექსლერმა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ზაგრები ჩილიჩისაა


ფრანკ დანჩევიჩი

ATP-ის ტურნირებზე მორიგი სათამაშო დღის მიმოხილვას იოჰანესბურგში განვითარებული მოვლენებით დავიწყებთ, სადაც პირველი წრე დასრულდა და პარალელურად, მერვედფინალურმა ეტაპმა აიღო სტარტი.

მთავარი მოულოდნელობა განთესვის ლიდერს, ესპანელ **ფელისიანო ლოპესს** უკავშირდება. აღიარებული ოსტატი ადრეულ ეტაპზე გამოეთიშა ტურნირს - მისი მძლეველი გახლავთ კანადელი **ფრანკ დანჩევიჩი**. მატჩი მდიდარი იყო ეისებით - ორივე ჩოგბურთელმა 50 ეისი ჩააწოდა, მათ შორის ესპანელმა - 28.

ასე რომ, ფელისიანო მოწოდებაზე კარგად თამაშობდა, მაგრამ მისი მთავარი პრობლემა აღმოჩნდა ბრეიკ-პოინტების რეალიზაცია - ათი შესაძლებლიდან ლოპესმა ერთხელაც ვერ აიღო მეტოქის მოწოდება, იმ დროს, როცა დანჩევიჩმა ოთხი შანსიდან ნახევარი გამოიყენა და ამით კმაყოფილი დარჩა, ვინაიდან მესამე პარტიაში ტაი-ბრეიკზე გამარჯვება სწორედ მას დარჩა.

ასევე პირველ წრეში გამოეთიშა ტურნირს კიდევ ერთი განთესილი - გერმანელი **რაინერ შუტლერი**. მან იაპონელ **გო სოედასთან** წააგო. გაახარა ადგილობრივი პუბლიკა სამხრეთაფრიკელმა **ფრიტც ვოლმარანსმა**. მის ანგარიშზე იყო 25 ეისი და სამ სეტში გამარჯვება ჰოლანდიელ **იგორ სისლინგზე**. შეხვედრა საათ-ნახევარი გაგრძელდა და ვოლმარანსმა საკუთარ მოწოდებაზე კარგი თამაშის გარდა, ბრეიკ-პოინტების ასპროცენტიანი რეალიზაციით გამოიჩინა თავი - ორიდან ორი.

ფავორიტებს მეორე წრეშიც გაუჭირდათ, რადგან მერვე ნომრად განთესილმა **მიხალ პრსიეჟნიმ** კიდევ ერთ სამხრეთაფრიკელთან **რიკ დე ვოეტსთან** წააგო. თუმცა ადგილობრივი ჩოგბურთელების ტრიუმფი ამით არ დასრულებულა, რადგან მეოთხედფინალში გააღწია **იზაკ ვან დერ მერვემ**, რომელმაც 14 (!) ორმაგი შეცდომის მიუხედავად, სამ სეტში დაამარცხა **დასტინ ბრაუნი**.

რაც შეეხება ავსტრალიის ღია პირველობის აღმოჩენას, კანადელ **მილოშ რაონიჩს**, მან ვერ მოიპოვა მეოთხედფინალში თამაშის უფლება, რადგან **სიმონ გროილთან** მატჩში შვიდიდან ვერც ერთი ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა.

■ ■ ■

ზაგრების ტურნირის მეორე წრეში ოთხივე განთესილმა ჩოგბურთელმა მოიგო და მეოთხედფინალში გავიდა.

**მარინ ჩილიჩმა**, რომელიც საშინაო ტურნირის ზედიზედ მესამედ მოგებას ლამობს, უპრობლემოდ გაიარა რუსი **იგორ კუნიცინის** ბარიერი. მან ამისთვის ათი ეისი იკმარა. საინტერესოა, რომ მთავარ ფავორიტს კარიერის მანძილზე ზაგრებში ჩატარებულ 11 მატჩში მხოლოდ ერთი სეტი აქვს წაგებული.

გერმანელმა **ფლორიან მაიერმა** ტურნირი დაატოვებინა ცნობილ ჩეხ **რადეკ შტეპანეკს**, რომელმაც ხუთი ბრეიკ-პოინტიდან ვერც ერთი ვერ გამოიყენა. მეორე გერმანელმა **მიხაელ ბერერმა** ადგილობრივი გულშემატკივრებისთვის სამწუხაროდ, 70 წუთში გაანადგურა ხორვატი **ბლაჟ კავჩიჩი**. და მხოლოდ **ლუკაშ ლაჩკოსა** და **გილერმო გარსია-ლოპესის** მატჩში იყო ბრძოლა. თამაში სამ სეტს გაგრძელდა და პროგნოზისამებრ უფრო ძლიერი ესპანელი ჩოგბურთელი აღმოჩნდა. მას რვა ბრეიკ-პოინტიდან ექვსის გამოყენება დაეხმარა გამარჯვების მოპოვებაში.

■ ■ ■

სანტიაგოში მხოლოდ სამი შეხვედრა გაიმართა და სამივეში მაყურებელმა ბრძოლა იხილა. ყველგან მესამე სეტის ჩატარება გახდა საჭირო.

**ფაბიო ფონინი** თითქმის სამი საათი ებრძოდა **ალბერტ რამოს-ვინოლასს** და საბოლოოდ, გატეხა ნაკლებად ცნობილი მეტოქის წინააღმდეგობა. არგენტინულ-ბრაზილიურ დუელში **მაქსიმო გონსალესი ჟოაო სოუზაზე** ძლიერი იყო. ტურნირის ერთ-ერთმა მთავარმა ფავორიტმა **ტომაშ ბელუჩიმ** კი საათსა და 54 წუთში დაამარცხა **რუი მაშადო**.

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ფრანცენის ხუთი გასროლა

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში გასული სათამაშო დღე „დეტროიტ რედ უინგზის“ შვედი ფორვარდის - **იოჰან ფრანცენის** ბენეფისად იქცა. დღის ყველაზე ლამაზ, დაძაბულ და შედეგიან მატჩში სკანდინავიელმა ფორვარდმა 5 (!) გაუტანა „ოტავა სენატორზს“.

მიუხედავად იმისა, რომ ეს გუნდები რეგულარულის საერთო ცხრილის სხვადასხვა პოლუსზე იმყოფებიან, ბრძოლა მთელი 60 წუთის განმავლობაში არ შეწყვეტილა და ინიციატივა ხელიდან ხელში გადადიოდა.

შესაძლოა, „სენატორებს“ მოგების მეტი შანსი ჰქონდათ. ეს იშვიათი გამონაკლისი იყო, როცა კანადურ კლუბსა და მის ლიდერებს თამაში გამოუვიდათ. მაგრამ „ოტავამ“ ვერ მოაგვარა ფრანცენის ნეიტრალიზების პრობლემა და დამარცხდა. შვედი ლეგიონერი სასწაულებს ახდენდა და რთულია გაიხსენო მატჩი, რომლის ბედიც ასე ყოფილიყო დამოკიდებული ერთ ჰოკეისტზე. არ უნდა დავივიწყოთ კიდევ ორი შვედის - **ჰენრიკ ზეტერბერგისა** (0+3) და უბერებელი **ნიკლას ლიდსტრიომის** (0+2) წვლილიც, მაგრამ მთავარი გმირი, რა თქმა უნდა, ფრანცენი იყო, ვინც ორ-ორჯერ გაუტანა **რობინ ლენერსა** და **ბრაიან ელიოტს**, ბოლო შაიბა კი ცარიელ კარში შეაგდო.

დასავლეთის ცხრილში მეორე ადგილზე მყოფი „დეტროიტი“ არ წყვეტს ბრძოლას კონფერენციაში პირველობისთვის. მართალია, „ვანკუვერი“ ძალიან გაიქრა წინ, მაგრამ „რედ უინგზს“ ორი თამაში თადარიგში აქვს.

ზედიზედ მეოთხე მოგება გაიფორმა „პიტსბურგმა“, რომელსაც კვლავ არ ჰყავდა **სიდნი კროსბი** და **ევგენი მალკინი**. 20 დარტყმა მოიგერია და „მშრალად“ შეინახა საკუთარი კარი „პინგვინების“ მეკარე **ბრენტ ჯონსონმა**, მაგრამ „შათაუტი“ არ ჩაეთვალა, რადგან საფინალო სირენამდე რამდენიმე წამით ადრე **რიკ დიპიეტროს** აუტეხა ჩხუბი და ყინულიდან გააძევეს. თანაც ჯონსონმა ერთი დარტყმით ჩააგდო ნოკდაუნში მეტოქე და ექიმების წინასწარი დიაგნოზით, დიპიეტროს ყბა აქვს გატეხილი.

ზედიზედ მეორე დღეს მეორე მატჩი წააგო „ფინიქსმა“, რომელიც ჯერჯერობით წარმატებით იბრძვის პლეიოფის საგზურისთვის. მაგრამ თუ ერთი დღით ადრე ამ გუნდმა დასანანი მარცხი იწვნია „სან ხოსესგან“, გუშინ სასტიკად წააგო „ვანკუვერთან“ - 0:6. ძმები **სედინების** პასიურობის ფონზე, **რაიან კესლერმა** დუბლი გაიფორმა, **მეისონ რეიმონდმა** გოლი და შედეგიანი პასი ჩაიწერა აქტივში, ხოლო **მიკაელ სამუელსონი** ორი შედეგიანი გადაცემის ავტორი გახდა. უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა **კოდი ჯონსონი**, რომელმაც მხოლოდ მეორე მატჩი ჩაატარა ლიგაში და პირველი გოლი გაიტანა. მეკარე **რობერტო ლუონგომ** კი 23 დარტყმა მოიგერია და კარიერაში 54-ე „შათაუტი“ შეასრულა.

„ანაჰაიმმა“ გუშინ მეოთხე გუნდი გახდა, ვინც საკუთარ მოედანზე დათმო შეხვედრა. „სან ხოსემ“ თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა და საფინალო სირენამდე ხელიდან აღარ გაუშვია. ერთადერთი, რაც „იხვებმა“ შეძლეს, **კემ ფაულერისა** და **ბობი რაიანის** გოლებით სხვაობის მინიმუმამდე შემცირებაა. მეტის გაკეთება მასპინძლებმა ვერ მოახერხეს.



მეკარეების ჩხუბი

**ოტავა-დეტროიტი 5:7**

3:2, 1:2, 1:3

**გოლები:** 1:0 კოვალიოვი-10 (გონჩარი-16, ე. კარლსონი-22), 1:1 ფრანცენი-22 (სალეი-8, ფილპულა-19), 1:2 ფრანცენი-23 (ზეტერბერგი-38, ბერტუცი-22), 2:2 რეგინი-2 (კოვალიოვი-11, კამპოლი-8), 3:2 კამპოლი-2 (ალფრედსონი-16, ფოლინო-12), 3:3 დრეიპერი-5 (ივსი-5, ჰელმი-16), 3:4 კრონვალი-9 (ლიდსტრიომი-32), 4:4 მ. მიხალეკი-12 (რეგინი-11, კამპოლი-9), 4:5 ფრანცენი-24 (ზეტერბერგი-39, რაფალსკი-29), 5:5 მ. მიხალეკი-13 (კოვალიოვი-12, რეგინი-12), 5:6 ფრანცენი-25 (რაფალსკი-30, ლიდსტრიომი-33), 5:7 ფრანცენი-26 (ზეტერბერგი-40).

**პიტსბურგი-აილენდერსი 3:0**

2:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ტაილერ კენედი-8 (პ. მარტინი-15, ზ. მიხალეკი-9), 2:0 კუნიტცი-18 (დუპუი-12, პ. მარტინი-16), 3:0 ტელბოტი-6 (ადამსი-7).

**მონრეალი-ფლორიდა 3:2**

0:1, 1:0, 2:1

**გოლები:** 0:1 ტიმინსი-1 (ოლეში-11, ბერნიე-8), 1:1 ჰალპერნი-8 (სუბანი-15), 2:1 პლეკანეცი-17 (პასიორეტი-6), 3:1 ჯონტა-19 (პასიორეტი-7, სუბანი-16), 3:2 ვეისი-15 (ფროლიკი-19, კულიკოვი-14).

**ფინიქსი-ვანკუვერი 0:6**

0:1, 0:2, 0:3

**გოლები:** 0:1 ბაროუზი-13 (დ. სედინი-40), 0:2 ჰანსენი-6 (სვიტი-1, რეიმონდი-15), 0:3 ჰოჯსონი-1 (ტამბელინი-8, ჰამჰუისი-13), 0:4 კესლერი-29 (სამუელსონი-20), 0:5 რეიმონდი-10 (სამუელსონი-21), 0:6 კესლერი-30.

**ედმონტონი-ლოს ანჯელესი 1:3**

0:0, 1:2, 0:1

**გოლები:** 1:0 პააიარვი-7 (სემ განიე-19, უმარკი-7), 1:1 რ. სმიტი-20 (დაუტი-23, ჯ. ჯონსონი-30), 1:2 რ. სმიტი-21 (დაუტი-24, ჯ. ჯონსონი-31), 1:3 ჯ. ჯონსონი-5.

**ანაჰაიმი-სან ხოსე 3:4**

0:3, 2:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ჰიტლი-19 (ჯ. ტორნტონი-32, მიურეი-6), 0:2 იგერი-4 (სეტოგუჩი-7, ლ. ბოილი-29), 0:3 დემერსი-2 (ქლოუ-27, სეტოგუჩი-8), 1:3 ლუპული-5 (ლაპიერი-5, სექსტონი-4), 1:4 ქლოუ-14 (დ. ბოილი-30, პაველსკი-24), 2:4 ფაულერი-6 (პერი-27, ს. კოივუ-17), 3:4 რაიანი-23 (პერი-28, მაკლინი-1).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | | |
|---|---|---|
| ლილესტრიომი-სტრიომსგოდ. | | 0:2 |
| კოპენჰაგენი-გიოტებორ. | 1:1 პენ. | 1:3 |
| ვისლა-მიოლდე | | 0:2 |
| ვოლერენგა-ტრომსიო | | 0:2 |
| რანდერსი-ჰიონინგი | | 2:1 |
| ელფსბორგი-ოდენსე | | 1:1 |
| კარპატი-ოლესუნდი | 1:1 პენ. | 7:6 |
| ჰელსინგბორგი-ბრონდბიუ | | 2:0 |

**ინგლისი**

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| კეტერინგი-ქროული | 0:0 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| ბარი-ინტერი | 0:3 |

**პორტუგალია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ფრეამუნდე-ფეირენსე | 2:1 |

**პორტუგალიის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| გიმარაეში-აკადემიკა | 1:0 |

**საბერძნეთის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| დიაგორასი-ატრომიტოსი | 0:1 |
| ოლიმპიაკოსი (პ)-კერკირა | 1:2 |

**თურქეთის თასი**

**1/4 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| გენჩლერი-ბუკა | 2:0 |
| გაზიანთეფი-გალათასარაი | 3:2 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| მაკაბი-ოლიმპია | 104:67 |
| კახა ლაბორ.-პანათინაიკოსი | 77:70 |
| ბარსელონა-რომა | 80:56 |
| პარტიზანი-მონტეპასკი | 58:66 |
| რეალი-ეფესი | 89:86 (ო) |
| უნიკახა-ლ. რიტასი | 98:91 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ამური-ავანგარდი | 1:3 |
| ავტომობილისტი-იუგრა | 2:4 |
| მეტალურგი (მ)-დინამო (მ) | 0:1 |
| ნეფტიხიმიკი-ატლანტი | 3:4 (ბ) |
| აკ ბარსი-ტორპედო | 6:4 |
| ვიტიაზ-ლოკომოტივი | [illegible] |
| სკა-ცსკა | 4:0 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ოლბორგი-ჰერნინგი | 5:4 (ო) |
| სონდერიისკი-ჰვიდოვრე | 3:0 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ლილეჰამერი-სტავანგერი | 7:1 |
| მანგლერუდი-ვოლერენგა | 2:5 |
| სტორჰამარი-ფრისკ ასკერი | 6:1 |
| ლორენსკოგი-რუსენბორგი | 4:1 |
| სტიორნენი-სპარტა | 0:5 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ჰიფკ-ჰპკ | 3:1 |
| ილვესი-ესეტი | 2:4 |
| იუვიასკიულა-ტაპარა | 0:1 (ბ) |
| საიპა-კალპა | 2:3 |
| ტპს-ლუკო | 5:0 |
| ბლუზი-კერპეტი | 3:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| კარლოვი ვარი-ტრშინეცი | 2:4 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბერნი-რაპერსვილი | 1:2 |
| სერვეტი-ფრიბურგი | 3:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლინჩოპინგი-სიოდერტალე | 4:0 |
| მოდო-ტიმრა | 3:4 |
| ფრიოლუნდა-ბრიუნასი | 2:4 |
| შელეფტეო-აიკ | 6:1 |
| იურგორდენი-ფერიესტადი | 5:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ზაგრები**

| | |
|---|---|
| პეტცშნერი-ბოგომოლოვი | 1:6, 2:6 |
| ლუბიჩიჩი-ბრანდსი | 6:2, 6:3 |
| დოდიგი-მარჩენკო | 6:2, 6:3 |

**ATP. სანტიაგო**

| | |
|---|---|
| ხირალდო-ანდრეევი | 7:6, 4:6, 6:2 |
| სტარაჩე-ანდუხარი | 6:4, 6:1 |
| ჩელა-ზამპიერი | 6:2, 6:3 |

**ATP. იოჰანესბურგი**

| | |
|---|---|
| კ. ბეკი-სოედა | 3:6, 7:5, 6:0 |
| ანდერსონი-სელა | 6:2, 6:4 |
| მანარინო-გრემელმაირი | 6:7, 6:4, 6:4 |
| დანჩევიჩი-ვოლმარანსი | 7:6, 6:3 |

● TV პროგრამა

**4 თებერვალი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**23:30** გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-შალკე (LIVE).

**GMG-სპორტი**

**23:40** რაგბი. ექვსი ერის თასი. I ტური. უელსი-ინგლისი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**23:25** გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-შალკე (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**12:55** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. I ცდა. ცვიზელი. გერმანია (LIVE).
**15:55** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა. ცვიზელი. გერმანია (LIVE).
**04:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-ბაფალო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**16:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. იოჰანესბურგი. სამხრეთ აფრიკა (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**22:55** კალათბურთი. ევროლიგა. ქალები. 1/8 ფინალი. რივას ეკოპოლოსი-უგმკ. საპასუხო მატჩი (LIVE).
**04:00** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. შარლოტი-მაიამი (LIVE).

**SPORT+**

**23:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-შალკე (LIVE).

**EUROSPORT**

**13:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. I ცდა. ცვიზელი. გერმანია (LIVE).
**14:00** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. რიბინსკი. რუსეთი (LIVE).
**15:15** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. კაცები. რბოლა გამოდევნებით. რიბინსკი. რუსეთი (LIVE).
**16:15** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა. ცვიზელი. გერმანია (LIVE).
**18:30** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. კაცები. პრესკ აილი. აშშ (LIVE).
**20:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS213. კვალიფიკაცია. ობერსტდორფი. გერმანია (LIVE).
**21:30** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ქალები. პრესკ აილი. აშშ (LIVE).
**23:00** სნუკერი. მასტერსი. III დღე. ბერლინი. გერმანია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**11:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. უნივერსიადა. კაცები. გიგანტური სლალომი. I ცდა. თურქეთი (LIVE).
**12:00** ბიატლონი. უნივერსიადა. შერეული ესტაფეტა. თურქეთი (LIVE).
**15:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. უნივერსიადა. კაცები. გიგანტური სლალომი. II ცდა. თურქეთი (LIVE).
**17:30** სნუკერი. მასტერსი. III დღე. ბერლინი. გერმანია (LIVE).
**20:30** ფრისტაილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სლოუპ-სტაილი. კვალიფიკაცია. დირ ველი. აშშ (LIVE).
**23:15** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. მეორე ჯგუფური ტურნირი. ლუბლიანა (სლოვენია)-ნავარა (ესპანეთი) (LIVE).
**00:45** ფრისტაილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სკი-კროსი. ფინალი. დირ ველი. აშშ (LIVE).
**03:45** ფრისტაილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მოგული. ფინალი. დირ ველი. აშშ (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# მეივეზერი წავიდა, ჰოლიფილდი გადაიდო

ხუთ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ექსჩემპიონი, პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელი **ფლოიდ მეივეზერი** (41-0-0, 25 KO) უახლოეს მომავალში არ აპირებს რინგზე დაბრუნებას. ამის შესახებ Boxing News-ს განუცხადა ორ წონით კატეგორიაში ყოფილმა ჩემპიონმა **ზაბ ჯუდამ**.

მოსალოდნელი და ყველაზე სასურველი ბრძოლა **მენი პაკიაოსთან**, ალბათ, აღარ გაიმართება. ფილიპინელი ორ-სამ წელიწადში აპირებს დიდი სპორტიდან წასვლას, ფლოიდი კი სწორედ ამ ორ-სამ წელიწადში არ აპირებს კარიერის განახლებას.

*„ამ დღეებში შევხვდი ფლოიდს და ვკითხე - ხომ არ აპირებს უახლოეს პერიოდში რინგზე გასვლას. მეივეზერმა მიპასუხა, რომ დაასრულა გამოსვლა და დასვენებას აპირებს. როგორც მივხვდი, მინიმუმ ორი წელი აპირებს კარიერის შეწყვეტას. ის დიდი ხანი ძალიან მონდომებით მუშაობდა და ახლა პაუზა ესაჭიროება“*, - განაცხადა ჯუდამ.

უნდა აღინიშნოს, რომ მეივეზერს ბოლო დროს პრობლემები შეექმნა კანონთან და არ არის გამორიცხული, ციხეში მოუწიოს დასვენებამ. მეივეზერის სასამართლო მარტშია დანიშნული.

შეგახსენებთ, რომ თავისი ბოლო ბრძოლა ფლოიდმა გასული წლის მაისში ჩაატარა. მან ქულებით დაამარცხა **შეინ მოზლი.**

■ ■ ■

ორი თვით გადაიდო ლეგენდარული ამერიკელი მძიმეწონოსნის **ევანდერ ჰოლიფილდის** ბრძოლა დანიელ **ბრაიან ნილსენთან**. ამ მოკრივეებს 5 მარტს უნდა ეჩხუბათ, მაგრამ რინგზე ისინი 7 მაისს ავლენ. ბრძოლის გადატანის მიზეზი გახდა ჭრილობა, რომელიც ევანდერმა 22 იანვარს ამერიკელ **შერმან უილიამსთან** ბრძოლის დროს მიიღო. ამ ინფორმაციას სააგენტო AP იტყობინება.

როგორც გერმანული პრომოუტერული კომპანია Sauerland Event-ის წარმომადგენელი ამბობს, ჰოლიფილდს არ შეუძლია თებერვლის ბოლომდე ვარჯიში, ამიტომაც ნილსენთან ბრძოლისთვის მოსამზადებლად მას მეტი დრო დასჭირდება.

უილიამსთან ბრძოლაში ჰოლიფილდმა თავის არეში ჭრილობა მეორე რაუნდში მიიღო, როცა მოკრივეები თავებით შეეჯახნენ ერთმანეთს. ბრძოლის შემდეგ ჰოლიფილდმა განაცხადა, რომ მარცხენა თვალით ვერ ხედავს. ის ბრძოლა გაუქმებულად ჩათვალეს.

ჰოლიფილდი 48 წლისაა, ნილსონს კი პირველ აპრილს შეუსრულდება 46 წელი. ბოლო ბრძოლა დანიელმა ცხრა წლის წინ ჩაატარა.

ფორმულა 1. ტესტები

# ამჯერად ლოტუს რენო


აალებული ფერარი

ვალენსიაში **რიკარდო ტორმოს** სახელობის ავტოდრომზე დასრულდა 2011 წლის სეზონის პირველი სატესტო სერია. პრაქტიკის მესამე დღეს წრეზე უსწრაფესი დრო „ლოტუს რენოს“ პოლონელმა პილოტმა **რობერტ კუბიცამ** აჩვენა. სულ მცირე - ხუთი მეასედი წააგო მასთან „ფორს ინდიას“ წევრმა **ადრიან სუტილმა**. გერმანელმა შარშანდელი მანქანით ყველაზე მეტი - 117 წრე დაარტყა ავტოდრომს. სამეულში მოხვდა **ჯენსონ ბატონი**, რომელმაც „მაკლარენის“ გარდამავალ ბოლიდზე **გარი პაფეტი** შეცვალა.

სამმა ლიდერმა და მეოთხე ადგილის მფლობელმა, ავსტრალიელმა **მარკ უებერმა** („რედ ბული“) წრე წუთსა და 14 წამზე ნაკლებ დროში დაფარეს. სხვებმა ვერ შეძლეს ამის გაკეთება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაღალი შედეგები მათ მოკლე სესიებისას აჩვენეს, ხოლო გრძელ დისტანციებზე მათი დრო წრეზე სამი-ოთხი წამით ნაკლები იყო.

არც ისე წარმატებული დღე ჰქონდა „ფერარის“. უკვე 12 წრის შემდეგ **ფელიპე მასას** (ბრაზილიელმა გუშინ **ფერნანდო ალონსო** შეცვალა) ბოლიდი ძრავის მწყობრიდან გამოსვლის გამო აალდა. ფელიპემ მუშაობის გაგრძელება სადილის შემდეგ მოახერხა, რამდენიმე მოკლე სესია გამართა და მეხუთე შედეგი აჩვენა. შემდეგ მოდიან **ტიმო გლოკი** („ვირჯინი“), **პასტორ მალდონადო** („უილიამსი“) და **სერხიო პერესი** („ზაუბერი“).

„მერსედესის“ საჭეს მიუჯდა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერი**. ის დილიდან მოკლე სესიებზე მუშაობდა, დღის მეორე ნახევარში კი უფრო მეტი დრო დაყო ტრასაზე და მეორე პოზიციიდან მეცხრემდე ჩამოქვეითდა. საერთო ჯამში, გერმანელმა 110 წრე გაიარა და ამ მაჩვენებლით მხოლოდ ორ გერმანელს - სუტილსა და გლოკს ჩამორჩა. მოგეხსენებათ, რომ წინა ორ დღეს „მერსედესის“ ახალი ბოლიდით **ნიკო როსბერგი** მუშაობდა და ორივეჯერ მის მანქანას ტექნიკური პრობლემა შეექმნა, ამჯერად კი „მერსედესის“ ინჟინრებს ზედმეტი სამუშაო არ ჰქონიათ.

**მესამე დღის შედეგები**

| | |
|---|---|
| 1. კუბიცა (ლოტუს რენო) | 1:13.144 (95) |
| 2. სუტილი (ფორს ინდია) | +0.057 (117) |
| 3. ბატონი (მერსედესი) | +0.409 (105) |
| 4. უებერი (რედ ბული) | +0.792 (105) |
| 5. მასა (ფერარი) | +0.873 (80) |
| 6. გლოკი (ვირჯინი) | +1.063 (114) |
| 7. მალდონადო (უილიამსი) | +1.155 (101) |
| 8. პერესი (ზაუბერი) | +1.325 (104) |
| 9. შუმახერი (მერსედესი) | +1.393 (110) |
| 10. ბუემი (ტორო როსო) | +1.657 (73) |
| 11. კართიკეიანი (HRT) | +3.391 (63) |
| 12. ტრული (ლოტუსი) | - (38) |

■ ■ ■

პირველ ოფიციალურ ტესტებზე დიდი ყურადღება დაეთმო „პირელის“ ახალი საბურავების გამოცდას და ერთ-ერთი პირველი, ვინც უკმაყოფილო დარჩა იტალიური კომპანიის „პროდუქტით“, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ფერნანდო ალონსო** გახდა. არადა, ორი დღის წინ ესპანელმა ტესტებზე საუკეთესო დრო აჩვენა.

*„საბურავებმა არასასიამოვნოდ გამაკვირვა. განსაკუთრებით უკანა ნაწილმა. აშკარაა, რომ მათ გამო ტრასის გავლის დრო ძალიან გაიზარდა“*, - ამბობს ესპანელი.

უფრო ადრე კი „ზაუბერის“ პილოტმა **კამუი კობაიაშიმ** აღნიშნა, რომ „პირელის“ ახალი საბურავებით უჭირს რიკარდო ტორმოს ავტოდრომზე კარგი დროის ჩვენება.

კალათბურთი

# მაკოცეთ ერთ ადგილას...


კობი ბრაიანტი

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** მკვეთრი ფორმით უპასუხა კრიტიკოსებს, რომლებიც უკმაყოფილონი არიან 2011 წელს ჩემპიონის თამაშის დონითა და შედეგებით. თავისი პოზიცია „შავმა მამბამ“ გუნდის ბოლო ვარჯიშის შემდეგ გამოხატა.

*„სრულიად არ მაღელვებს ის, რასაც ჩვენზე ლაპარაკობენ. ადამიანებს, რომლებიც „ლეიკერსს“ აკრიტიკებენ, შეუძლიათ უკანალზე მაკოცონ... ჩვენ უბრალოდ ჩვენს საქმეს გავაკეთებთ, რათა ივნისში კრიტიკოსები საბოლოოდ გავაჩუმოთ“*, - ამბობს ბრაიანტი.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ადამიანი, რომელიც „ლეიკერსის“ მისამართით კრიტიკით გამოვიდა, კლუბის ყოფილი ვარსკვლავი **მეჯიქ ჯონსონი** გახლავთ.

ამბები

**სამთო-სათხილამურო სპორტი**

## ვონი გადარჩა

მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელი **ლინდსი ვონი** გუშინ მომხდარი ინციდენტის შემდეგ სერიოზულ ტრავმებს გადაურჩა. ამერიკელი გერმანიაში ემზადება მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპისთვის და ერთ-ერთი ვარჯიშის დროს, დიდი სიჩქარით მოძრაობისას ტრასაზე საშინლად დაეცა. მართალია, ლინდსიმ მოყინულ ტრასაზე თავი ძლიერად დაარტყმა, მაგრამ სამედიცინო შემოწმებამ მინიმალური დაზიანება აჩვენა.

ასე რომ, ვონის მონაწილეობას მსოფლიოს ჩემპიონატში ხელს არაფერი შეუშლის. პლანეტის პირველობა 8 თებერვალს გერმანიის გარმიშ-პარტენკირხენში დაიწყება.

**ჩოგბურთი**

## საფინას ახალი მწვრთნელი ჰყავს

მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს **დინარა საფინას** ახალი მწვრთნელი ჰყავს. არგენტინელი **გასტიონ ეტლინსის** ნაცვლად, რუსი ჩოგბურთელის კრიზისიდან გამოყვანას 38 წლის იტალიელი **დავიდე სანგინეტი** ეცდება.

ეს გახლავთ ყოფილი პროფესიონალი ჩოგბურთელი, ვისაც 2002 წელს ATP-ის ორი ტურნირი (მილანი, დელრეი-ბიჩი) აქვს მოგებული.

**ოლიმპიზმი**

## იამაიკელებს ბობ მარლის ქალიშვილი ჩააცმევს

ლეგენდარული მუსიკოსის **ბობ მარლის** ქალიშვილი - **სიდელა მარლი** იამაიკის ოლიმპიური ნაკრებისთვის სპორტული ფორმის დიზაინზე იზრუნებს. სწორედ მისი შექმნილი კოსტიუმებით გამოვლენ კუნძულელი სპორტსმენები 2012 წელს ლონდონის ოლიმპიადაზე.

*„მეც და უსაინ ბოლტიც ახალ რეკორდებს ვამყარებთ. ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის დიდი პატივია ნაკრების ახალი ფორმით შემოსვა. მინდა ამ ფორმაში ძველი და ახალი იამაიკა გავაერთიანო. ბოლტისთვის კი რაღაც განსაკუთრებულს შევქმნი“*, - ამბობს სიდელა მარლი.

*„არ მგონია, ვინმემ სიდელაზე უკეთ შექმნას ჩვენი ოლიმპიური ფორმა. წინასწარ აღფრთოვანებული ვარ იმით, რომ ლონდონში ჩემ გვერდით მისი ენერგეტიკა იქნება“*, - განაცხადა პლანეტის უსწრაფესმა ადამიანმა **უსაინ ბოლტმა**.

იამაიკის ნაკრების სპონსორია კომპანია „პუმა“ და სწორედ მან აირჩია დიზაინერად უმცროსი მარლი.

მოტოსპორტი

# კიმის თავისი გუნდი ჰყავს

ფორმულა 1-ის ყოფილი ჩემპიონი **კიმი რაიკონენი** მოტოკროსის მსოფლიოს ჩემპიონატში საკუთარი გუნდის გამოყვანას აპირებს. მას იგივე სახელი აქვს, რაც რალიში რაიკონენის ახალ საჯინიბოს - ICE 1 Racing.

*„ბავშვობიდან ვოცნებობდი მოტოკროსში გამოსვლაზე, მაგრამ საბოლოოდ, ავტორბოლა ვარჩიე*, - განაცხადა რაიკონენმა. - *ახლა ამ დისციპლინაში საკუთარი გუნდის შექმნა და ფინელი პილოტებისთვის დახმარება გადავწყვიტე. მინდა ამით ვალი გადავუხადო საკუთარ ქვეყანას, რომელმაც ჩემი კარიერის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა“*.



კიმი რაიკონენი

რაიკონენის გუნდში „კავასაკის“ მოტოციკლებით ორი ფინელი - **ტონი ერიქსონი** და **ლუდე სიოდერბერი** ირბოლებენ. მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ეტაპი 9-10 აპრილს ბულგარეთის ქალაქ სევლიევოში გაიმართება.

თავად რაიკონენი რალის ახალი სეზონისთვის ემზადება. გასულ კვირას კიმიმ Citroen DS3-ით შვედეთში ტესტები გაიარა. *„წინ ჩემი მეორე სეზონია და ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა მიმართულებით უნდა გავაუმჯობესო გამოსვლა, ნაკლები შეცდომა დავუშვა და მაღალ შედეგებს მივაღწიო“*, - ამბობს მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონი.

რალიში მსოფლიოს ჩემპიონატში 12 თებერვალს შვედეთში დაიწყება.

ჩოგბურთი

# ვარსკვლავური წყვილი?


ენდი და ნოვაკი

როგორც ჩანს, ავსტრალიის ღია პირველობის ფინალმა სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩსა** და ბრიტანელ **ენდი მიურეის** შორის ძველი მეგობრობა გაალვიძა. ნოვაკმა განაცხადა, რომ არ არის გამორიცხული, ენდისთან ერთად წყვილთა თანრიგში ითამაშოს.

სერბული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ჯოკოვიჩი ამბობს, რომ უკვე განიხილა ეს საკითხი ბრიტანელთან და ისინი მზად არიან ინდიან უელსში ერთად გამოსასვლელად. ოღონდ, საბოლოო დასტურია საჭირო მიურეისგან.

ეს ნაბიჯი სასარგებლო იქნება როგორც სპორტსმენებისთვის, ასევე ტურნირის ორგანიზატორებისთვის. ერთის მხრივ, ორგანიზატორები დამატებით მაყურებელს მიიღებენ წყვილთა მატჩებში, თავის მხრივ, ისინი დამატებით ფულს უხდიან ათეულის მოთამაშეებს ასეთი დუეტების ორგანიზებისთვის.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**